# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5 (100). 5 – 18 მარტი. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

## 100 გასროლა მიზანში!

1425
2010




ოპერაცია სამხრეთ GEORGIA-ს გასათავისუფლებლად...

ისრაელის ავტომატები ქართული სპეცრაზმებისთვის

რუსეთმა თბილისი პირველად 89 წლის წინ დაბომბა...



100 გასროლა მიზანში! 5



აფეთქებული და ჩაძირული „დიოსკურია“ ამოიღეს 8



თბილისი პირველად 89 წლის წინ დაიბომბა 10

Tavor - მთა, გადაქცეული ავტომატად 52





კაცი, რომელმაც სსრკ ავღანეთიდან გამოაძევა 18



ოპერაცია „ჰერბიციდი“ სამხრეთ Georgia-ს გასათავისუფლებლად ?

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 ახალი ამბები

თარიღი

5 100 გასროლა მიზანში

მკითხველი „არსენალის" შესახებ

5 „თავიდან პესიმისტურად ვიყავი განწყობილი... მალევე დაიხურება-მეთქი"

ფლოტი

8 აფეთქებული და ჩაძირული „დიოსკურია" ამოიღეს

ისტორია

10 თბილისი პირველად 89 წლის წინ დაიბომბა

სპეცსამსახურები

11 საქართველოს საგარეო დაზვერვა – მითი და რეალობა

რეგიონი

14 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

მომავლის იარაღი

16 მფრინავი ლაზერი

პიროვნება

18 „ციკლონის" ცენტრში

ტანკმშენებელი ქვეყნები

22 ფრანგული ტანკები – პირველი მარცხიდან ყველაზე ძვირად ღირებულ ტანკამდე

ჯავშანტექნიკა

33 ტანკები კორეიდან ცხინვალის ომამდე

გეოპოლიტიკა

38 გლობალური უსაფრთხოების პრობლემები XXI საუკუნის დასაწყისში

სპეცოპერაციები

41 ოპერაცია „ჰერბიციდი" სამხრეთ **Georgia**-ს გასათავისუფლებლად

ინოვაციური ტექნოლოგიები

46 მფრინავი მეხანძრეები

თავისუფალი თემა

50 ცხოვრება მტანჯველი ნაბახუსევის გარეშე

„არსენალის" იარაღის მაღაზია

52 **Tavor** - მთა, გადაქცეული ავტომატად


პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მოსკოვთან შეაჩერა თანამშრომლობა NATO-რუსეთის საბჭოს ფორმატში.

მაშინ საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას დაჟინებით უმტკიცებდა, რომ დასავლეთმა ამით კრემლს უდიდესი დარტყმა მიაყენა და ქართული მიწების ოკუპაციისთვის მკაცრადაც დასაჯა,

მაგრამ გავიდა ხანი და 2010 წლის დასაწყისში NATO-მ მოსკოვთან სრულად აღადგინა ერთობლივი საბჭოს მუშაობაც და მჭიდრო თანამშრომლობაც.

ამაზე ოფიციალურ თბილისს კომენტარი აღარ გაუკეთებია. რამდენიმე დღის წინ აშშ-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია შეცდომად მიიჩნევს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ NATO-ს მიერ მოსკოვთან ერთობლივი საბჭოს ფარგლებში მუშაობის შეჩერებას, ამან ძალიან დააზარალა დასავლეთისა და რუსეთის დაახლოებაო...

საინტერესოა, ამაზე საქართველოს ხელისუფლება რა კომენტარს გააკეთებს, თორემ ჩვენთვის ბევრი რამ, სამწუხაროდ, უკვე ცხადი ხდება...

*ირაკლი ალადაშვილი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
??.??.2009

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

17
27398
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჰამერს“ ახალი ჯავშანმანქანა ჩაანაცვლებს



აშშ-ის არმიის ავტოჯავშანსატანკო ტექნიკისა და შეიარაღების (TAMCOM) მეთაურობამ კომპანია Oshkosh-ს დამატებით 640 მლნ დოლარის ღირებულების 1460 ერთეული MPAP (Mine Resistant Amush Protected) ტიპის ნაღმებისგან გაზრდილი თავდაცვის ჯავშანმანქანა M-ATV შეუკვეთა. კომპანია Oshkosh-ს ამ და[illegible] კონტრაქტით M-ATV-ზე შეკვეთების პორტფელის საერთო მოცულობა 8079 ერთეულამდე გაეზარდა, ტექმომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების მიწოდების გათვალისწინებით კი მისმა ღირებულებამ 4,74 მლრდ დოლარს მიაღწია. გასული წლის დეკემბრის ბოლოს კომპანიას 3,3 მლრდ დოლარის ღირებულების 6619 ერთეული ტექნიკის შეკვეთა ჰქონდა.

ჯავშანმანქანა M-ATV-ს აქვს 370 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა Caterpillar c7, მანქანა ტრასაზე საათში 105 კმ სიჩქარეს ავითარებს, გადააქვს 1,8 ტონა ტვირთი და გადაჰყავს 4 მებრძოლი. ერთი ჯავშანმანქანის საკატალოგო ფასი 470 ათას დოლარს შეადგენს.

თებერვლის შუა რიცხვებში Oshkosh-მა აშშ-ის საზღვაო ქვეით ძალებთან გააფორმა კონტრაქტი ვერსია MKR-18-სა და MKR-16-ში მოდერნიზებული 400 ერთეული სატრანსპორტო-სატვირთო სისტემა LSVR-ის მიწოდებაზე. ეს მანქანები წარმოადგენს მძიმე ტვირთების გადასატან სატვირთოებსა და ფურგონებისთვის მისაბმელმოწყობილობიან გამწევებს. გარიგების თანხამ 158 მლნ დოლარი შეადგინა. სატვირთოების მიწოდება 2011 წელს დაიწყება.

# მოსკოვი 10000 ტანკს დაჭრის(?!)

რუსეთის არმიის შეიარაღებაში არსებული ტანკების ნახევარი სახმელეთო ჯარებს არ სჭირდება. ამჟამად არმიას ყველა მოდიფიკაციის 20000 ტანკი ჰყავს, მაგრამ რეალურად მხოლოდ ნახევარზე ნაკლებია საჭირო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს შეიარაღებაში არსებული ტანკების ათჯერ — 2000 ერთეულამდე შემცირება. ამასთან, სატანკო ქვედანაყოფებში ორი ცალკეული სატანკო ბრიგადა და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში თითქმის 20 სატანკო ბატალიონი იქნება.

რუსეთის სახმელეთო ჯარებს მომავალში სამი სახის ბრიგადა ეყოლება: მძიმე, საშუალო და მსუბუქი. ტანკებსა და სხვა მძიმე ჯავშანტექნიკას გამოიყენებენ მძიმე ბრიგადები, საშუალო ბრიგადების დანიშნულება იქნება საჭირო წერტილში სწრაფი გადასროლა, მსუბუქისა კი სადესანტო-საიერიშო ოპერაციების ჩატარება.

სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თქმით, 2010 წელს რუსეთის ქვეითი ჯარების შეიარაღებაში შევა 261 ტანკი T-90.

T-90 რუსეთის არმიის შეიარაღებაში 1992 წელს შევიდა და ახლა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს მთლიანად ამ ტანკზე გადაიყვანოს არმია. ტანკი ტრასაზე საათში დაახლოებით 70 კილომეტრს ავითარებს, 50 კილომეტრს კი უსწორმასწორო ადგილებში. ტანკის სვლის მარაგი 500 კმ-ს შეადგენს. აღჭურვილია 125 მმ-იანი ქვემეხით, რომელიც ისვრის როგორც ჯავშანგამხვრეტ და მსხვრევად-ფუგასურ ჭურვებს, ასევე მართვად ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებსაც. გარდა ამისა, ტანკი შეიარაღებულია 12,7 და 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევებითაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 100 გასროლა მიზანში!

## ომის ქარცეცხლში, ხელისუფლების მაღალი წრეების ზეწოლისა და კარჩაკეტილი არმიის პირობებში შექმნილი „არსენალის“ 100 ნომერი...

*მკითხველო, დღეს შენ „არსენალის“ მე-100 საიუბილეო ნომერს კითხულობ. ასი ნომერი თითქოს არცთუ ისე ბევრია, მით უმეტეს, თითქმის ექვსი წლის განმავლობაში, მაგრამ დაგვიჯერეთ, თითოეული ნომერი მართლაც რომ დიდი შრომის ფასად იქმნებოდა.*

*სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის შექმნის იდეა 2003 წელს დაიბადა. საფუძვლად „კვირის პალიტრის“ რუბრიკა „არსენალი“ დაედო, რომელიც გაზეთში 1996 წლიდან ქვეყნდება.*

2004 წლის 26 მაისს „არსენალის“ პირველმა ნომერმა იხილა დღის სინათლე. ჩვენ შემთხვევით არ დაგვიმთხვევია ახალი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — ძალიან გვინდოდა, ამ ჟურნალით პატარა წვლილი მაინც შეგვეტანა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში და საზოგადოებაში სამხედრო თემა აქტუალური და საინტერესო გაგვეხადა...

„არსენალის“ პირველი ნომრის 100 ეგზემპლარი ამ სტატიის ავტორმა (რომელიც მაშინ ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე სამხედრო აღლუმის კომენტირებას ახდენდა) რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილ სამხედროებსა და მოქალაქეებს საჩუქრად დაურიგა.

ეს იყო ჩვენი „არსენალის“ ყველაზე გამართლებული პრეზენტაცია, „არსენალის“ მეორე ნომერი კი უკვე ომის ქარცეცხლში იბადებოდა...

2004 წლის ზაფხულში ცხინვალის რეგიონში დაიწყო მორიგი შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც შეიძლება ფართომასშტაბიან ომში გადაზრდილიყო, მაგრამ მაშინ საქართველოს პრეზიდენტს ეყო გამჭრიახობა და 19 აგვისტოს ჯარები გამოიყვანა კონფლიქტის ზონიდან...

23 აგვისტოს პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი ინიციატივით ამ სტატიის ავტორს შეხვდა. რამდენიმესაათიანი



ახალი „დრაკონი“ კი ასათვისებელია, მაგრამ „არსენალის“ ახალი ნომერიც რომ საინტერესოა...

*მკითხველები „არსენალის“ შესახებ*

# „თავიდან პესიმისტურად ვიყავი განწყობილი... მალევე დაიხურება-მეთქი“

*მეექვსე წელია ჟურნალი „არსენალი“ თავის ერთგულ მკითხველს პროფესიონალურ ინფორმაციას აწვდის. საზოგადოების დიდი ნაწილი აღიარებს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ყვითელი პრესის მიმართ დიდი ინტერესია, ჟურნალმა „არსენალმა“ მაინც შეძლო ღირსეული ადგილის დამკვიდრება, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, რას ფიქრობენ „არსენალზე“ ჩვენი ერთგული მკითხველები.*

**ნიკა ლალიაშვილი**, „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი: — ვულოცავ „არსენალს“, რომ ასე წარმატებით ართმევს თავს მოვალეობას და ბევრ გამოცემასავით იმედი არ გაუცრუებია. ძალიან მნიშვნელოვანია, რა საქმესაც თქვენი ჟურნალი აკეთებს. მით უმეტეს მაშინ, როცა ბეჭდვითი ბაზარი წალეკა არაკომპეტენტურმა ყვითელმა გამოცემებმა...

„არსენალი“ განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, სამხედრო ექსპერტებისა და მათთვის, ვისაც ხარისხიანი და კვალიფიციური მასალების წაკითხვა სიამოვნებს. ამ მხრივ თქვენს ჟურნალს საქართველოს ბაზარზე კონკურენტი არ ჰყავს. კიდევ ერთხელ გილოცავთ მეასე ნომრის გამოცემას, ჟურნალის ყველა თანამშრომელს და მკითხველს ვუსურვებ, თავდაცვის სფეროში არსებული პროფესიული პრობლემა, რაზეც „არსენალში“ მუდმივად იწერება, აღარ არსებობდეს.

**ვასილ ბარნოვი**, პოლიტიკური ექსპერტი: — „არსენალი“ ქართულ ბეჭდვით ბაზარზე ყველაზე მაღალპროფესიული და კვალიფიციური ჟურნალია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი გამოსვლის დღიდან ყველა ნომერი წაკითხული მაქვს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემაში არსებული ხარვეზები ან პროგრესი არ გამომრჩეს, არამედ უცხოეთის ქვეყნის სამხედრო პრობლემებსა და სიახლეებსაც სიამოვნებით ვეცნობი... ნამდვილად საჭირო და სასარგებლო ჟურნალია არა მხოლოდ სპეციალისტებისთვის, არამედ საზოგადოების იმ ნაწილისთვისაც, ვისაც სამოქალაქო და სამხედრო თავდაცვა აინტერესებს. კარგი იქნება, თუ „არსენალს“ ის ახალგაზრდები წაიკითხავენ, ვისაც კარიერის სამხედრო ხაზით გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი.

**ნოდარ ნათაძე**, პოლიტიკოსი: — ამ ჟურნალის აქტიური მკითხველი ვარ. კარგია, რომ ქვეყანაში არსებობს ერთადერთი, მაგრამ მაინც პროფესიონალური ჟურნალი, რომელიც არსებულ სამხედრო ვითარებას რეალურად აღწერს და აანალიზებს კიდეც. არ ვიცი, ამ სიტყვებს ამოიღებთ თუ დატოვებთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ჩემს უფლებებს დაიცავთ და არაფერს ამოაკლებთ: თავდაცვის უწყებაში და საზოგადოდ, ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობაში მყოფი მაღალჩინოსნები „არსენალის“ აქტიური

საუბრის დროს, რომელიც არ იყო განკუთვნილი გამოსაქვეყნებლად, ბევრ საინტერესო საკითხზე ვისაუბრეთ, მათ შორის რამდენიმე დღით ადრე შეჩერებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაზეც ცხინვალთან, რომელიც უკვე ნამდვილ ომში გადადიოდა (ჩვენდა სამწუხაროდ, 2004 წლის აგვისტოს მძიმე გამოცდილება არ იქნა გამოყენებული 2008 წლის აგვისტოს, როდესაც მორიგი შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა).

ამ შეხვედრაზე პრეზიდენტმა უბრძანა თავდაცვის სამინისტროს, რომ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის" ნომრების განსაზღვრული რაოდენობა არმიაში სამხედრო მოსამსახურეებს დარიგებოდა. ეს დიდი დახმარება იყო ჩვენი, ჯერ კიდევ ფეხზე ახალდამდგარი „არსენალისთვის", მაგრამ ეს მხოლოდ სამი თვე გაგრძელდა.

2004 წლის დამლევიდან თავდაცვის მინისტრის პოსტზე მოსულმა ირაკლი ოქრუაშვილმა პირდაპირ განუცხადა „არსენალს", — თუ ჟურნალში კრიტიკული მასალების გამოქვეყნება გაგრძელდება, ჩვენ აღარ ვითანამშრომლებთო.

მაშინ „არსენალი" არჩევანის წინ იდგა: ან შეეწყვიტა დასაბუთებული კრიტიკული სტატიების გამოქვეყნება შეიარაღებულ ძალებზე და გამხდარიყო არაოფიციალურად საუწყებო ჟურნალი და დაეკარგა ის მკითხველები, რომლებიც უკვე მოუთმენლად ელოდნენ ჟურნალის ყოველი მომდევნო ნომრის გამოსვლას, ან გაეგრძელებინა დამოუკიდებელი, მხოლოდ ობიექტურობაზე დაფუძნებული არსებობა.

ბუნებრივია, „არსენალმა" მეორე გზა აირჩია, რის გამოც თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილისა და გენშტაბის უფროს ნიკოლეიშვილის პირადი მტრები გავხდით. „არსენალის" ჟურნალისტებისთვის ჩაიკეტა ყველა სამხედრო ნაწილის კარი, რაც მართლაც დიდი დარტყმა გახლდათ, რადგან თუკი სამხედრო თემებზე მომუშავე ჟურნალისტი ოფიციალურად ვერ შევიდა სამხედრო ნაწილში და არ დაუშვეს სამხედრო სწავლებებზე, ჟურნალი და, რა თქმა უნდა, მკითხველიც ბევრს დაკარგავს.

ასე გრძელდებოდა 2007 წლამდე, მაგრამ „არსენალის" პერსონა ნონ გრატად გამოცხადების მიუხედავად, ჟურნალში მაინც ქვეყნდებოდა ჟურნალისტური გამოძიებები მთელ რიგ დარღვევებზე (განსაკუთრებით შეიარაღების გაზრდილ ფასად და გაუმართავ მდგომარეობაში ყიდვის თაობაზე), რამაც მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მიწოდებით თავად პრეზიდენტიც ნეგატიურად განაწყო „არსენალის" მიმართ. სულაც არ გვინდა ნიშნის მოგებით ვთქვათ, რომ სწორედ ის საკითხები, რაშიც „არსენალი" ოქრუაშვილს, ნიკოლეიშვილსა და [illegible] აკრიტიკებდა, მთავარი მიზეზი [illegible] სააკაშვილის მიერ ოქრუაშვილის გუნდის ჩამოშორებისა.

2007 წლიდან „არსენალისთვის" სამხედრო ნაწილები მეტ-ნაკლებად გაიღო, თუმცა შეზღუდვები კვლავ გრძელდებოდა. ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტროში არ უხაროდათ ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულება ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობისადმი. როდესაც გვიმტკიცებდნენ, ნახეთ, რა ლამაზი სამხედრო აღლუმი ჩავატარეთ, რით ხართ უკმაყოფილოო, ვპასუხობდით, რომ აღლუმსა და რეალურ ბრძოლას შორის უდიდესი განსხვავებაა და პიარარმიის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუებაა.

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომმა დაადასტურა „არსენალის" შიში — სულ რაღაც ოთხდღიან ომში გამოჩნდა ქართული არმიის ყველა ის დამალული პრობლემა, რომელიც აღლუმებზე არ ჩანდა, პირველ რიგში კი მართვის უსუსტესი ორგანიზაცია, აუწყობელი კავშირგაბმულობა, დაზვერვის არარსებობა და ყველა დონის მეთაურის მომზადების ძალიან დაბალი დონე.

მარტო ტანკებისა თუ სხვა შეიარაღების შესყიდვით ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად პრობლემებს ვერ გადავწყვეტდით, მით უმეტეს, რომ ამ საბრძოლო ტექნიკის შესაძლებლობების უდიდესი ნაწილი არმიამ უცოდინარობის გამო ვერ

## მკითხველები „არსენალის" შესახებ

მკითხველები რომ ყოფილიყვნენ, რუსეთთან ომს სამარცხვინოდ არ წავაგებდით. ვიღაც მაინც ეტყოდა ან ურჩევდა თავდაცვის მინისტრს, ეს გადაწყვეტილება არ მიიღო, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვსო... რაც შეეხება იმას, თუ რას ვურჩევდი თქვენს ჟურნალს, მე, როგორც ამ ჟურნალის აქტიურ მკითხველს, მაინტერესებს, სეპარატისტულ რეჟიმებს რა შეიარაღება ჰქონდათ ომამდე და ომის დროს და რა ვითარებაა ამჟამად, რომელი დასახელებისა და რა რაოდენობის ტექნიკას აწვდის რუსეთი მათ ე.წ. სამხედრო წვრთნების დროს და რა დონის სამხედრო პირები მონაწილეობენ რუსულ-აფხაზურ სწავლებებში. ასე რომ, ამ მასალებს ინტერესით ვეცნობი, მაგრამ სასურველია, უფრო მეტი ინფორმაცია გვქონდეს. ეს საქართველოს უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება, რომელსაც დასკვნის სახით საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაციებს მიაწვდიან.

**ალეკო ელისაშვილი**, ჟურნალისტი: — იმდენად მიყვარს ეს ჟურნალი, რომ ერთხანს დიდი სიამოვნებით ვთანამშრომლობდი მასთან. მიმაჩნია, რომ საქართველოში №1 ჟურნალია. პირველი ნომრიდან ბოლო ნომრის ჩათვლით ყველა მაქვს და მე და ჩემი შვილები ინტერესით ვკითხულობთ და ვინახავთ..

**— თავიდან რატომ დაინტერესდით ამ ჟურნალით?**

— საქმე ის არის, რომ ბავშვობიდან სამხედრო ოფიცრობაზე ვოცნებობდი. მართალია, ოცნება ვერ ავისრულე, მაგრამ გულის სიღრმეში ახლაც ოფიცერი ვარ და ის ცოდნა, რის მიღებასაც ვოცნებობდი, ამ ჟურნალის საშუალებით თეორიულად ვიღებ... რაც შეეხება ჩემს აზრს იმ საქმეზე, რომელიც ძალიან მიყვარს, მაქსიმალურს ვითხოვ, საკუთარი თავის მიმართაც ძალიან კრიტიკული ვარ და „არსენალისგანაც" უფრო მეტს ვითხოვ.

**— მაინც რომელი რუბრიკის ხილვას ისურვებდით?**

— ალბათ, უფრო სიღრმისეული ანალიზი არ აწყენდა როგორც საქართველოს თავდაცვის სფეროში, ისე მსოფლიო სტანდარტების დონეზე... ასევე ვისურვებდი უფრო მეტი ავტორი ჰყავდეს, გნებავთ, უცხოელი, რომელიც საქართველოს თავდაცვის სისტემის მანკიერებებზე კვალიფიციურად და დეტალურად ისაუბრებს. მართალია, ეს რუბრიკა არის „არსენალში", მაგრამ გამოცდილი უცხოელის თვალით დანახული პრობლემა უფრო საინტერესო იქნება. აღიარებული და გამოცდილი ქართველი სამხედრო ექსპერტების აზრსაც სიამოვნებით გავეცნობი, თუმცა ასეთები ძალიან ცოტა გვყავს. გამოდის, მაინც კრიტიკაზე მალაპარაკებთ, არადა, მართლა ძალიან მიყვარს ეს ჟურნალი. ამ გაუფასურებულ ყვითელ პრესაში „არსენალს" კონკურენტი არ ჰყავს. შეიძლება სამხედრო თემით დაინტერესებული ადამიანის კვალობაზე ცოტა სახალისოდაც კი იკითხებოდეს, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას ბავშვივით ველოდები. ყოველ თვეში ორჯერ, პარასკეობით, ჩემს სახლში რომ მოხვიდეთ, ასეთი სცენა დაგვხვდებათ: მე და ჩემი მეგობრები „არსენალის" ახალ ნომერს მიმოვიხილავთ, მის ფურცლებზე წარმოდგენილ ახალ იარაღს დავახასიათებთ, შევაფასებთ და მერე მიდის მსჯელობა...

**დავით საგანელიძე**, „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი:

— მიუხედავად იმისა, რომ იარაღის

თებულო. საქართველო-რუსეთის საზღვარი. განწესიდან დასასვენებლად დაბრუნებული ქართველი მესაზღვრეები ფოტოს გადაღებისას ცოტა დაძაბულები იყვნენ. თუმცა, მერე, ორიოდ წუთში, არც ფოტოკამერა ახსოვდათ და არც დაღლილობა... „არსენალის“ მასალების განხილვა ძალიან ხმაურიანი და ემოციური იყო...



გამოიყენა, ზოგჯერ კი გაბერილ ფასად ნაყიდი იარაღი მწყობრიდან გამოსული და არაბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა.

„არსენალმა“ 2008 წლის ომისა და მის შემდგომ პერიოდში მაქსიმალური დაძაბვით იმუშავა. სწორედ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდა პირველად ქართული არტილერიისა და ავიაციის მოქმედების დეტალები და სხვა ექსკლუზიური მასალები, რომლებიც მაშინვე გადაბეჭდეს უცხოურმა ჟურნალ-გაზეთებმა და ინტერნეტგამოცემებმა.

დღესაც „არსენალის“ ურთიერთობა მთავარ სამხედრო უწყებასთან არ არის მარტივი, თუმცა ანალოგიური პრობლემები სხვა საინფორმაციო საშუალებებსაც ექმნებათ, სახელმწიფოსთან დაახლოებული ტელევიზიების გარდა.

სახელისუფლებო სტრუქტურებში ბევრი ვერ ხვდება, რომ „არსენალი“ საქართველოში ერთადერთი სპეციალიზებული სამხედრო ჟურნალია და მასში კაპრალმაც და ოფიცერმაც შეიძლება ამოიკითხოს ის ინფორმაცია, რომელსაც დღეს არც თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ასწავლიან და სამწუხაროდ, არც მათმა მეთაურებმა იციან...

რედაქციამ ძალიან კარგად იცის, რომ „არსენალი“ უნიკალური არ არის, ჩვენც მოგვდის შეცდომები და, ალბათ, მომავალშიც მოგვივა, მაგრამ ფაქტია, რომ უფრო ვიხვეწებით და მეტად პროფესიონალური ვხდებით. მათ კი, ვინც ობიექტურად (ზოგჯერ კი სუბიექტურად და დაუსაბუთებლად) გვაკრიტიკებს, კიდევ ერთხელ შევთავაზებთ: ითანამშრომლეთ „არსენალთან“, მობრძანდით რედაქციაში, გამოგვიგზავნეთ სტატიები, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები.

რაც უფრო მეტი ავტორი გამოჩნდება „არსენალის“ ფურცლებზე, მით მოიგებს მკითხველი, რადგან ჩვენ, ყველანი, საერთო საქმეს გავაკეთებთ: საქართველოში საბრძოლო სულისკვეთებისა და სამხედრო ცოდნის დონეს ვამაღლებთ, რაც ნამდვილად დიდი მამულიშვილური საქმეა!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

## მკითხველები „არსენალის“ შესახებ

მოყვარული არა ვარ, მაინც სიამოვნებით ვკითხულობ „არსენალს“, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სისტემის შესახებ სანდო ინფორმაციას ვეცნობი. ეს მხოლოდ პოლიტიკოსისთვის კი არა, ნებისმიერი ადამიანისთვის სასარგებლო ინფორმაციაა. დასამალი არავისთვის არის, რომ ტელევიზიებში ერთს ამბობენ და მეორე ხდება, აქ კი ვიცი, რომ ჟურნალ „არსენალის“ ავტორები ზღაპრებს არ მოგვიყვებიან. კარგი იქნებოდა, ამ ჟურნალის პროფესიონალიზმს სხვა გამოცემის ავტორებიც მიჰბაძავდნენ. წარმატებასა და ბევრს მკითხველს გისურვებთ.

**თინაგო გოგოტიშვილი**, ჟურნალისტი: — დიდი მადლობა მათ, ვინც ამ საქმეს აკეთებს. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კიდევაც, რომ ასეთი მიმართულების ჟურნალმა პოპულარობა მოიპოვა, არ მეგონა, თუ საქართველოში ამდენ ადამიანს აინტერესებდა ეს თემა. თავდაპირველად საკმაოდ პესიმისტურად ვიყავი განწყობილი და ვშიშობდი, მალევე დაიხურება-მეთქი. გამიხარდა, რომ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა... ვიზიარებ „არსენალის“ რედაქტორების გასაჭირს ავტორების სიმცირის გამო, რადგან ამ პრობლემას მეც კარგად ვიცნობ — თავდაცვის სფეროში ექსპერტები არ გვყავს, ამ საქმისა არავინ არაფერი იცის. რამდენიმე კაცი კი ერკვევა ამ საკითხში, მაგრამ ისეთი სამსახური აქვთ, ჟურნალთან თანამშრომლობისთვის დრო არ რჩებათ. ამიტომ ამ პირობებში ასეთი ჟურნალის გამოცემა თვეში ორჯერ მართლა დიდი საქმეა.

**— რომელი რუბრიკის დამატებას ისურვებდით?**

— ჩემი აზრით, „არსენალს“ არაფერი აკლია... ხშირად მამაკაცურ ჟურნალებში ბანალურ დანამატებს აკეთებენ და ქალების ფოტოებს დებენ, საბედნიეროდ, „არსენალი“ ამ მიმართულებით არ მიდის. ამ ჟურნალმა თავისი ნიშა იპოვა და ერთგული მკითხველიც ჰყავს. „არსენალი“ პოლიტიკურად აშკარად მიუკერძოებელია. ავტორი ფრთოსანი რაკეტის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების შეფასებისას ტენდენციური ვერ იქნება. მით უმეტეს, ინფორმაციულობას ვერ დაუწუნებ, ყველა მასალას, ოპერატიული იქნება თუ ისტორიული, ეტყობა, რომ პროფესიული თვალით არის დამუშავებული, დიდხანს ნაქექი და დეტალურად მოძიებული. სასურველი იქნებოდა, ასეთი კვალიფიციური გამოცემები მეტი არსებობდეს, მაგრამ, ეტყობა, საზოგადოება ამისთვის ჯერ არ არის მზად. ჯანმრთელობას, ბევრ ფულს, ბევრ მკითხველსა და ავტორს გისურვებთ.

P.S. ეს პუბლიკაცია წინადღით უკვე გადაცემული მქონდა რედაქციაში, როდესაც სამსახურში მიმავალი „არსენალის“ კიდევ ერთ მკითხველს გადავაწყდი. ბოლო გაჩერებაზე მდგარ № 145 „მარშრუტკის“ მძღოლს მგზავრების მოლოდინში ჟურნალის ერთ-ერთი ნომერი გადაეშალა და ინტერესით კითხულობდა. ახლად ჩაწერილი მასალის გაგრძელების იმედით გამოვეცნაური და გავიგე, რომ ეს მიკროავტობუსი „არსენალის“ „ფანკლუბის“ თავშეყრის ადგილი და ჟურნალის ნომრების საკმაოდ სოლიდური კოლექციის შესანახავი ადგილი ყოფილა. როგორც გაირკვა, ამ ხაზის თითქმის ყველა მძღოლი „არსენალის“ მკითხველია. ჩემმა მასპინძელმა მრავალჯერ გადაკითხული „არსენალებით“ სავსე „ბარდაჩოკი“-ც მაჩვენა და რედაქციაში გულითადი მოკითხვაც დამაბარა.

*ლალი პაპასკირი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფეთქებული და ჩაძირული „დიოსკურია" ამოიღეს



საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო კლასის კატარღა „დიოსკურია"

აგვისტოს ომის ერთ-ერთი მძიმე შედეგი ფოთის საზღვაო ბაზაში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის აფეთქებულ-ჩაძირული კატარღები იყო.

ეს „გმირობა" რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების 45-ე ცალკეული სადაზვერვო პოლკის ქვედანაყოფმა და პოდპოლკოვნიკმა ალექსანდრ ლებედმა ჩაიდინეს, რისთვისაც რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა ოფიცერს სახელმწიფო ჯილდო გადასცა.

2008 წლის 12 აგვისტოს რუსმა დივერსანტებმა ფოთის სამხედრო პორტში ააფეთქეს და ჩაძირეს საზღვაო ძალების კავშირის კატარღა „წყალტუბო", სარაკეტო კატარღების კლასის „თბილისი" და „დიოსკურია", სანაპირო დაცვის ძალების საპატრულო ხომალდი „აიეტი", საპატრულო კატარღები P-204 და P-205 „ორბი".

ექვსივე მცურავი საშუალება ტექნიკურად გაუმართავი იყო, ამიტომ მათი ბათუმში გადაყვანა არ მოხერხდა.

გემსადგომებთან ჩაძირული კატარღები მცურავ საშუალებებს ბაზირებაში ხელს უშლიდა, ხოლო კორპუსში დარჩენილი ჭურვები მუდმივ საფრთხეს ქმნიდა. ქართველმა მეზღვაურებმა პორტის მცურავი ამწის ПК-28-ის დახმარებით პატარა მასის „წყალტუბო" (წყალწყვა 70 ტონა), 50-ტონიანი P-104 და P-105 „ორბი" ამოიტანეს და გემსადგომზე დააყენეს.

„აიეტის" კორპუსში აფეთქებით წარმოქმნილი ნახვრეტი დაიგმანა და წყლის ამოქაჩვით ხომალდისათვის სწორი მდგომარეობის მიცემა მოხერხდა.

შედარებით დიდი მასის მქონე „თბილისი" (წყალწყვა 258 ტონა) და „დიოსკურია" (წყალწყვა 255 ტონა) წინასწარ განალმვასა და წყალქვეშ რამდენიმე ნაწილად დაჭრას მოითხოვდა.

დროთა განმავლობაში ჩაძირულ კატარღებში შლამი დაილექა, მასა გაიზარდა და შეზღუდული 100 ტონა ტვირთამწეობის ПК-28 გაზრდილი წონის ტვირთს ვერ მოერეოდა.

2009 წლის აპრილის დამდეგს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ჩაატარა სანაპირო დაცვის ბაზის აკვატორიის ჩაძირული კატარღებისაგან გასაწმენდი ტენდერი, სადაც თურქეთის მოქალაქე ჯემ აიდემირმა გაიმარჯვა.

მან სამუშაოების სამ თვეში დასრულება იკისრა და სამი კატარღის: „წყალტუბოს", „თბილისისა" და „დიოსკურიის" კორპუსებში 61 ათასი დოლარი გადაიხადა.

2009 წლის მაისში „თბილისისა" და „დიოსკურიის" წყალქვეშ დაჭრა დაიწყო, რაც საკმაოდ შრომატევადი გამოდგა.

„დიოსკურიის" მომზადება შარშანვე დაიწყო. პირველ რიგში კატარღა ფეთქებადსაშიში საგნებისაგან გათავისუფლდა, მოიჭრა წყლის ზედაპირზე დარჩენილი ზედნაშენი, საარტილერიო კოშკურები და სექტემბერში ცხვირის ამოტანა მოხერხდა.

კორპუსის შუა ნაწილისა და კიჩოს ამოტანის დროს თავი იჩინა დიდი წონით გამოწვეულმა სირთულეებმა. ზოგჯერ გადამეტებული წონის გამო გვარლები სიმძიმეს ვერ უძლებდა და წყდებოდა. რამდენჯერმე ტვირთი მასის შესამცირებლად ამწის ისარზე დაკიდებული და ნახევრად ამოტანილი დამუშავდა.

ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში ჩაძირული კატარღის ზედნაშენის ნაწილი წყლის ზემოთ დარჩა



ქართული ბიბლიოთეკა

ყველაფერ ამას თან უამინდობაც დაერთო და „დიოსკურიის" ზღვის ფსკერიდან ამოტანის ოპერაცია 3 თებერვალს დასრულდა.

„დიოსკურიის" წყალქვეშ დაჭრაზე ქართველმა და თურქმა მყვინთავებმა იმუშავეს. ყველაზე ძნელ სამუშაოს, როგორც ყოველთვის, გამოცდილი ფოთელი მყვინთავი ნოდარ მესხია ასრულებდა.

ჩაძირული კატარღების ამოსატანად დიდი შრომა გასწია მცურავი ამწე ПК-28-ის გუნდმაც კაპიტან გიზო ქოჩილავას ხელმძღვანელობით.

1957 წელს უნგრეთში „განს დანიბუსის" ქარხნის გამოშვებული ამწე მუდმივ მზადყოფნაში რომ არის, ეს უპირველესად კაპიტნისა და მისი ეკიპაჟის დამსახურებაა.

ფოტოები, რომელზეც „დიოსკურიის" ჩაძირული ნაწილების ზღვის ფსკერიდან ამოტანის პროცესია ასახული, ПК-28-ის მეამწე ლევან თოდუამ გადაიღო.



მცურავი ამწე ПК-28 და კატარღის შუა ნაწილის ამოწევის პროცესი

***ჩვენი დოსიე:*** *1971 წელს საფრანგეთის ქალაქ შერბურის ვერფზე* ***Combattante II*** *პროექტით საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის 4 სარაკეტო კატარღის მშენებლობა დაიწყო.*

***P17 Ypoploiarchos Batsis*** *(ძველი სახელი* ***Calypso*** *იყო) საფუძველი 1971 წლის 26 იანვარს ჩაეყარა და მწყობრში იმავე წლის დეკემბერში ჩადგა.*

*კატარღის სრული წყალწყვა 255 ტონა, სიგრძე 47 მეტრი, სიგანე 7,1 მეტრი და წყალჯდომა 2,5 მეტრია. 4 დიზელის ძრავა 12 ათას ცხენის ძალას ავითარებს და მაქსიმალური სიჩქარით — 36,5 კვანძით ცურვის საშუალებას აძლევს. ეკონომიური 15 კვანძით ცურვა 2000 მილზეა შესაძლებელი. ეკიპაჟი 4 ოფიცრისა და 36 მეზღვაურისაგან შედგება.*

*შეიარაღებაში შედის ოთხი ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა* ***MM38 Exocet****-ი, 2X2 35 მმ-იანი ავტომატი და 2 — 533 მმ-იანი სატორპედო აპარატი.*

*ასეთი შეიარაღება ჰქონდა კატარღას საბერძნეთის ფლოტში სამსახურის დროს.*

*2004 წლის 22 აპრილს კატარღა ბორტი 303 „დიოსკურია" ფოთში შემოვიდა და სამსახურს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შეუდგა, მაგრამ „ეკზოსეტების" და სატორპედო შეიარაღების გარეშე.*

*საქართველოს დროშით მოცურავე „დიოსკურიას" რუსები ხან სარაკეტო კრეისერის კლასის ხომალდად ნათლავდნენ, ხან* ***NATO****-ს მოთხოვნების შესაბამისად მოდერნიზებულ და უახლესი სარაკეტო სისტემებით აღჭურვილ ხომალდს უწოდებდნენ. არადა „დიოსკურიას" სარაკეტო სისტემები სულაც არ ჰქონდა და მხოლოდ წვრილკალიბრიანი არტილერიით აღჭურვილ საარტილერიო კატარღას წარმოადგენდა.*

*სამწუხაროა, რომ „დიოსკურია" ასეთი ბედის გამოდგა და თავისი ქვეყნისათვის სამსახური ბოლომდე ვერ შეძლო.*

*თემურ ჩაჩანიძე*





„დიოსკურიის" კიჩო

# თბილისი პირველად 89 წლის წინ დაიბომბა



ფრანგული გამანადგურებელი „ნიუპორ-17“ ბევრი ქვეყნის ავიაციის შეიარაღებაში შედიოდა

1921 წლის თებერვალს საქართველოში აგრესიის დროს ბოლშევიკური რუსეთი აქტიურად იყენებდა ავიაციას.

საბრძოლო მოქმედებათა წინ მე-11 წითელი არმიის ავიაციაში ორგანიზაციული ცვლილებები მოხდა: მე-18 ავიარაზმის უფროსად პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, გამოცდილი მფრინავი მიხაილ ზემბლევიჩი დაინიშნა, ხოლო 1-ელი ავიაგამანადგურებელთა დივიზიონი ივანე სპატარელიმ ჩაიბარა.

მე-11 არმიაში გადმოყვანამდე ზემბლევიჩი 1-ელი ცხენოსანი არმიის ავიარაზმის უფროსი იყო და კარგ მფრინავად, უნარიან ორგანიზატორად და მცოდნე მეთაურად ითვლებოდა.

აგრესორების განკარგულებაში დაახლოებით 30 მოძველებული და ამორტიზებული მზვერავი Farman-30, გამანადგურებლები Nieuport-10, Nieuport-17, Lebed-XII და სხვა კონსტრუქციის თვითმფრინავი იყო.

ალსტაფის სადგურის მახლობლად მდებარე აეროდრომზე დისლოცირებულმა 1-ელმა ავიადივიზიონმა 20 თებერვალს, საღამოს, ნავთლუღის სადგურისა და თბილისის დაზვერვის ბრძანება მიიღო.

მზვერავი „ფარმანი“ დავალების შესასრულებლად 21-ში, დილით გამოფრინდა. მომდევნო გაფრენებზე „წითელი“ მფრინავები საბრძოლო ამოცანებს ასრულებდნენ: ქართული არმიის პოზიციებს ბომბავდნენ და ცოცხალ ძალას ტყვიამფრქვევებს ესროდნენ.

მე-18 ავიარაზმის კომისარი სტეფან კრასოვსკი იხსენებდა: „საავიაციო რაზმი ბომბავდა მტრის ზურგში განლაგებულ ობიექტებს, ნავთლუღის აეროდრომსა და თბილისის არსენალს. ჩვენს მხარეს გადმოსულები გვეხმარებოდნენ სამიზნეების დაზუსტებაში, რაც ზუსტი დაბომბვის საშუალებას იძლეოდა.



„ლებედ XII“ მსუბუქი ბომბდამშენისა და მზვერავის დანიშნულებას ასრულებდა

ჩვენდა გასაკვირად, მოწინააღმდეგის ავიაცია წინააღმდეგობას არ გვიწევდა, თუმცა ფოტოებითა და ვიზუალური დაკვირვებით ნავთლუღის აეროდრომზე რამდენიმე ათეული ინგლისური და იტალიური თვითმფრინავი ჩანდა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ნავთლუღის იატაკქვეშა ორგანიზაციამ მფრინავ-კომუნისტ ლეონტიევს საქართველოს ავიაციის მწყობრიდან გამოყვანა დაავალა.

ლეონტიევმა მოტორისტ მობოლაშვილთან ერთად ძრავებში ზეთთან ერთად პოტაში ჩაყარა და მწყობრიდან გამოიყვანა“.

როგორც რუსები წერენ, თბილისის „გათავისუფლებაში“ შეტანილი წვლილისათვის ავიარგოლის უფროსი ალექსანდრ პეტრენკო, მფრინავები — ვსევოლოდ მელნიკოვი, ბორის კუდრინი და ლეონიდ კარნოვსკი ორდენებით დაჯილდოვდნენ, ისინი „სასიკვდილო საფრთხის უგულებელყოფითა და მძიმე კლიმატურ პირობებში, მთიან გარემოში, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი თვითმფრინავებით მამაცურ ფრენებს ასრულებდნენ, მოწინააღმდეგის შესახებ ღირებული ინფორმაცია მოჰქონდათ, ბომბებსა და დიდი რაოდენობით სააგიტაციო ლიტერატურას ყრიდნენ“.

2008 წლის აგვისტოსაგან განსხვავებით, კიდევ კარგი, რომ მაშინდელ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თვითმფრინავებს დაბომბვებით დიდი ზარალის გამოწვევა არ შეეძლოთ.

*თემურ ჩაჩანიძე*

1921 წლის თებერვალი: რუსეთის მე-11 არმიის თბილისში შემოსვლა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საგარეო დაზვერვა

# მითი და რეალობა

(გაგრძელება)

ცნობილ რუს ისტორიკოსებს, პუბლიცისტებსა და ჟურნალისტებს (დმიტრი ვოლკოგონოვს, ვლადიმერ ბუკოვსკის, როი მედვედევს, ლეონიდ მლეჩინს, კირილ სტოლიაროვს და სხვ.) ბედმა გაუღიმა, მათ 90-იანი წლების დასაწყისში, პერესტროიკის პერიოდში, კა-გე-ბესა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საარქივო ფონდების ზოგიერთი მასალის გაცნობის საშუალება მისცეს. მასალები, ძირითადად, 1918-1955 წლებს შეეხებოდა. სამწუხაროდ, რუსი მკვლევრების შეფასებები მხოლოდ რუსულენოვანი მკითხველისათვის არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირისა და რუსეთის არქივები სულ რაღაც ორი-სამი წელი იყო მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომი, დღის სინათლე მრავალმა, მანამდე გულმოდგინედ დაფარულმა საიდუმლო დოკუმენტმა იხილა.

თუ საარქივო დოკუმენტების გვერდით საბჭოთა სპეცსამსახურების ვეტერანი ოფიცრების (უპირველესად გენერალ-ლეიტენანტ პაველ სუდოპლატოვის მოგონებებს), ასევე უცხოეთში გაქცეული საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტების (გიორგი აღაბეკოვის, ვალტერ კრივიცკის, ალექსანდრ ორლოვის და სხვ.) მემუარებსაც მოვიმარჯვებთ, სიმართლესთან უფრო ახლოს აღმოვჩნდებით. ამ მასალების შესწავლისას არცთუ იშვიათად ქართულ კვალსაც ვაწყდებით.

## საბჭოთა საგარეო დაზვერვის აქტიური ოპერაციების მოკლე ქრონოლოგია

საბჭოთა საგარეო დაზვერვის არქივებიდან და მემუარული ლიტერატურიდან ამოკრეფილი ქვემოთ მოყვანილი ოპერატიული ცნობები მიუთითებს, რომ 20-40-იან წლებში საბჭოთა სპეცსამსახურების აქტიური ოპერაციების მთავარი არენა ევროპა, უპირველესად კი საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი იყო. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგანაც 20-იანი წლების დასასრულს ევროპაში მეფის რუსეთიდან ემიგრირებულ პირთა რიცხვი ორ მილიონს აჭარბებდა.

ამიტომაც იყო, რომ პარიზში მოქმედებდა საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვების როგორც ლეგალური (საბჭოთა კავშირის საელჩოს საფარქვეშ), ასევე არალეგალური (სხვადასხვა სავაჭრო ფირმის აბრას შეფარებული) რეზიდენტურები. თუ ამას კომინტერნის აგენტურასაც დავამატებთ, აღმოჩნდება, რომ მეორე მსოფლიო ომამდე საფრანგეთი საბჭოთა სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის ძირითადი ობიექტი იყო.

1924 წლის მარტში პარიზში საბჭოთა დაზვერვამ გადაიბირა ყოფილი მეფის რუსეთის გენერალი პაველ დიაკონოვი, რომელიც რევოლუციამდე რუსეთის სამხედრო ატაშე იყო დიდ ბრიტანეთში და ამ ქვეყანაში რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტურას ხელმძღვანელობდა. დიაკონოვის გადაბირების შემდეგ აგენტურული მონაცემები ბოლშევიკებს ჩაუვარდათ ხელში, რაც კარგად გამოიყენეს.

1925 წლის 16 აპრილს საბჭოთა დაზვერვის ბოევიკებმა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, ტაძარში ნაღმი ააფეთქეს, რასაც 150 კაცი ემსხვერპლა, მაგრამ თავდასხმის ობიექტები არ დაშავებულან.

1925 წლის 6 აგვისტოს საბჭოთა დაზვერვის აგენტებმა გერმანიის ქალაქ მაინცის ლუდის ბარში სასმელში საწამლავი ჩაუყარეს და მოწამლეს ვლადიმირ ნესტეროვიჩი — პირველი საბჭოთა მზვერავი, რომელიც პოლიტიკური შეხედულებების გამო ბოლშევიკებისგან ევროპაში გაიქცა.

კარლ-გუსტავ ემილ მანერჰაიმი



1926 წელს საბჭოთა აგენტები ალექსანდრ ვეკმანი და ალექსანდრ ენტროხი ჰელსინკიში თავს დაესხნენ ცნობილ ფინელ გენერალ კარლ-გუსტავ მანერჰაიმს, მაგრამ უშედეგოდ. ორივე საბჭოთა ბოევიკი ფინეთის პოლიციამ დააკავა და შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელს სატუსაღოში იხდიდნენ. ერთი წლის შემდეგ ფინეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტ ვასილი ზარუბინის წყალობით ბოლშევიკების საგარეო დაზვერვის ორივე აგენტი საბჭოთა ციხეებში მყოფ ფინელ ოფიცრებზე გადაცვალეს.

1930 წლის 26 იანვარს პარიზში საბჭოთა დაზვერვის თანამშრომლებმა იაკობ სერებრიანსკის („იაშა") ხელმძღვანელობით მოიტაცეს რუსი გენერალი, РОВС-ის ხელმძღვანელი ალექსანდრ კუტეპოვი (1882-1930წწ.), რომელიც შემდეგ საბჭოთა გემზე გარდაიცვალა, სავარაუდოდ, მისმა გულმა ვერ გაუძლო გამაყუჩებელი პრეპარატების დიდ დოზას.

1930 წლის 30 იანვარს საბჭოთა პოლიტბიურომ მიიღო საიდუმლო დადგენილება „უცხოეთში სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურების შესახებ". სულ მალე საბჭოთა დაზვერვის არალეგალური რეზიდენტურები შეიქმნა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, აშშ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, დანიაში, თურქეთსა და ჩინეთში.

ალექსანდრე კუტეპოვი



1930 წლის 10 სექტემბერს საბჭოთა აგენტმა პეტრე კოვალსკიმ მოახერხა ემიგრანტი რუსი გენერლის, „რუსეთის საერთო-სამხედრო კავშირის“ (РОВС) დაზვერვა-კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის ნიკოლაი სკობლინის (ოპერატიული ფსევდონიმი „ეჭ-1“, „ფერმერი“) და მისი მეუღლის, ცნობილი რუსი მომღერლის ნადეჟდა პლევიცკაიას გადაბირება. გენერალი სკობლინი აქტიურად მონაწილეობდა თეთრი ემიგრაციის (უპირველესად კი სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის) გასანადგურებელ ბოლშევიკების დაგეგმილ სპეცოპერაციებში.

1932 წლის 6 მაისს რუსმა ემიგრანტმა პაველ გორგულოვმა პარიზში პისტოლეტით მოკლა საფრანგეთის პრეზიდენტი, 75 წლის პოლ დიუმერი. ერთ-ერთი ვერსიით, ფსიქიკურად დაავადებული მკვლელი საბჭოთა დაზვერვის აგენტებმა წააქეზეს. კრემლი იმედოვნებდა, რომ ამ ტერაქტის შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლება თეთრ ემიგრანტებს ქვეყნიდან გააძევებდა.

იმავე წლის 30 მაისს პარიზში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა რუსი ემიგრანტი, კაპიტანი არკადი პოლუნინი, რომელიც გენერალ კუტეპოვის გატაცების საქმის გამოძიებას ცდილობდა.

1933 წლის 17 ივლისს საბჭოთა დაზვერვის აგენტმა ა. ადლერმა გადაიბირა ლევ ტროცკის ვაჟის, ლევ სედოვის თანაშემწე მარკ ზბოროვსკი (ოპერატიული ფსევდონიმები: „მარკი“, „ეტიენი“), რომელიც შემდგომ განსაკუთრებით აქტიურობდა ტროცკისტური მოძრაობის ფიზიკური და პოლიტიკური განადგურების ღონისძიებებში.

1934 წლის 10 ივლისს საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვა გადავიდა სსრკ-ის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-7 განყოფილების დაქვემდებარებაში.

1936 წლის 25 იანვარს პარიზში, ბულონის ტყეში, საბჭოთა დაზვერვის აგენტებმა მოკლეს უცხოეთში გაქცეული საბჭოთა დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი დმიტრი ნავაშინი, ხოლო იმავე წლის 24 ივლისს ცნობილი ტროცკისტი ანდრე ნანი გახდა სტალინის ბოევიკების მსხვერპლი.

1936 წლის 10 აგვისტოს პარიზში საბჭოთა აგენტმა ტაჯიხანოვმა („ჰასანი“) მოკლა ყოფილი საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი თეირანსა და სტამბოლში, შემდეგ კი საფრანგეთში გაქცეული გიორგი აღაბეკოვი. ამ წარმოშობით სომეხ ჩეკისტს, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქართულ ემიგრაციაში აგენტურის შეგზავნის ოპერაციებთან, ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

1936 წლის 22 სექტემბერს საბჭოთა დაზვერვის სპეციალურმა ოპერატიულმა ჯგუფმა საბჭოთა აგენტის, გენერალ სკობლინის დახმარებით პარიზიდან მოიტაცა „რუსეთის საერთო-სამხედრო კავშირის“ თავმჯდომარე გენერალი ევგენი მილერი (1867-1937 წწ.), რომელიც მოსკოვში ჩაყვანის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

1936 წლის 6 ნოემბერს „იაშას“ ბოევიკების ჯგუფმა პარიზში გაიტაცა ლევ ტროცკის პირადი არქივის დიდი ნაწილი.

1938 წლის 16 თებერვალს პარიზში საბჭოთა დაზვერვის ბოევიკებმა მოწამლეს ლევ ტროცკის 32 წლის ვაჟი ლევ სედოვი. იმავე წლის 13 ივლისს საბჭოთა ბოევიკებმა პარიზში მოკლეს ცნობილი ტროცკისტი რუდოლფ კლემენტი, ხოლო 1940 წლის 20 აგვისტოს საბჭოთა დაზვერვის აგენტმა, ესპანელმა რამონ მერკადერმა მექსიკაში მოკლა სტალინის დაუძინებელი მტერი და საბჭოთა ბოევიკების მთავარი სამიზნე ლევ ტროცკი.

1941 წლის 10 თებერვალს საბჭოთა დაზვერვის აგენტებმა ვაშინგტონის ერთ-ერთ ოტელში მოკლეს საბჭოთა დაზვერვის ყოფილი რეზიდენტი, შემდგომ აშშ-ში გაქცეული ვალტერ კრივიცკი (ნამდვილი გვარი სამუელ გინზბერგი).

ზემოთ ჩამოთვლილ აქტიურ ღონისძიებებში ქართველი ჩეკისტები იშვიათად მონაწილეობდნენ, რადგანაც მათი უმთავრესი ამოცანა, რომელიც პირადად სტალინმა დაუსახა ლავრენტი ბერიას, უცხოეთში ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის განადგურება იყო.

## სად არის საქართველოს ჩეკა-ოგპუ-ნკვდ-კგბ-ს არქივები

საქართველოში არსებული სუკ-ის არქივების შესწავლის საშუალება გაცილებით მცირე დროით და მცირერიცხოვანი მკვლევრისთვის იყო ხელმისაწვდომი. სუკ-ის არქივების ისტორიული მნიშვნელობის საქმეებთან დაშვება ოდნავ გაიოლდა 90-იანი წლების დასაწყისში. ისიც მხოლოდ ერთ-ორი წლით. შემდგომ წლებში კი სუკ-ის არქივებთან დაშვება ქაჯეთის ციხის აღებას დაემსგავსა და დღესაც უპირატესად კონიუნქტურული ნიშნით ხდება — მხოლოდ „რჩეულ“ ჟურნალისტებსა და ტელეკომპანიებს ულიმის ბედი. ამიტომ საბჭოთა დაზვერვის საიდუმლო ოპერაციებში ქართველი მზვერავებისა და აგენტების შესახებ თხრობისას, ძირითადად, ზემოთ დასახელებული რუსული წყაროების მოხმობა მოგვიწევს.

სამწუხაროდ, კვლავ გვიხდება იმ ფაქტის კონსტატირება, რომ 1991 წლის შემდეგ საქართველოს სუკ-ის არქივების ის ნაწილი, რომელიც 20-50-იანი წლების რეპრესიებს ასახავდა, უკვალოდაა გამქრალი, ოფიციალური ვერსიით კი დაიწვა-დაიკარგა. საქართველოს შსს საარქივო სამმართველოში დღეს არსებული საქმეები (გრიფით: „საიდუმლო“ და „სრულიად საიდუმლო“) მიზეზთა გამო სრულად არ არის შემორჩენილი.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველოს შსს-ს საარქივო სამმართველო 2008 წლის 1-ელი აპრილიდან ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცემს ყოველკვარტალურ ჟურნალ „საარქივო მოამბეს“. სხვათა შორის, საქართველოს უშიშროების სამინისტროში არსებული ისტორიული არქივების გახსნის განკარგულება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვალში გასცა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ დაიძრა საქმე ადგილიდან. დღემდე „საარქივო მოამბის“ სულ შვიდი ნომერია გამოსული და თითოეულში ას გვერდზე ოდნავ მეტია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის საქართველოს შსს-ს არქივებში, ოფიციალური ინფორმაციით, 20000-ზე მეტი საარქივო ერთეულია დაცული და თითოეულში საშუალოდ ათი ფურცელია, მაშინ მხოლოდ ამ ჟურნალის იმედად ყოფნა არას გვარგებს. თავად განსაჯეთ, თუ ამ ტემპით გაგრძელდა საარქივო მასალების პუბლიკაცია-მიმოხილვა, სულ მცირე 500 წელია საჭირო იმისთვის, რომ ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებმა დღის სინათლე იხილოს.

ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმა შეძლო სუკ-ის არქივების გაცნობა და საყურადღებო ნაშრომიც გამოაქვეყნა, მაგრამ უსახსრობის გამო ბევრი ახალი წიგნი კვლავ დღის სინათლეს ელის. არც საქართველოს უშიშროების სისტემის ვეტერანები გვანებივრებენ მემუარების წერით. დრო კი ულმობლად მიქრის და შეიძლება ბევრი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი სამუდამოდ მიეცეს დავიწყებას.

ამიტომ საქართველოს კონტრდაზვერვისა და საგარეო დაზვერვის ისტორიის კვლევისას, ძირითადად, უცხოელი და რუსი ისტორიკოსების, პუბლიცისტების ნაშრომებსა და ყოფილი საბჭოთა ჩეკისტების მემუარებზე გვიხდება დაყრდნობა. თუმცა ამ პუბლიკაციებში მოყვანილი ფაქტები ზედმიწევნით ანალიზს საჭიროებს.

## საბჭოთა სპეცსამსახურები ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ

საქართველოს დაზვერვა-კონტრდაზვერვის დანაყოფები საბჭოთა სპეცსამსახურების ორგანული ნაწილია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი მთავარი ამოცანა ქართული ემიგრაციის დაშლა იყო. 1921-დან 1990 წლამდე საქართველოს

სსრ ჩეკა-გპუ-ნკვდ-კგბ-ს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციების დაგეგმვა-ჩატარება წარმოადგენდა.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული დეზინფორმაციული ოპერაციის შესახებ და გენერალ გიორგი კვინიტაძის მოტაცების მცდელობის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი და ერთიანი მიზანმიმართული ოპერატიული გეგმის ნაწილი იყო. ერთიანი მოზაიკური პანო კი შემდეგ ოპერაციებს ითვალისწინებდა:

## ქართული ემიგრაციის რიგებში ძველი აგენტურის გააქტიურება

ქართველი და რუსი ბოლშევიკები ჯერ კიდევ 1918 წლიდან ატარებდნენ ლეგენდირების ოპერაციებსა და სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების), ეროვნულ-დემოკრატების (ედპ), სოციალისტ-ფედერალების (ესერები) და სხვა პარტიებში მყოფი ქართველი ეროვნების აგენტურის ღრმა დაშიფვრას ახდენდნენ. 1921 წლის მარტიდან ეს აგენტებიც თანდათან ემიგრაციაში გაჰყვნენ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და საზღვარგარეთ გააგრძელეს აგენტურული მუშაობა.

## ქართული ემიგრაციის რიგებში ახალი აგენტურის შეგზავნა

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბევრ პატრიოტთან ერთად საზღვარგარეთ ემიგრაციაში საკმაოდ ბევრი ჩეკას ახალი აგენტიც წავიდა. სხვადასხვა წელს საქართველოს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის აგენტები ქართული ემიგრაციის რიგებს შეერწყნენ და ოპერატიული დავალებების შესრულებას შეუდგნენ.

## ქართული ემიგრაციის რიგებიდან აგენტურის გადაბირება

ემიგრაციის რიგებში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, მატერიალურმა სიდუხჭირემ და სამშობლოს ნოსტალგიამ ბევრ ემიგრანტს თავის გადარჩენისა და უკან დაბრუნების სურვილი გაუღვივა. ეს კი ბოლშევიკების წინაშე დამსახურებისა და ემიგრაციაში მათი დავალებების შესრულების გარეშე მოუღწეველი ო[illegible]

ქართველი ემიგრან[illegible]ბა უპირატესად შანტაჟით ხდებოდა. ბევრ მათგანს საქართველოში ჰყავდა ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, რამაც ბოლშევიკებს საშუალება მისცა მათზე ზემოქმედებით ემიგრაციაში მყოფი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეებიდან ბევრი გადაებირებინა.

1921 წლიდან ქართული ემიგრაცია ბოლშევიკების ბევრი სპეცოპერაციის ობიექტი გახდა. ქვემოთ მხოლოდ ყველაზე რეზონანსულ ფაქტებზე გვექნება საუბარი.

P.S. საქართველოს უშიშროების სისტემის ვეტერანებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ, რათა ერთობლივად შევისწავლოთ საქართველოს უახლესი ისტორიის განუყოფელი ნაწილის — დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურების საქმიანობა.

*ბესიკ ალადაშვილი*
*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების

აზერბაიჯანის სანაპირო დაცვამ შექმნის ხუთი წლისთავი იზეიმა




## აზერბაიჯანი

● 26-29 მაისს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში შეიარაღებისა და სამხედრო-ტექნიკური ქონების I საერთაშორისო გამოფენა KADEX-2010-ში მონაწილეობის მისაღებად მიწვევები მიიღეს: თავდაცვისა და თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროებმა და სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურმა. გამოფენის მიზანია ადგილობრივი წარმოების შეიარაღების დემონსტრირება, მოწინავე ტექნოლოგიების გაცნობა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა დაინტერესება.

● 18 თებერვალს ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ტერტერის, გერანბოისა და აღდამის რაიონების რამდენიმე სოფლის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს, რასაც აზერბაიჯანის არმიის 3 სამხედრო მოსამსახურის დაღუპვა მოჰყვა. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სომხების დანაკარგი ბევრად მეტი იყო.

● 18 თებერვალს სანაპირო დაცვის მეხუთე წლისთავი აღინიშნა. საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე ახალი ხომალდ S-704 Neftegaz-9-ის პრეზენტაცია გაიმართა. სტუმრებმა ბაქოს მახლობლად, დაბა თურკანში მდებარე სანაპირო დაცვის ბაზა დაათვალიერეს და გაეცნენ საზღვაო საზღვრების კონტროლის სისტემას, რომელიც კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში გემების მოძრაობას ადევნებს თვალყურს და მათ უსაფრთხო ცურვას უზრუნველყოფს. ასეთივე სადგურები ასტარაში, ლენქორანსა და ნეფთჩალაში მოქმედებს.

● რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივმა ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება: ყარაბაღის ომის დროს სომხების მიერ ხოჯალაში, ყარადაღლში, მესელსა და სხვა სოფლებში კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის 286 პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. გადაწყვეტილია მათი დაპატიმრება. აზერბაიჯანის ინტერპოლის ეროვნულ ბიუროს საერთაშორისო ძებნის გამოცხადების თაობაზე თხოვნა უკვე გადაეცა. დასაკავებელ პირთა შორის არიან სტეფანაკერტში განთავსებული საბჭოთა არმიის 366-ე მოტომსროლელი პოლკის რუსი და სომეხი ეროვნების ოფიცრები. ხოჯალის ტრაგედიაში მონაწილე 38 პირზე საერთაშორისო ძებნა უკვე გამოცხადებულია.

## სომხეთი

● „სომხეთი ყარაბაღის საკითხზე დათმობაზე არ წავა, სანამ ყარაბაღის სტატუსი არ განისაზღვრება", — ასე ფიქრობს სომხეთის განმათავისუფლებელ ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, „დავით სასუნცის" სახელობის რაზმის ჩამომყალიბებელი და მეთაური ჰამლეტ ოვსეპიანი. „თუ აზერბაიჯანელებს ოდნავადაც დავუთმობთ, მაშინ ისინი მეტს მოგვთხოვენ, ამიტომ ჩვენ დათმობაზე არ წავალთ, ვიდრე სტატუსი არ განისაზღვრება", — განაცხადა ოვსეპიანმა და დასძინა, რომ ვეტერანთა 99% მზად არის ყარაბაღის დამოუკიდებლობის დასაცავად.



ყარაბაღის არმიას საბრძოლო პოზიციები უკავია და მზადყოფნაშია

# მიმოხილვა...



კაზაკებისათვის სამხედრო სამსახური დალევის გარეშე წარმოუდგენელია

● პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა შეთანხმებას ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების შექმნაზე. პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე არმენ რუსტამიანის თქმით, ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალები აზერბაიჯანის აგრესიულ ქმედებას შეაჩერებს.

● სომხეთის 40-კაციანი სამშვიდობო კონტინგენტი 14 თებერვალს ავღანეთში დისლოკაციის ადგილზე, ქალაქ ყუნდუზში ჩავიდა, სადაც აეროპორტს გერმანელ სამხედროებთან ერთად დაიცავს. ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე სომხური კონტინგენტის შემადგენლობაში შედიან ქვეითთა ოცეული, ოფიცერი-ექიმი და 3 საშტაბო ოფიცერი.

● 22 თებერვალს შედგა სომეხი ხალხის სამხედრო ისტორიის ენციკლოპედიის პირველი ორი ტომის პრეზენტაცია. პირველი ტომი ბრინჯაოს ეპოქის სომხეთის მთიანეთის შეიარაღებას, ხოლო მეორე კი ვანის სამეფოს ომებსა და სამხედრო ხელოვნებას შეეხება.

● „NATO-ს დელეგაციამ დადებითად შეაფასა ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის სომხეთში რეალიზაცია (IPAP)“ — გაავრცელა განცხადება სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

## ჩრდილო კავკასია

● რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის ნიკოლაი მაკაროვის თქმით, რუსეთის არმიაში ერთ წელიწადში კაზაკებით დაკომპლექტებული ორი სამხედრო ნაწილი ჩამოყალიბდება. ამჟამად კაზაკთა შორის გაწვევა უმნიშვნელოა და 1500 კაცს არ აღემატება. კაზაკთა ნაწილები თავდაცვის სამინისტროს დაექვემდებარებიან. 10 თებერვალს პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა კაზაკთა წოდებები დაამტკიცა. მათ იასაულის, ურიადნიკის, სოტნიკისა და ვახმისტრის წოდებები ოფიციალურად მიენიჭებათ.

● 18 თებერვალს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფართოებულმა კოლეგიამ, პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მონაწილეობით, სამინისტროს გენერლის რანგის 15 ხელმძღვანელი გაათავისუფლა. მათ შორის არის გენერალი არკადი ედელოვიც, რომელმაც საქართველოზე არაერთი ცილისმწამებლური განცხადება გააკეთა.

## კონფლიქტური რეგიონები

### აფხაზეთი

● თურქეთმა საქართველოს ხელისუფლებას წინა წლებში აფხაზეთის პორტებში უნებართვო მიმოსვლისათვის დაკავებული ხუთი თურქული სავაჭრო გემის გათავისუფლებისაკენ მოუწოდა.

● თურქეთის სანაოსნო ფირმები სეპარატისტული აფხაზეთისკ[illegible] არ წყვეტენ. 12 თებერვა[illegible] პორტში თურქულ მშრალტვირთმზიდზე ხანძარი გაჩნდა. მართალია, ხანძრის კერის ლოკალიზება მოხერხდა, მაგრამ ერთმა ოდესელმა მეზღვაურმა მძიმე დამწვრობა მიიღო და ნაპირზე გადაიყვანეს. გემის, რომელმაც აფხაზეთში ცემენტი გადაიტანა, სახელი უცნობია.

● 17 თებერვალს მოსკოვში თვითმარქვია აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ და რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რუსული საოკუპაციო ჯარების სამხედრო ბაზის განვითარებასა და მხარეთა შორის შეიარაღებული ძალების ურთიერთმოქმედებათა შესახებ, რომელიც საზღვაო კომუნიკაციების უსაფრთხოებასაც შეეხება. ხელშეკრულება 49-წლიანია, შემდგომში მისი მოქმედების ვადების გაგრძელება შესაძლებელია.

● 22 თებერვალს გარდაიცვალა 1996-2002 წლებში სეპარატისტთა ყოფილი თავდაცვის მინისტრი ვლადიმირ მიქანბა. მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის განათლებით მას სხვადასხვა წელს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მაღალი პარტიული და სამეურნეო თანამდებობები ეკავა. თავდაცვის მინისტრობის შემდეგ ბოლო დროს სპორტულ სფეროში საქმიანობდა.

### ცხინვალის რეგიონი

● 16 თებერვალს საოკუპაციო ჯარების სატანკო ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ „ძარწემის“ პოლიგონზე საცეცხლე მომზადებაში მეცადინეობა ჩაატარა. რუსული სატანკო ბატალიონი T-90 ტიპის ტანკებით არის აღჭურვილი.

აფხაზეთის პორტებში უკანონო მიმოსვლისათვის დაკავებული თურქული გემები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მფრინავი ლაზერი




ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტომ საჰაერო ბაზირების საბრძოლო ლაზერი გამოცადა, რომლის დროსაც გაანადგურეს ბალისტიკური რაკეტები. როგორც სააგენტოს პრესრელიზშია ნათქვამი, ლაზერულმა სისტემამ გამოცდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაბაზის მახლობლად გაიარა, რომელიც კალიფორნიის შტატში, პოინტ-მუგუში მდებარეობს.

საჰაერო ბაზირების ლაზერზე მუშაობა, აშშ-ში ჯერ კიდევ გასული



Boeing 747-400F-ზე ლაზერული სისტემა ABL-ისა და მისი შემადგენელი კომპონენტების განთავსების სქემა



საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. პროექტზე ერთდროულად რამდენიმე კომპანია მუშაობს. საჰაერო პლატფორმის როლს ასრულებს გადაკეთებული სამოქალაქო თვითმფრინავი Boeing 747-400F, რომელზეც ფირმა Northrop Grumman-ის შექმნილი ლაზერი დამონტაჟდა, დამიზნების სისტემაზე კი Lockheed Martin-ი მუშაობს.

პირველი გამოცდა კომპლექსმა 2007 წლის 16 მარტს კალიფორნიაში, ედვარდსის ავიაბაზაში გაიარა, რომლის დროსაც ბალისტიკური რაკეტის მომუშავე ძრავას იმიტატორზე სამიზნის დაფიქსირებისა და მისი გაცილების სისტემა გამოიცადა. 2009 წლის 18 აგვისტოს თვითმფრინავ YAL-1-ზე დაყენებული ერთმეგავატიანი ლაზერის პირველი გამოცდა ჩატარდა. 2010 წლის 3 თებერვალს ჩატარებული გამოცდა კი მყარ საწვავზე მომუშავე ბალისტიკური რაკეტის განადგურებას ისახავდა მიზნად. 11 თებერვალს საჰაერო ბაზირების ლაზერით პირველად განადგურდა როგორც მყარ, ასევე თხევად საწვავზე მომუშავე ბალისტიკური რაკეტები. რაკეტის სტარტის შემდეგ თვითმფრინავის საბორტო დამიზნების სისტემამ სამიზნე მიზანში ამოიღო, რის შემდეგაც თვითმფრინავის ცხვირა ნაწილში მოძრავ ტურელზე დამაგრებული ლაზერული დანადგარიდან რაკეტის მიმართულებით ლაზერის ძლიერი სხივი იქნა გაშვებული. მთელი ოპერაცია დაახლოებით ორ წუთს გაგრძელდა. პირველი გამოცდიდან ერთი საათის შემდეგ კი კუნძულ სან-ნიკოლასიდან, რომელიც პოინტ-მუგუდან დაახლოებით 100 კმ-ითაა დაშორებული, გაუშვეს მეორე — მყარსაწვავიანი რაკეტა, რომელიც ასევე განადგურდა. მანძილი, რომლიდანაც ლაზერის საშუალებით ზემოაღნიშნული რაკეტები განადგურდა, უცნობია.

თვითმფრინავი YAL-1 აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა. თავდაპირველად, პროგრამის საერთო ღირებულება 2,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა. იგეგმებოდა ორი პროტოტიპისა და ხუთი სერიული თვითმფრინავის აგება. 2006 წლისთვის პროექტზე დახარჯული თანხის ოდენობამ 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რის გამოც პროგრამა ABL (Air Borne Laser — საჰაერო ბაზირების ლაზერი) ტექნოლოგიების დემონსტრატორის დონემდე შემცირდა.

ცოტა ხნის წინ კი გახმაურდა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის მეთაურის, გენერალ ნორტონ შვარცის განცხადება, რომლის თანახმადაც, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები არ აპირებენ საჰაერო ბაზირების ქიმიური ლაზერების შეძენას, რადგან მყარ საწვავზე მომუშავე ლაზერები შეიარაღების გაცილებით პერსპექტიულ სახეობად მიაჩნიათ. გენერლის თქმით, სისტემა უდავოდ დიდი ტექნიკური მიღწევის სიმბოლოა, თუმცა მას არაერთი ნაკლი აქვს. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, სავარაუდოდ, ეს მყარ საწვავზე მომუშავე ლაზერების გაცილებით მცირე გაბარიტებია. სისტემა ABL-ის B747-400F-ზე დამონტაჟებისას ის ამ უკანასკნელის მთელ ფიუზელაჟს იკავებს.

2009 წლის მარტში ამერიკულმა კომპანია Northrop Grumman-მა განაცხადა, რომ მან 100 კილოვატის სიმძლავრის მყარ საწვავზე მომუშავე ლაზერი შექმნა. მისი სხივი ელექტროენერგიის საშუალებით წარმოიქმნება, რასაც, თავის მხრივ, თვითმფრინავის ძრავასთან დაკავშირებული სისტემა გამოიმუშავებს.

*თემურ პულუზაშვილი*

„ლაზერული თვითმფრინავის" ცხვირა ნაწილში დამონტაჟებული მოძრავი ტურელური დანადგარი — სწორედ აქედან ხდება სამიზნის მიმართულებით ლაზერის სხივის გაშვება





# „ციკლონის“ ცენტრში

2010 წლის 11 თებერვლის ღამით გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური კონგრესმენი ჩარლი უილსონი. ზოგიერთს ის მსოფლიოში დემოკრატიისათვის მებრძოლ, ამერიკის გულწრფელ პატრიოტად მიაჩნდა, ზოგიერთს კი — ბინძურ საქმოსნად. ასეა თუ ისე, სწორედ ჩარლი უილსონი იყო საიდუმლო ოპერაცია „ციკლონის“ სულისჩამდგმელი. სწორედ ამ ოპერაციამ აიძულა საბჭოთა კავშირი, ჯარები გაეყვანა ავღანეთიდან, რაც „ცივი ომის“ უკანასკნელ ბრძოლაში შეერთებული შტატების გამარჯვებად აღიქმებოდა.

1979 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა გამოსცა ბრძანებულება ავღანეთში ანტიკომუნისტური ძალების მოწინააღმდეგეთა დაფინანსების შესახებ, 1980 წელს კი კონგრესში მოხსენებით გამოვიდა ჩარლი უილსონი და კოლეგებს მოუწოდა, გაეორმაგებინათ დახმარება ავღანური წინააღმდეგობისათვის. მოჯაჰედთა მოძრაობა (იმ დროისათვის „მოჯაჰედი“ ჯერ კიდევ უცხო სიტყვა იყო) საგარეო დახმარების გარეშე უსუსური იყო ტექნიკურად აღჭურვილი და რიცხვმრავალი საბჭოთა ჯარებისა და მათდამი ლოიალურად განწყობილი ავღანელთა მცირე ნაწილის წინაშე. სენატორ უილსონის ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს აგენტის მაიკლ ჯ. კვიკერსისა და სხვა ლობისტების წყალობით ოპერაცია „ციკლონს“ საბჭოთა ექსპანსიასთან საბრძოლველად 10 წლის განმავლობაში რამდენიმე მილიარდი დოლარი გამოუყვეს. 1987 წლისათვის საიდუმლო ოპერაციის ბიუჯეტმა წელიწადში 630 მილიონ დოლარს მიაღწია.

შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დამოუკიდებელ ავღანეთში საბჭოთა კავშირის აგრესიის გამო ოფიციალურად დიდი უკმაყოფილება და აღშფოთება გამოხატა.

ამერიკელებს ნამდვილად ჰქონდათ არა მარტო უკმაყოფილების, არამედ პროტესტისა და შიშის საბაბიც, რადგან თუკი რუსები ავღანეთს დაიპყრობდნენ, მათ გზა გაეხსნებოდათ აღმოსავლეთით პაკისტანისკენ, დასავლეთით კი — ირანისკენ. არც ერთი და არც მეორე ვარიანტი ამერიკელებს ხელს არ აძლევდა. თუნდაც იმიტომ, რომ აზიის ეს უზარმაზარი რეგიონი ნავთობით მდიდარია. გარდა ამისა, არც იმის განსაზღვრა შეიძლებოდა, რას გადაწყვეტდა ექსტრემალურ სიტუაციაში საბჭოთა კავშირის პოლიტბიურო და მისი „წარბა“ მეთაური. ამ დროისათვის ხომ ეს უზენაესი ორგანო პენსიონერთა თავშესაფარი იყო.

მაგრამ „ზოგი ჭირი მარგებელიაო“... ამერიკელებისთვის რუსების ავღანეთში შეჭრა, სიმართლე ითქვას, არც მოულოდნელი ყოფილა და არც არასასურველი. ეროვნული უშიშროების საკითხებში კარტერის მრჩეველმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ 1998 წელს, Le Nouvelle Observateur-ის კორესპონდენტთან ინტერვიუში გულწრფელად განაცხადა, შეერთებული შტატების უმაღლესი ხელისუფლება გახარებულია, რომ რუსები ავღანურ ხაფანგში გაებნენო: „ჩვენ აშკარად არ ვუბიძგებდით რუსებს ომში ჩაბმისკენ, მაგრამ რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ ავღანეთში შეჭრის ალბათობის ასამაღლებლად. როცა მდგომარეობა ჩვენი სცენარის მიხედვით წარიმართა,



საბჭოთა სამხედრო კოლონა ავღანეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჩარლი უილსონი ავღანეთში მოჯაჰედებთან ერთად 1980-იანი წლები

პრეზიდენტ კარტერს მივწერე: ახლა კი შეგვიძლია რუსებს ახალი ვიეტნამი მოვუწყოთ-მეთქი. ამგვარი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა დიდი სახელმწიფოებისთვის, ისინი ომში ითრევენ ერთიმეორეს და ამჯობინებენ, დაპირისპირება მესამე ქვეყანაში მოხდეს. ამ უკანასკნელის ბედი კი არც ერთ მათგანს არ აღელვებს. ასე იწერება „დიდი პოლიტიკის" ისტორია — უდანაშაულო ადამიანების სისხლით. გარკვეული არ არის, იცოდა თუ არა ჩარლი უილსონმა რა აზრები მწიფდებოდა კარტერისა და ბჟეზინსკის ტვინებში, მაგრამ ფაქტია, იგი სასურველად და მარჯვედ ჩაეწერა იმდროინდელი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში (როგორც ჟირინოვსკი, კადიროვი და სხვები ეწერებიან რუსეთის ტრადიციულ პოლიტიკაში, მათ ველიკორუსული შოვინიზმით გამსჭვალულ აგრესიულ გამოხდომებს დუმილით ეთანხმება დუმა).

პოლიტიკური ბომონდისათვის უილსონი უმნიშვნელო ფიგურა იყო. ავღანეთის კამპანიის დასაწყისში მას არა მსოფლიო სამართლიანობა, არამედ თავისი პრობლემები უფრო აღელვებდა. მაგალითად, როგორ დაეძვრინა თავი ბრალდებებისგან, რომლებიც პერიოდულად ატყდებოდა თავს. მაგალითად, კონგრესის შენობაში ნარკოტიკების გამოყენება, ვისკის სმა დილაობით და ასევე სამსახურში, ფეხმსუბუქ ქალებთან გართობა.

ერთ-ერთი საყვარლის, ჯოანა ჰერინგის რჩევით მან პაკისტანში ავღანელ ლტოლვილთა ბანაკი დაათვალიერა. „არასოდეს დამავიწყდება საველე ჰოსპიტალი, სადაც რუსული შვეულმფრენებიდან ჩამოყრილი ნაღმებისაგან ხელებმოგლეჯილი ბავშვები ვნახე. ამ შთაბეჭდილებებმა განსაზღვრა ჩემი ცხოვრების მომდევნო ათი წელიწადი. მტკიცედ გადავწყვიტე, სანამ ცოცხალი ვარ და აშშ-ის კონგრესს წარმოვადგენ, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ რუსებმა პასუხი აგონ ავღანეთში ჩადენილი ბოროტმოქმედებების გამო", — განაცხადა მან.

ამერიკელების გარდა, ავღანელ მოჯაჰედებს ეხმარებოდნენ პაკისტანი, ისრაელი და საუდის არაბეთი, მაგრამ მათი „ინტერნაციონალური თანაგრძნობა" ვაშინგტონიდან იყო წაქეზებული. ბედის ირონიაა, რომ ერთი მხრივ რუსეთის აგრესიამ და მეორე მხრივ, ამერიკის დახმარებამ საფუძველი ჩაუყარა ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციას, როგორიცაა „თალიბანი". ოპერაცია „ციკლონსა" და „ალ-ქაიდას" შორის კავშირი დღემდე დავის საგანია. და მაინც, როგორც კი რუსებმა ჯარი გაიყვანეს ავღანეთიდან, აშშ-მა ინტერესი დაკარგა ამ ქვეყნის მიმართ (ეს ამერიკელთა თვისებაა, როგორც კი კომუნისტური რეჟიმი დაემხო, ინტერესი დაკარგეს საბჭოთა დისიდენტების მიმართ და ბედის ანაბარად მიატოვეს). რუსული საოკუპაციო ჯარის გასვლის შემდეგ ავღანეთმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, ინერციით კი პაკისტანიდან შესული იარაღისა და ადამიანთა რესურსების დაგროვება გააგრძელა. პაკისტანის ხელისუფლება ამას შეეწინააღმდეგა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ის ავღანელი ლიდერები, რომლებიც თავიდან იოლად სამართავი ჩანდნენ, ახალ ძალამოცემულები კონტროლს აღარ ექვემდებარებოდნენ. ომისგან გაპარტახებულ სახელმწიფოში ხელისუფლების სიცარიელე კი თალიბებმა შეავსეს. განიცდიდა თუ არა ჩარლი უილსონი ოპერაცია „ციკლონის" ჩავლავებას? ალბათ, არა. „იმ დროს ჩვენ ვებრძოდით ბოროტების იმპერიას და ამაზე უარის თქმა ჰიტლერთან ბრძოლაზე უარის თქმის ტოლფასი იქნებოდა. ვის გაეგონა მაშინ აუდსახსენებელი სიტყვა „თალიბანი?" — იცავდა თავს 2007 წელს ჩარლი უილსონი და ამაყად ამბობდა, ბოროტების იმპერია ამერიკელებმა ისე დავამხეთ, საკუთარი სისხლის ერთი წვეთიც არ დაგვიღვრიაო.

P.S. დიდი სახელმწიფოები, რომლებიც გამუდმებით ექიშპებიან ერთმანეთს, არასოდეს მოიშლიან, რომ თავიანთი აშკარა თუ ფარული დაპირისპირება მესამე, პატარა ან ნაკლებგანვითარებულ ქვეყანაში გადაიტანონ (დემოკრატიის განვითარების, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ან სხვა „ჰუმანური" საბაბით), შემდეგ კი ნაჯიბულასა და მისი მოწინააღმდეგე აჰმად შაჰ-მასუდის მსგავსი ფავორიტები გაიჩინონ. „დახმარების" საბაბი ხომ უნდა ჰქონდეთ — (ხშირად გამოყოფილი მილიარდები ამა თუ იმ ქვეყანაში შედის მოძველებული მოდიფიკაციის იარაღისა და აღჭურვილობა-ამუნიციის, ვადაგასული სურსათისა და ნაღდი ფულის სახით, რომლის უდიდეს ნაწილს ორივე მხარის მაღალჩინოსნები ინაწილებენ".

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან დღემდე რა ქაოსიც სუფევს ავღანეთში, ცნობილია. იმასღა დავძენთ, რომ ამხელა ქვეყანა მხოლოდ ნარკოტიკებს აწარმოებს და სხვას არაფერს. „აქლემების ჩხუბში კოზაკი გაიჭყლიტაო", — გვასწავლის აღმოსავლური ანდაზა, რომლის ხშირ-ხშირად გახსენებაა საჭირო.

*თამაზ ჟორჟოლიანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანგული ტანკები



„არსენალში“ მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

წინა ნომერში ისრაელის გამოცდილება განვიხილეთ, ამ ნომერში კი საფრანგეთის ტანკმშენებლობაზე მოგითხრობთ...

ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.

## შეტევა სავალალო შედეგით

პირველი მსოფლიო ომის გაჭიანურებულმა პოზიციურმა ბრძოლებმა და ცოცხალი ძალის დიდმა დანაკარგმა დაჯავშნული ტექნიკის შექმნის საჭიროებაზე საფრანგეთის არმიის 22-ე საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ჟან-ბატისტ ეტიენიც დააფიქრა.

საფრანგეთის არმიის მთავარსარდლის მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ პოლკოვნიკმა დახმარებისათვის ავტომობილების ცნობილ კონსტრუქტორსა და საავტომობილო ფირმის მფლობელ ლუი რენოს მიმართა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მუხლუხა ტექნიკის შექმნის გამოუცდელობის მომიზეზებით უარი უთხრა.

მაშინ ეტიენი იარაღის დიდ მწარმოებელ ფირმა შნეიდერ-კრეზოს დაუკავშირდა და ახალი საქმით დააინტერესა, მით უფრო, რომ ფრანგები ლა-მანშის გაღმა მიმდინარე სამუშაოებზე ინფორმირებული იყვნენ.

„შნეიდერში“ ტანკის პროექტირება დიდი მონდომებითა და გაქანებით დაიწყო, მაგრამ ბრიტანელებს მაინც ვერ დაასწრეს.

ფრანგული Schneider CA1-ის საბრძოლო ნათლობა 1917 წლის 16 აპრილს ოპერაცია „ნიველში“ ბერი-ან-ბაკის მახლობლად შედგა. საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელთა პოზიციებისაკენ ფრანგი ქვეითები ყუთებისმაგვარი დაჯავშნული ტრაქტორებით დაიძრნენ, მაგრამ ძლიერ საარტილერიო ცეცხლში მოექცნენ და შეტევაში მონაწილე 132 ტანკიდან 76 მწყობრიდან გამოვიდა.




ალლუმებზე ჯავშანტექნიკის გამოჩენა პარიზელთა ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი მარცხიდან
# ყველაზე ძვირად ღირებულ ტანკამდე

## ფრანგული სკოლის თავისებურებები

მაშინდელი ფრანგი სამხედროების აზრით, სასაზღვრო ბრძოლებში მოწინააღმდეგის ძალების დასუსტებაში მთავარ როლს არტილერია ასრულებდა, ხოლო გადამწყვეტ მოქმედებებში ტანკებს ქვეითების თანხლება-საცეცხლე მხარდაჭერის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ამ კონცეფციის შესაბამისად სატანკო პარკის დიდი ნაწილი მსუბუქმა ტანკებმა დაიკავა.

ფირმები: Renault-ი, Hotchkiss-ი და FCM საკავალერიო შენაერთების მსუბუქი სადაზვერვო ტანკის, კავალერიის მხარდამჭერი ტანკის, კავალერიის მხარდამჭერი ძირითადი ტანკისა თუ ქვეითების მხარდამჭერი ტანკის შექმნაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.



პირველი ფრანგული ტანკი — „შნეიდერის" CA1 ყუთს ჰგავდა



ორი მსოფლიო ომის მონაწილე „რენოს" მსუბუქი ტანკი FT17

სრულფასოვანი გამოყენებისათვის საკმარისი არ იყო.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე ფირმა „რენომ" მსუბუქი FT17 შექმნა, სადაც კომპონირების კლასიკური სქემა პირველად გამოიყენა — მართვის ორგანოების ადგილი ტანკის წინა ნაწილში, ძრავა-ტრანსმისია — კიჩოში, შეიარაღება კი შუაში განთავსდა. კოშკურა 37 მმ-იანი ქვემეხით აღიჭურვა და ასევე პირველად წრიული 360-გრადუსიანი ბრუნვის გაკეთება შეეძლო.

ტანკის კონსტრუქცია თანდათან იმდენად დაიხვეწა, რომ FT17-ით აღჭურვილმა საფრანგეთის არმიის შვიდმა სატანკო ბატალიონმა 1940 წელს გერმანიასთან ომში მონაწილეობა მოასწრო.

ფრანგული მსუბუქი ტანკების წონა 5-14,5 ტონის, ხოლო სიჩქარე კი საათში 20-30 კმ-ის ფარგლებში მერყეობდა. შეიარაღებაში ჰქონდათ ტყვიამფრქვევი ან ტყვიამფრქვევი ქვემეხთან ერთად. ყველაზე მეტად გავრცელებული ფირმა Puteaux-ის 37 მმ-იანი ნახევრად ავტომატი SA18 იყო, ის წუთში 15 გასროლის გაკეთებას ასწრებდა.

ბევრად ნაკლები გავრცელება 25 მმ-იანმა და 45 მმ-იანმა ქვემეხებმა პოვა. შეზღუდული შიდა მოცულობა, დაბალი სიჩქარე და მცირერიცხოვანი ორკაციანი ეკიპაჟი ტანკის

### 1918-39 წლების ფრანგული ტანკმშენებლობის ნიმუშები





მეორე მსოფლიო ომის წინ „რენოს" მსუბუქი ტანკი R35 საფრანგეთის არმიაში ყველაზე მრავალრიცხოვნად იყო წარმოდგენილი

სამკაციან ეკიპაჟს 40 მმ-იანი ჯავშანფილე-ბი იცავდა.

მძიმე ტანკებიდან საფრანგეთის არმიას პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ფირმა FCM-ის 2C ტიპის ტანკები შემორჩა. იმდროინდელი ყველაზე მძიმე დაჯავშნული მანქანის მასა 69 ტონას აღემატებოდა, ხოლო 75 მმ-იან ქვემეხსა და 4 ტყვიამფრქვევს 12-კაციანი ეკიპაჟი ემსახურებოდა. ამ კოლოსის კორპუსი 45 მმ-იანი ჯავშანფილებით იყო დაფარული.

ყველაზე მასობრივ მძიმე ტანკად B1 დარჩება, რომელსაც 1935 წლიდან ერთდროულად ხუთი ფირმის ქარხანა აწარმოებდა და 1940 წლის 15 ივნისამდე 403 ცალის გამოშვება მოასწრეს.

საინტერესო გამოდგა 1934 წელს „რენოს" გამოშვებული ქვეითების თანხლები მსუბუქი R35. კონსტრუქტორებმა მისი კორპუსი კარკასზე ქანჩებით დამაგრებული 32-40 მმ სისქის ჯავშანფილებით გააკეთეს.

ტანკის შეიარაღებაში 37 მმ-იანი ქვემეხი და 7,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევი იყო. კარგი ტექნიკურ-ტაქტიკურ მონაცემთა გამო R35 საფრანგეთის არმიის ყველაზე მრავალრიცხოვან მსუბუქ ტანკად დარჩა. გამოშვებული 1630-დან 1070 საფრანგეთში დარჩა, ხოლო დანარჩენი სხვა ქვეყნებში გაიყიდა.

„რენოს" კონკურენტმა ფირმა Hotchkiss-მა 1934 წელს თავისი კონსტრუქციის, მაგრამ R35-თან მაქსიმალურად უნიფიცირებული H35 გამოუშვა.

ორივე ტიპის ტანკით აღჭურვილი სატანკო ბატალიონები ფრანგებმა 1940 წელს ევროპასა და ჩრდილო აფრიკაში მიმდინარე ბრძოლებში გამოიყენეს.

ფირმა Somua-მ 1935 წელს არმიას საშუალო კლასის S-35 გადასცა. „სომუას" მოდელი სამხედროებმა მოიწონეს და მან

საფრანგეთის სატანკო მრეწველობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მოქანავე კოშკურიანი AMX-13 დარჩება



ძირითადი საშუალო ტანკის ადგილი დაიკავა. გამოშვებული ხუთასივე ტანკი მექანიზებული საკავალერიო პოლკების აღჭურვას მოხმარდა.

20 ტონა წონის S-35 საათში მაქსიმალურ 37 კილომეტრს ავითარებდა და 47 მმ-იანი ქვემეხითა და 7,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული, ხოლო

ქვეითების თანმხლები მძიმე ტანკის კონცეფციის შესაბამისად შექმნილი 32-ტონიანი B1-ის შეიარაღებაში 75 მმ-იანი და 47 მმ-იანი ქვემეხები და ორი 7,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევი შევიდა.

იმ პერიოდის საფრანგეთის სატანკო ჯარების განვითარებაში არცთუ მცირე წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ოფიცერმა შარლ დე გოლმა.

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში პოდპოლკოვნიკმა დე გოლმა რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა, სადაც მომავლის ომებში ტანკების დიდ მნიშვნელობაზე, ტანკების გამოყენების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე წერდა და მთავრობას სატანკო ჯარების განვითარებისაკენ მოუწოდებდა.

მოწინავე არმიის რეფორმირების გეგმა, რომელიც 500 ტანკზე გათვლილი 6 სატანკო-მექანიზებული დივიზიის შექმნას ითვალისწინებდა, მაგრამ 1935 წელს ეროვნულმა კრებამ რეფორმას მხარი არ დაუჭირა.

მეორე მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სატანკო ჯარები დაახლოებით 3100 ტანკს ითვლი-

სადაზვერვო ჯავშანავტომობილი ან ბორბლებიანი ტანკი EBR 75



ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მაგრამ მისი პოტენციალის სრულად გამოყენება ვერ მოხერხდა.

დიდი რაოდენობით ალაფად დარჩენილი ჯავშანტექნიკა კი გერმანიის არმიის სამსახურში ჩადგა.

## ახალი ტექნიკა და ახალი მიდგომები

ოკუპაციის წლებშიც კი ფრანგი ინჟინრები ახალი ტანკების კონსტრუირებაზე მუშაობას განაგრძობდნენ და ომის შემდგომი პერიოდის პირველი ტანკი ARL-44 არმიამ 1946 წელს მიიღო.

ARL-44 ომამდე პერიოდის ტენდენციათა გათვალისწინებით შეიქმნა, მაგრამ არასაიმედო სავალი ნაწილის გამო, 60 ცალი ტანკის გამოშვების შემდეგ, მისი წარმოება შეწყდა.

თანამედროვე ტანკმშენებლობის ფრანგულ სკოლაში მთავარი ადგილი დაჯავშნის ხარისხის ამაღლებასა და საცეცხლე შესაძლებლობათა გაძლიერებას უკავია, რაც არაერთი ნოვატორული სიახლის დანერგვის საფუძველი გახდა.

პირველი თაობის ფრანგული ჯავშანტექნიკის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მსუბუქი AMX-13 დარჩება, რომლის საცდელი ნიმუშის აგება 1948 წელს დასრულდა.

საინტერესო კონსტრუქციის ტანკის მოქანავე კოშკურაში 75 მმ-იანი ქვემეხი ხისტად დამაგრდა, ლულის დიდი ნაწილის წინ გამოწევით კი კოშკურაში მხოლოდ უკანა ნაწილი და ჩამკეტი დარჩა. კოშკურის გარეთ გამოვიდა უკუგორვასაწინაღო მოწყობილობაც. ამ სიახლეებმა კოშკურის ზომა შეამცირა და ქვემეხის დატენვის ავტომატი მოითხოვა. სიახლემ ეკიპაჟი სამ კაცამდე დაიყვანა.

ტანკში გამოყენებული ქვემეხი გერმანული SdKfz.171 Panther-ას 75 მმ-იანი KwK 42 L/70-ის ანალოგია.

AMX-13-ის ქვემეხი წუთში 10 გასროლის გაკეთებას ასწრებს და ვერტიკალურ სიბრტყეში +13°-დან -6°-მდე სექტორს ფარავს.

ჯავშნის მაქსიმალური სისქე 40 მმ-ს არ აღემატება, მაგრამ ძრავა-ტრანსმისიის კორპუსის წინა ნაწილში გადმოტანით ეკიპაჟის დაცვა გარკვეულწილად გაიზარდა.

1952-64 წლებში AMX-13 სერიული წარმოებაში იყო. სხვადასხვა დროს სახელმწიფო არსენალი (ARE) თვეში 45 ტანკს უშვებდა.

ფრანგების შექმნილი ორიგინალური კონსტრუქციის მოქანავე კოშკურა FL10 იმდენად კარგი გამოდგა, რომ საცეცხლე შესაძლებლობათა ასამაღლებლად ამერიკული „შერმანების" კოშკურები შეცვალა.

AMX-13-ს რამდენიმე მოდერნიზაცია ჩაუტარდა: ქვემეხის კალიბრი ჯერ 90 მმ-მდე, შემდეგ კი 105 მმ-მდე გაიზარდა. 1960 წელს გამოვიდა ტანკის მოდელი AMX-13 T75, რომელსაც კოშკურაზე ოთხი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა SS-11 ჰქონდა დამაგრებული. 7700 AMX-13-დან დაახლოებით 3300 ტანკი 25 ქვეყანაში გაიყიდა.

50-იანი წლების დასაწყისში AMX-13-ის მოქანავე კოშკურა მაღალი გამავლობის საავტომობილო შასიზე (ბორბლების ფორმულა 8X8) დააყენეს და ასე შეიქმნა სადაზვერვო ჯავშანავტომობილი EBR 75, მაგრამ ზოგიერთი სამხედრო სპეციალისტი EBR 75-ს ბორბლებიან ტანკს უწოდებს.

1956 წელს საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამ ევროპული ტანკის ერთობლივი პროექტი დაიწყეს, ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლები შეთანხმდა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში საფრანგეთმა და გერ-



1966 წელს არმიამ შეიარაღებაში ტანკი X30 მიიღო



სპარსეთის ყურე, 1991 წელი — ფრანგი ტანკისტები და AMX30B2



„ლეკლერკს“ განსაკუთრებული არაფერი ეტყობა, მაგრამ ყველაზე ძვირი კი ღირს



ტანკის ცეცხლის მართვის სისტემა



„ლეკლერკის“ კოშკურაზე დაყენებული დაკვირვების ხელსაწყოები

მანამ თავ-თავიანთი ეროვნული ინტერესების გამო მუშაობის გაგრძელება ცალ-ცალკე ამჯობინეს.

ფრანგული პროექტის შედეგად საშუალო ტანკი AMX-30 დაიბადა. არმიამ ახალი ტანკი შეიარაღებაში 1966 წელს მიიღო და მისი სერიული წარმოება 1989 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

AMX-30-ის წონა 36-37 ტონაა და აღჭურვილია 105 მმ-იანი ქვემეხით, რომელსაც ეჟექტორი და ლულის მუხრუჭი არა აქვს. ამჯერად ფრანგებმა ქვემეხის დამტენ ავტომატზე უარი თქვეს და ეკიპაჟს მეოთხე წევრი — დამტენი დაუმატეს.

ტანკის აღჭურვილობაში შედის ყველა აუცილებელი მოწყობილობა: მანძილმზომი, პერისკოპული სამიზნე დღის სატელევიზიო და ღამის ინფრაწითელი არხებით, ღამის შენათების ინფრაწითელი პროჟექტორი, კონდიციონერი, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, დეგაზაციის მოწყობილობა და სხვ.

1982 წელს მოდერნიზებული AMX-30B2 მოდელი გამოჩნდა გაუმჯობესებული ცეცხლის მართვის სისტემითა და სატელევიზიო აპარატურით, ხოლო ქვემეხთან შეწყვილებული ტყვიამფრქვევის ადგილი 20 მმ-იანმა ავტომატმა დაიკავა.

კონცერნმა GIAT-მა სულ 2340 ტანკი გამოუშვა, საიდანაც საფრანგეთის არმიას 1300 AMX-30 და მათ შორის 400 AMX-30B2 გადაეცა.

სხვა ქვეყნებიდან საუდის არაბეთის რეზერვში 145 AMX-30S, არაბთა გაერთიანებული საამიროს 45 AMX-30B და კატარს 30 AMX-30 (საფრანგეთისაგან უსასყიდლოდ მიიღო) ჰყავს.

ფრანგებმა მძიმე ტანკიც შექმნეს და 1951 წელს საცდელ პოლიგონზე 55-ტონიანი AMX-50 გავიდა. ტანკის კორპუსისათვის შუბლისა და ბორტების ჯავშნის რაციონალური დახრა მოიძებნა, ხოლო ჯავშნის მაქსიმალურმა სისქემ 100 მმ-ს მიაღწია.

ტანკი გერმანული კარბიურატორიანი ძრავა Maybach HL 295-ით აღიჭურვა, რომელიც 850 ცხ. ძალას ავითარებდა და საათში მაქსიმალური — 51 კილომეტრით გადაადგილებას უზრუნველყოფდა.

AMX-50-ის პირველ მოდელზე 90 მმ-იანი ქვემეხი მოქანავე კოშკურაში დაიდგა. მომდევნო მოდელებში კალიბრი ჯერ 100 მმ-მდე გაიზარდა, ხოლო შემდეგ 120 მმ-ს მიაღწია.

ამ ტანკის სერიული წარმოებაზე უარი ითქვა, რადგან ისედაც დიდ ხარჯებს არასტანდარტული 120 მმ-იანი ქვემეხიც დაემატა. მაშინ NATO-ს ქვეყნების სტანდარტიზებული სატანკო ქვემეხის კალიბრი 105 მმ-იანი იყო.

ფრანგული ტანკმშენებლობის ბოლო მიღწევა კლასიკური სქემით შესრულებული ძირითადი საბრძოლო ტანკი AMX-56 Leclerc-ია.

„ლეკლერკში“ პირველ რიგში გამოსაყოფია დიდი რაოდენობის მიკროპროცესორები, რომლითაც ტანკის ყველა სისტემის მუშაობა კონტროლდება.

ეკიპაჟს შეუძლია ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია სხვა ეკიპაჟებთან გაცვალოს, მიიღოს მონაცემები დარჩენილი ჭურვებისა თუ საწვავის რაოდენობაზე და ა.შ.

„ლეკლერკზე“ დაყენებულია მართვადი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით დასხივების გამაფრთხილებელი სისტემა, ძრავის მუშაობის დროს ჭვარტლიანობის შესამცირებელი მოწყობილობა, ავტომატური ცეცხლმქრობი სისტემა საბრძოლო და ძრავა-ტრანსმისიის განყოფილებებში დაყენებული გადამწოდებით და სხვ.

120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი გერმანული „ლეოპარდისა“ და ამერიკული „აბრამსის“ ქვემეხების ანალოგიურია. აქვს ავტომატური დამტენი და წუთში 12 გასროლის გაკეთებას ასწრებს. შეიძლება მისი ხელით დატენვაც.

სარეკლამო მონაცემებით დამიზნების ავტომატიზებულ სისტემას 60 წამში 6 სხვადასხვა მიზნისათვის შეუძლია ცეცხლის გახსნა. განსხვავებული სახის ჭურვებისათვის მიზანში მოხვედრის ალბათობა 1,5-2,0 კილომეტრის დიაპაზონში 95%-ს შეადგენს.

ფრანგული „ლეკლერკი“ ძალიან ძვირი — 9-10 მილიონი დოლარი ღირს და ასეთი „ძვირფასი“ ტანკით ჯერჯერობით მსოფლიოში საფრანგეთის გარდა, მხოლოდ ერთ-ერთი მდიდარი ქვეყნის — არაბთა გაერთიანებული საამიროს არმიაა აღჭურვილი.

*შალვა გოგიბერიძე*

# LECLERC

ეროვნული ბიბლიოთეკა





MTAR-21 (Micro)




STAR-21 (Sniper)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტანკები კორეიდან ცხინვალის ომამდე

## სპარსეთის ყურე. 1991 წელი



„აბრამსი" T-72-თან პირველი სატანკო დუელის მოლოდინში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი" №24-26, 2009 — №1-4, 2010

1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის არმია ქუვეითში შეიჭრა. იმავე დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 660-ე რეზოლუცია მიიღო და ერაყს ჯარების გაყვანა მოსთხოვა, მაგრამ ბაღდადმა საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნა არად ჩააგდო.

სადამ ჰუსეინის მითითებით შექმნილმა პროერაყულმა დროებითმა მთავრობამ კი ქვეყნის ერაყის შემადგენლობაში მიღება მოითხოვა. თხოვნა სწრაფად დაკმაყოფილდა და ქუვეითის ერთი ნაწილი ბასრის პროვინციას შეუერთდა, მეორე კი ცალკე, მე-19 პროვინციად იქცა.

პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების გაეროს არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, ბაღდადი ოკუპირებული ქვეყნიდან ჯარების გაყვანას არ აპირებდა.

29 ნოემბერს უშიშროების საბჭოს 678-ე რეზოლუციამ ერაყს წინა რეზოლუციის შესრულება ისევ მოსთხოვა და თან გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად ყველანაირ საშუალებებს მიმართავდა, რაც მრავალეროვანი ძალებით სამხედრო ოპერაციის ჩატარებას გულისხმობდა.

ასეთი ძალების ფორმირება კი უკვე მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ 6 აგვისტოს საუდის არაბეთის მეფე ფაჰდიმ აშშ-ს სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უფროსის გადაწყვეტილების თანახმად 8 აგვისტოს საუდის არაბეთში კონტინენტური ამერიკიდან 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის (ფორტ-ბრეგი) ქვედანაყოფები გადასხდნენ.

საჰაერო მედესანტეებს 24-ე ქვეითი (ფორტ-სტიუარტი), 101-ე საჰაერო-მოიერიშე (ფორტ-კემპბელი), 1-ელი საკავალერიო (ფორტ-ჰუდი), მე-2 ჯავშანსატანკო (ფორტ-ჰუდი) და 1-ელი ქვეითი (ფორტ-რაილი) დივიზიები, მე-3 ცალკეული ჯავშანსაკავალერიო პოლკი (ფორტ-ბლისი) და სხვა შენაერთები თუ ქვედანაყოფები შეუერთდნენ.

დასავლეთ გერმანიიდან საუდის არაბეთში 1-ელმა ჯავშანსატანკო (ანსბახი), მე-3 ჯავშანსატანკო (მაინის ფრანკფურტი) და მე-3 ქვეითმა (ვიურცბურგი) დივიზიებმა, მე-2 ცალკეულმა ჯავშანსაკავალერიო პოლკმა (ნიურნბერგი) და სხვა შენაერთებმა გადაინაცვლეს.

ამერიკის არმიის სახმელეთო ჯარების დივიზიათა შემადგენლობაში ჯავშანსატანკო ბატალიონების სხვადასხვა რაოდენობა შედის. ქვეით დივიზიას — 1, მექანიზებულს — 4 და ჯავშანსატანკოს კი — 6 ჯავშანსატანკო ბატალიონი ჰყავს.

შტატით ბატალიონი 58 ტანკზეა გათვლილი, მაგრამ საუდის არაბეთში ზოგიერთი დივიზია არასრული შემადგენლობით გაიგზავნა, ხოლო სხვების შემადგენლობაში ცვლილება მოხდა და ტანკების რაოდენობაც შეიცვალა.

მაგალითად, ოპერაციაში 1-ელი ჯავშანსატანკო დივიზია 313 ტანკით მონაწ-



ქვიშაში ჩაფლული ტანკები საავიაციო დარტყმების შემდეგ ჯართად იქცა



**ავიაციის მიერ განადგურებული ერაყის არმიის ჯავშანკოლონა**

ილეობდა, მე-3 ჯავშანსატანკო — 360-ით, 24-ე ქვეითი — 216-ით, 1-ელი ქვეითი — 132-ით და ა.შ.

სახმელეთო ჯარების ჯავშანსატანკო ბატალიონები მთლიანად უახლესი წარმოების Abrams M1 და M1A1 მოდელის ტანკებით იყო აღჭურვილი.

გამონაკლისი იყო მე-3 ცალკეული ჯავშანსაკავალერიო პოლკი, რომელსაც ბრიტანული 105 მმ-იანი ქვემეხით შეიარაღებული M60A1E3 Patton-ები ჰყავდა.

მედესანტეთა საცეცხლე მხარდაჭერისათვის თავისი სატანკო ბატალიონი (19 მსუბუქი ავიასადესანტო M551 Sheridan-ი) საუდის არაბეთში 82-ე დივიზიამაც გადაიყვანა.

ოპერაციაში საზღვაო ქვეითთა კორპუსის ორი დივიზია (1-ელი და მე-2 დივიზიები) და საზღვაო ქვეითთა 1-ელი და მე-2 სატანკო ბატალიონები მონაწილეობდნენ. შეიარაღებაში ორივე ბატალიონს „პატონები" ჰყავდა.

საზღვაო ქვეითებს მოგვიანებით რეზერვიდან გამოძახებული და „აბრამსებით" აღჭურვილი მე-4 სატანკო ბატალიონიც დაემატა.

ამერიკელი სამხედროების განკარგულებაში არსებული დაახლოებით 2000 ტანკიდან 1848 ძირითადი საბრძოლო ტანკი „აბრამსი" იყო.

ქუვეითის გათავისუფლებისათვის ომში ჯავშანტექნიკა მრავალეროვანი ჯარების შემადგენლობაში მყოფმა კიდევ რამდენიმე ქვეყანამ გაგზავნა.

1990 წლის ოქტომბერში საუდის არაბეთში ბრიტანეთის არმიის მე-7 ჯავშანსატანკო ბრიგადა 114 ძირითადი ტანკი FV4030 Challenger Mk.3-ითა და 12 მსუბუქი ტანკი FV101 Scorpion-ით გადასხდა.

ბრიტანელთა კიდევ ერთი — მე-4 ჯავშანსატანკო ბრიგადა 43 „ჩელენჯერს" ითვლიდა და მე-7 ბრიგადასთან ერთად შექმნა 1-ელი ჯავშანსატანკო დივიზია, რომელიც ამერიკულ დივიზიებთან ერთად მრავალეროვანი ძალების მთავარ დამკვრელ ძალაში — VII ამერიკულ საარმიო კორპუსში გაერთიანდა.

შედარებით მცირერიცხოვანი ფრანგული კონტინგენტის განკარგულებაში მე-4 დრაგუნთა სატანკო პოლკი და სპეციალურად უდაბნოსათვის მოშზადებული AMX-30B2 ტიპის 44 ტანკი იყო.

მრავალეროვან ძალებს საუდის არაბეთის არმიის 258 M60A3 და 290 AMX-30S შეუერთდნენ, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში სამეფო-სატანკო ქვედანაყოფები არ ჩართულან.

ეგვიპტემ ერაყელებთან საბრძოლველად ორი დივიზია — მე-3 მექანიზებული (200 M60A3) და მე-4 მექანიზებული (250 M60A3) — გამოყო.

სადამ ჰუსეინის საწინააღმდეგო კოალიციის ჯარების შემადგენლობაში სირიის არმია მე-9 ჯავშანსატანკო (250 T-55, T-62K/M, T-72) დივიზიით იყო წარმოდგენილი.

სამშობლოს გასათავისუფლებლად ქუვეითის არმიის ახალშექმნილი სატანკო ქვედანაყოფებიც იბრძოდნენ.

1990 წლის აგვისტოში ქუვეითელთა 5 სატანკო პოლკი (143 Chieftain Mk3/3P, Mk5/5P და 70 Vickers Mk1) თითქმის მთლიანად განადგურდა, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ სატანკო ქვედანაყოფების სწრაფად აღორძინების პირობები შექმნა.

1989 წელს ქუვეითმა იუგოსლავიაში 200 M-84 (T-72-ის იუგოსლავიური ვარიანტი) იყიდა, მაგრამ მიწოდებამ დაიგვიანა და ტანკების პირველი პარტიები 1991 წლის შემოდგომაზე საუდის არაბეთის ტერიტორიაზე შევიდა, სადაც არმიის ხელახალი ფორმირება მიმდინარეობდა.

მრავალეროვან ძალებს ებრძოდა საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიარაღებულ-მომზადებული ერაყის არმია, რომლის სატანკო პარკში დაახლოებით 5500 ტანკი იყო.

ერაყელებს 3600 T-54/55 (აგრეთვე ჩინური 59/69-1 და რუმინული TR-77), 1200 — T-62 და 500-მდე T-72Б (აგრეთვე პოლონურ-ჩეხური T-72Б და ერაყში აწყობილი T-72M1Asad Babil-ი) ჰყავდათ.

**ნაქები T-72 და ჭურვების დეტონაციის შედეგი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჯავშანგამტან M829A1 ჭურვს მოწინააღმდეგის ტანკები მწყობრიდან უპრობლემოდ გამოჰყავდა**

გარდა ამისა, ერაყს საბჭოთა წარმოების 100-მდე მცურავი ტანკი ПТ-76 და ბრიტანული 200-300 Chieftain Mk3/3P და Mk5/5P ჰყავდა, რომლის ერთი, დიდი ნაწილი ირანთან ომის შემდეგ ალაფად დარჩა, ხოლო მეორე კი იორდანიამ დაუთმო.

შედარებით თანამედროვე T-72-ებით მხოლოდ გვარდიის შვიდი სატანკო-მექანიზებული დივიზია იყო აღჭურვილი. პირადი შემადგენლობაც საბრძოლო მომზადებითა და შემართებით არმიაზე ბევრად მაღლა იდგა.

უშუალოდ საბრძოლო მოქმედებათა ზონაში მრავალეროვანმა ძალებმა — 3500, ხოლო ერაყმა კი 3700 ტანკი განათავსა.

ერაყის არმიის სამხრეთ დაჯგუფების (5 ჯავშანსატანკო, 1 მექანიზებული და 5 ქვეითი დივიზია) მთავარი ამოცანა თავდაცვითი ბრძოლებით მოწინააღმდეგის შეჩერება და ბაღდადისათვის მისაღებ პირობებზე ცეცხლის შეწყვეტის მიღწევა იყო, მაგრამ ეს გეგმა მრავალეროვანი ძალების ავიაციის თავდასხმებმა დაასამარა. 17 იანვრიდან ავიაცია ერაყელთა საბრძოლო პოტენციალის მაქსიმალურად დასუსტების მიზნით ხანგრძლივ და მასირებულ საავიაციო დარტყმებზე გადავიდა.

ტექნიკის გადასარჩენად ერაყელი სამხედროები იყენებდნენ შესანიღბავ ბადეებს, მინა-პლასტიკისა და რეზინის გასაბერ ტანკებს, საბრძოლო მანქანებს, თვითმფრინავებსა თუ რაკეტების გასაშვებ დანადგარებს, მაგრამ ხშირად ეს სასურველ შედეგს არ იძლეოდა.

ოპერაციის სახმელეთო ნაწილის დაწყებამდე 3-4 დღით ადრე მრავალეროვანი ძალების სამანევრო ჯგუფებმა (მოტოქვეითები და ტანკები) საბრძოლო შვეულმფრენების მხარდაჭერით მოწინააღმდეგის პოზიციების სუსტი ადგილების გამოსავლენად ფრონტის სხვადასხვა მონაკვეთზე შეტევების იმიტაცია გააკეთეს.

24 თებერვალს 4:30 საათზე მრავალეროვანმა ძალებმა ქუვეითიდან ერაყელების განდევნის ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში" დაიწყეს, მოწინააღმდეგეს რამდენიმე მხრიდან შეუტია.

ფრონტის ცენტრალურ მონაკვეთზე ამერიკელთა მე-7 საარმიო კორპუსის (1-ელი მექანიზებული და 1-ელი საკავალერიო დივიზიები, მე-2 ცალკეული ჯავშანსაკავალერიო პოლკი, ბრიტანული 1-ელი ჯავშანსატანკო დივიზია) შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა მძლავრი დარტყმა მიაყენეს.

დასავლეთ მიმართულებაზე მე-18 საჰაერო-სადესანტო კორპუსის 101-ე საჰაერო-მოიერიშე და 24-ე ქვეითი დივიზიები, მე-3 ცალკეული ჯავშანსაკავალერიო პოლკი, 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ბრიგადა, ფრანგული მე-6 მსუბუქი ჯავშანსატანკო დივიზია მოქმედებდნენ.

ამერიკელთა 1-ელმა და მე-2 საზღვაო ქვეითთა დივიზიებმა, ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთისა და ქუვეითის შენაერთებთან ერთად სანაპიროს შეუტიეს.

38-დღიანმა საავიაციო დარტყმებმა ნაყოფი გამოიღო და ერაყელთა დაჯგუფება სტრატეგიულ ზურგს მოსწყდა. ამის გამო მისი მომარაგება საბრძოლო მასალებით, საწვავით, საკვებითა და წყლით ძალზე გაჭირდა. არმიის საბრძოლო სულისკვეთებაც დაეცა და პირად შემადგენლობაში ისეთი დემორალიზაცია დაიწყო, რომ გვარდიის გამოკლებით სახმელეთო ჯარებმა ორგანიზებული წინააღმდეგობა თითქმის ყველგან შეწყვიტეს.

შეტევაზე გადასული მრავალეროვანი ჯარები ე.წ. „ცეცხლოვანი ხალიჩის" მეთოდით მოქმედებდნენ და წინ შეუფერ-

**ერაყელ ტანკისტებს ვერც ტანკებზე გაკეთებულმა წარწერა „სადამმა" უშველა**






ხებლად მიიწევდნენ. შეტევის ხაზიდან 50-100 კილომეტრის სიღრმეში ერაყელთა პოზიციებს მოიერიშე ავიაცია კორექტირებადი ავიაბომბებით, მართვადი რაკეტებითა და კასეტურელემენტებიანი სხვადასხვა კალიბრის ავიაბომბებით ამუშავებდა.

დაახლოებით 30-50 კმ სიღრმეში ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა AGM-114 Hellfire-ბით აღჭურვილი საბრძოლო შვეულმფრენები მოქმედებდნენ.

20-30-კილომეტრიან ზონას ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა MLRS-ის კასეტურელემენტებიანი ჭურვები (თითოეული 655 ელემენტს შეიცავდა) ფარავდა.

5-20-კილომეტრიან ზონას 155 მმ-იანი M109 ტიპის თვითმავალი ჰაუბიცები M483A ტიპის კასეტურელემენტებიანი (88 ელემენტი) და M712 Copperhead ტიპის მართვადი ჭურვებით ამუშავებდნენ.

3-5-კილომეტრიან ზონას ნაღმსატყორცნების, ხოლო 3 კილომეტრამდე კი ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების ცეცხლი ფარავდა.

ამერიკელთა ინფორმაციით, 26 თებერვალს 19-დან 23 საათამდე 1-ელი ჯავშანსატანკო დივიზიის მე-3 ბრიგადამ „ცეცხლოვანი ხალიჩით“ მოწინააღმდეგის 76 T-72 და 84 БМП გაანადგურა. მწყობრიდან გამოვიდა მე-3 ბრიგადის 4 ტანკი, მაგრამ არც ერთი ჯარისკაცი არ დაღუპულა.

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, 1991 წლის 2 მარტს, ერაყის გვარდიის საუკეთესო 1-ელი სატანკო დივიზია Hammurabi-მ ტყვედ ჩაბარების ნაცვლად უკან დახევით ერაყის ტერიტორიაზე გაღწევა სცადა.

დივიზიის სალაშქრო კოლონები ამერიკული 24-ე დივიზიის 1-ელი ბრიგადის პოზიციებიდან 10 კილომეტრში აღმოჩნდა და შემჩნევისთანავე ერთი საათის განმავლობაში 155 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარების ცეცხლში იყო მოქცეული.

ამერიკელმა არტილერისტებმა ერაყელთა კოლონები დისტანციური ტანკ და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით დაამუშავეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ კოლონას ზალპური ცეცხლის რეაქტიულმა დანადგარებმა და 24-ე ტანკსაწინააღმდეგო შვეულმფრენთა პოლკის AH-64 Apache-ბმა შეუტიეს.

18 „აპაჩმა“ 107 „ჰელფაიარით“ მოწინააღმდეგის დაჯავშნული ტექნიკის 102 ერთეული გამოიყვანა მწყობრიდან.

შვეულმფრენები ერაყელთა საჰაერო თავდაცვის საშუალებათა: Стрела-2M-ისა და ЗСУ-23-4-ის სამოქმედო ზონის გარეთ მოქმედებდნენ და ამით დანაკარგი თავიდან აიცილეს.

კოლონის ნაშთები 64-ე პოლკის IV ბატალიონის „აბრამსებმა“ „დახვრიტეს“. ბრძოლაში ერაყელებმა სულ ჯავშანტექნიკის 185 ერთეული და 400 ავტომობილი დაკარგეს.

მრავალეროვანი ძალების შეჩერებას, ასე თუ ისე, რესპუბლიკური გვარდია ცდილობდა, მაგრამ დღისით მოკავშირეთა ავიაციის ბატონობის გამო წინააღმდეგობის გაწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

საჰაერო დარტყმების მიუხედავად, გვარდიის მე-3 მექანიზებულმა დივიზია Tawakalna al Allah-მა (220 T-72/72M1 და 280 БМП/БТР) ბრძოლისუნარიანობა მაინც შეინარჩუნა, 25 თებერვალს პოზიციები ელ-ქუვეითიდან 70 კილომეტრში დაიკავა და მე-7 კორპუსის შეჩერება სცადა.

გვარდიელებმა ტანკები ქვიშაში კოშკურამდე ჩაფლეს, ხოლო მისასვლელები დანაღმეს და ეკლიანი მავთულხლართებით შემოფარგლეს.

რაიონი ინჟინრული მოთხოვნების შესაბამისად გამაგრდა, მაგრამ ეს არ კმაროდა. ტანკსაწინააღმდეგო ბარიერები დასრულებული არ იყო, ხოლო ნაღმების ყველგან დაყენება ვერ მოასწრეს.

დივიზიის მე-18 მექანიზებულ ბრიგადას პირველად ამერიკელთა მე-2 ჯავშანსაკავალერიო პოლკმა გაუხსნა ცეცხლი და 3 T-72-იც გაანადგურა.

ერაყელები თავგანწირვით იბრძოდნენ და რამდენჯერმე კონტრშეტევაზეც გადავიდნენ, მაგრამ უშედეგოდ და დიდი დანაკარგიც განიცადეს: ბრძოლის ველზე დამწვარი 159 ტანკი და 260 დაჯავშნული მანქანა დარჩა.

მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ავიაციის აქტიურობა იყო. საჰაერო-საარტილერიო თავდასხმებისაგან თავშესაფრებში მყოფი ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების ეკიპაჟებს თავის ამოწევის საშუალება არ ჰქონდათ და ამის გამო ტექნიკის სრულად გამოყენება შეუძლებელი შეიქნა.



ერაყელთა ბევრი T-72 მრავალეროვან ძალებს ალაფად დარჩა

26 თებერვალს ელ-ქუვეითის აეროპორტის რაიონში ერაყელთა მე-12 მოტოქვეითი დივიზიის ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა უჩვეულო ხერხს მიმართა: ლულაშებრუნებული ცხრა T-62 თეთრი ალმებით ამერიკელი საზღვაო ქვეითებისაკენ დაიძრა. ამ უკანასკნელთ ეგონათ, ერაყელები ტყვედ გვბარდებიანო და ყურადღება მოადუნეს.

300 მ მანძილიდან ერაყელმა ტანკისტებმა ლულები შემოატრიალეს, ცეცხლი გახსნეს და გაღწევაც მოახერხეს.

ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“ სულ 100 საათს გაგრძელდა და ერაყის არმიის განადგურებით დასრულდა. უდაბნოში დამწვარ-განადგურებული თუ მიტოვებული 3800 ტანკი და 1400 ქვეითთა საბრძოლო მანქანა დარჩა.

დაშლისწინა სტადიაში მყოფ საბჭოთა კავშირში სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომი დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან იქ საბრძოლო გამოცდას საბჭოთა სამხედრო ძალის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში და საუკეთესო ტანკი T-72 აბარებდა.

საბჭოთა გენერლები და ტანკის შემქმნელები „აბრამსებისა“ და T-72-ების დაპირისპირებისა და ამ უკანასკნელის წარმატების მოლოდინში იყვნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

საბჭოთა ტანკის 125 მმ-იანი ჭურვის „აბრამსზე“ მოხვედრის სულ 7 შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ ჯავშანი არც ერთხელ არ გახვრეტილა.

სუსტი გამოდგა T-72-ის საკალი ნაწილიც, როცა უდაბნოში ამერიკული ტანკები ხანგრძლივ გადასვლებს მეტწილად მწყობრიდან გამოსვლის გარეშე ახერხებდნენ. მაგალითად, მე-3 ჯავშანსატანკო დივიზიამ მდინარე ევფრატისაკენ გასვლისას 36 საათში 200 კილომეტრი ტექნიკის დაუზიანებლად გაიარა.

თავიანთი უპირატესობა დასავლური წარმოების თბოვიზორებმაც გამოავლინეს, როცა ღამით, ცუდი ხილვადობაში, ამერიკელი ტანკისტები ერაყელ კოლეგებს ბრძოლას ყოველთვის უგებდნენ.

„აბრამსების“ ცეცხლი 2500-3000 მ მანძილზეც ეფექტიანი იყო — იყო შემთხვევა, როცა ჯავშანმხვრეტი M829A1 ჭურვი 1,5 მ სიმაღლის ქვიშის მიწაყრილის უკან დამალულ T-72M1-ს კოშკურაში მოხვდა.

M829A1 ტიპის ჭურვის ჯავშანმხვრეტი ღერო გაღარიბებული ურანისა და ტიტანის შენადნობისაგან მზადდება და დიდი სიმტკიცით გამოირჩევა.

ამერიკელებმა ასეთი ჭურვები მასობრივად პირველად სპარსეთის ყურეში გამოიყენეს და საბჭოთა ტანკებს ნებისმიერი კუთხიდან და ნებისმიერ ადგილზე ხვრეტდნენ.

ბრძოლებში ერაყელთა სხვადასხვა საშუალებისაგან 21 „აბრამსი“ დაზიანდა, მაგრამ დაზიანება მეტწილად მსუბუქი იყო და საველე პირობებში შეკეთებას ახერხებდნენ.

9 შემთხვევაში „აბრამსები“ ნაღმზე აფეთქდა, მაგრამ აღდგენას დაექვემდებარა. ამერიკელებმა 6 ტანკი და ჯავშანტექნიკის კიდევ 9 ერთეული დაკარგეს.

მრავალეროვანი ძალების გამარჯვება ჰაერში უპირატესობამ განაპირობა, რითაც მოწინააღმდეგეს თავდაცვის ორგანიზების საშუალება მოუსპო.

*თემურ ჩაჩანიძე*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლობალური უსაფრთხოების პრობლემები XXI საუკუნის დასაწყისში

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „არსენალი“ №4

## დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპა საბჭოთა ენერგეტიკულ ხაფანგში

60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირმა დაიწყო აქტიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში პოზიციის გასაძლიერებლად. კრემლი არ იშურებდა ფინანსურ რესურსებს ამ ქვეყნების სოციალისტურ გზაზე დასაყენებლად. პარალელურად მათ ხანგრძლივვადიანი კონტრაქტებით (ფაქტობრივად, ნახევარ ფასად) მიეწოდებოდათ სამხედრო ტექნიკა და იარაღი; სატრანსპორტო საშუალებები, სხვადასხვა მოწყობილობა-დანადგარი და ა.შ.

ორ პოლუსს შორის სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ეკონომიკურ სიბრტყეში გადატანა პირველად და ყველაზე მწვავედ 1973 წლის 17 ოქტომბერს დაიწყო, როდესაც ოპეკმა ნავთობის მიწოდება შეუწყვიტა აშშ-ს, იაპონიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. მოკლედ გავიხსენოთ, რა მოვლენები უძღოდა წინ ამ გადაწყვეტილებას.

1973 წლის 6 ოქტომბერს, ებრაელთა დღესასწაულის — იომ კიპურის (მიტევებისა და ცოდვების მონანიების) დღეს ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის ჯარებმა ისრაელს შეუტიეს. დაძაბული ბრძოლების შემდეგ, დიდი მსხვერპლის ფასად, ისრაელმა მაინც მოახერხა გამარჯვება. 1973 წლის 16 ოქტომბერს ისრაელის ტანკებმა სუეცის არხის ფორსირება შეძლეს და ეგვიპტის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. საბჭოთა კავშირის ჩარევის გამო ისრაელი იძულებული გახდა, ჯარები უკან დაებრუნებინა.

მეორე დღესვე ოპეკმა ენერგეტიკული იარაღი აამოქმედა: ნავთობის მიწოდება შეუწყვიტა აშშ-ს, იაპონიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. სანაცვლოდ არაბულმა სამყარომ ისრაელს პოლიტიკურ დათმობებზე წასვლა მოსთხოვა. პარალელურად 70 %-ით გაზარდა ფასები.

ამის შედეგად 1974 წლის შუა პერიოდში ნავთობის მსოფლიო ფასები თითქმის შვიდჯერ გაიზარდა (ბარელზე 3-დან 20 დოლარამდე).

დასავლეთი მოუმზადებელი აღმოჩნდა ამგვარი შანტაჟისათვის (არ გააჩნდა ნავთობის სტრატეგიული მარაგები, ნავთობის მიწოდება არ იყო დივერსიფიცირებული, ეკონომიკა არ იყო ორიენტირებული ენერგოდამზოგველ ტექნოლოგიებზე და ა.შ) და ნავთობის ფაქტორი კიდევ ერთხელ გახდა პოლიტიკური ზემოქმედების მძლავრი იარაღი.

დღეს უკვე ხელმისაწვდომია საარქივო მასალები და სხვა ისტორიული დოკუმენტები, რომელთა გაანალიზებით დასტურდება, რომ 1973 წლის „ოქტომბრის ომის“ მთავარი ინსპირატორი საბჭოთა კავშირი იყო, რომელიც ფარულად აქეზებდა არაბულ ქვეყნებს ისრაელის წინააღმდეგ.

მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების ზრდამ საბჭოთა კავშირს (რომელიც მანამდე ნავთობს უმთავრესად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს აწვდიდა, ძირითადად, ბარტერული გაცვლის ან ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების საფუძველზე) საშუალება მისცა რეგიონული ნავთობმიმწოდებლიდან მსოფლიო მოთამაშე გამხდარიყო — ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გასულიყო და საექსპორტო შემოსავალი მნიშვნელოვნად გაეზარდა.

70-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მხოლოდ გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ათწლეულების განმავლობაში რეალურ, მსოფლიო ფასებთან შედარებით 40-50%-ით ნაკლებ, ფაქტობრივად დემპინგურ ფასებში იღებდნენ ნავთობსა და ბუნებრივ აირს. ყოველივე ამას კი შორს გამიზნული პერსპექტივა ჰქონდა — ეს ქვეყნები გაებნენ ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ერთიან სოციალისტურ ხაფანგში, რომელიც გათვალისწინებული იყო მხოლოდ საბჭოთა ენერგეტიკულ რესურსებზე.

თავის მხრივ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები ცდილობდნენ რა ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყვნენ არაბულ ენერგორესურსებზე, სისტემატურად ზრდიდნენ საბჭოთა კავშირიდან ნავთობისა და ბუნებრივ აირის იმპორტს. გეოპოლიტიკური მოსაზრებებით მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ ძალზე გაართულა არა მარტო სოციალისტური ქვეყნების, არამედ დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვ.) სათბობენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის დივერსიფიკაცია.

ეს გარემოება საბჭოთა იმპერიას საშუალებას აძლევდა, ესარგებლა კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებს შორის დაპირისპირებით (რის პროვოცირებასაც, როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად თავად ახდენდა), გაეზარდა ექსპორტი და მიეღო ესოდენ აუცილებელი კონვერტირებული ვალუტა. ამიტომაც იყო, რომ 1974-1991 წლებში საბჭოთა კავშირი მთელი სავალუტო შემოსავლის 60-70%-ს ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიდან იღებდა.

რუსეთის ენერგეტიკული ომი უკრაინასა და საქართველოსთან, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, რუსეთის ახალი ხელისუფლების დამსახურება სულაც არ არის. ენერგეტიკული „დუბინკა“ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საყვარელი იარაღი იყო. ამჟამინდელი რუსეთის „დიდ“ წინაპარს ნავთობისა და გაზის მიწოდება და ფასები მაშინაც „მომარჯვებული“ ჰქონდა როგორც დასჯისა და წახალისების იარაღი, რასაც საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის დიდი წარმატებით იყენებდა.

მილიარდობით დაუგეგმავმა ნავთობდოლარმა საბჭოთა კავშირს საშუალება მისცა, განეახლებინა და გაეუმჯობესებინა შეიარაღება, ხოლო უკვე მოძველებული სამხედრო ტექნიკა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის „მოკავშირე“ ქვეყნებისთვის (ან „პროგრესული“ ოპოზიციისთვის) ძალზე შეღავათიანი პირობებით მიეწოდებინა, რასაც შემდგომ ამ ქვეყნებში სამხედრო გადატრიალებები და სამოქალაქო ომები (ანგოლა, ეთიოპია, სუდანი, ნიკარაგუა და სხვ.) მოჰყვა.

ამის საპასუხოდ მეორე პოლუსმაც (უპირველესად, აშშ-მა) მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ტექნიკისა და იარაღის მიწოდება მოკავშირეთათვის.

სწორედ 1974-1979 წლებში დაემუქრა რეალური საფრთხე მაშინ არსებულ მსოფლიო წესრიგს. მსოფლიო უფრო მკვეთრად დაიყო ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის სფეროებად. ამ პერიოდს უკავშირდება გეოპოლიტიკური ფაქტორების გლობალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე დომინირების ზრდა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მილიარდობით ნავთობდოლარმა საბჭოთა კავშირს ძალზე ცუდი სამსახური გაუწია, რომლის შედეგს დღევანდელი რუსეთის ეკონომიკისთვისაც მძლავრი უარყოფითი მუხტი აქვს. პირველი ენერგეტიკული კრიზისიდან დაწყებული საბჭოთა კავშირის საექსპორტო შემოსავლების ძირითადი წყარო ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეალიზაცია გახდა. ამ ფაქტორის გამო საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება მთლიანად დამოკიდებული გახდა ენერგეტიკული რესურსების მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურაზე. ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირი (ამჟამად კი რუსეთი) ენერგორესურსებით მომარაგების დანამატად არის ქცეული. ეს გარემოება კითხვის ქვეშ აყენებს რუსეთის, როგორც კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ქვეყნის ამბიციებს.

დავუბრუნდეთ 70-იანი წლების მეორე ნახევარს.

ნავთობის ფასების ზრდამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება გამოიწვია, რასაც ბევრ ქვეყანაში სტაგფლაციის სახე ჰქონდა: წარმოების შემცირება და უმუშევრობის ზრდა ინფლაციის ტემპის ზრდის ფონზე მიმდინარეობდა. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა იწყებოდა, როდესაც მსოფლიო მეორე ენერგეტიკულ ხაფანგში გაება, რაც ახალი კრიზისის მიზეზი გახდა.

## მეორე ენერგეტიკული კრიზისის გამომწვევი გეოპოლიტიკური ფაქტორები

მეორე ენერგეტიკული კრიზისის გამომწვევი მიზეზებიც ძალზე შორს იყო ობიექტური საფინანსო-ეკონომიკურ ფაქტორებისგან და შემდეგი გეოპოლიტიკური მოვლენები ედო საფუძვლად: 1979 წელს ირანში ისლამური რევოლუცია, 1979 წლის დეკემბრის ბოლოს საბჭოთა ჯარების შესვლა ავღანეთში და 1980 წელს დაწყებული ირან-ერაყის მრავალწლიანი ომი.

სამივე ქვეყანა ნავთობის უდიდესი მომპოვებელი იყო და, ბუნებრივია, ამ გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ უმალ პოვა ასახვა მსოფლიო ბაზრებზე, უპირველესად კი ნავთობის ბაზარზე, და ერთი ბარელის ფასმა 40 დოლარს მიაღწია.

ნავთობის ფასის ზრდის შედეგად ყველაზე დიდი მოგება საბჭოთა კავშირმა მიიღო, რომელიც საომარ მოქმედებებს ავღანეთის ტერიტორიაზე აწარმოებდა და ეს გარემოება ხელს არ უშლიდა გაეზარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებისა და რეალიზაციის მოცულობა. საინტერესოა, რომ 1980-1982 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ნავთობის ექსპორტის გაზრდის მიზნით მაქსიმალურად შეამცირა მისი მიწოდება შიდა ბაზარზე და ბენზინის რეალიზაციის სატალონო სისტემა შემოიღო. თუმცა, დამატებით მიღებული ნავთობდოლარები ისევ ავღანეთში მიმდინარე სამხედრო ინტერვენციაზე იხარჯებოდა. სულ უფრო და უფრო ნაკლები ინვესტიცია ხმარდებოდა ნავთობის მოპოვების ინფრასტრუქტურის განვითარებას, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს და ა.შ.

## ორპოლუსიანი მსოფლიოს დასასრულის დასაწყისი

1980 წელს აშშ-ის ხელისუფლებაში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ამერიკის შესაბამისმა სტრუქტურებმა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში პრობლემებისა და სუსტი წერტილების გამოვლენისა და მათი გაღრმავების ხელშეწყობის დავალება მიიღეს. საბჭოთა იმპერიას უმთავრესი საფრთხე სამხედრო ხარჯების ზრდასთან ერთად ენერგეტიკული ფრონტიდანაც დაემუქრა.

ამერიკელი ექსპერტების 1983 წელს



ჩატარებული გათვლებით ერთი ბარელი ნავთობის ფასის 20 დოლარის ნიშნულზე დაფიქსირება აშშ-ის ყოველწლიურ ენერგეტიკულ დანახარჯს 72 მილიარდი დოლარით შეამცირებდა. ამიტომაც აშშ-ის თხოვნით და გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე (უახლესი ამერიკული შეიარაღების მიღება და არაბულ სამყაროში ლიდერი ქვეყნის სტატუსის მოპოვება), მსოფლიოში ნავთობის უდიდესი საბადოების მფლობელმა, საუდის არაბეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა ნავთობის მოპოვება, რასაც ფასების მკვეთრი შემცირება მოჰყვა. თუ 1985 წლის ნოემბერში ერთი ბარელი ნავთობი 30 დოლარზე მეტი ღირდა, ხუთი თვის შემდეგ მისი ფასი 12 დოლარამდე დაეცა.

მსოფლიო ფასების მნიშვნელოვან შემცირებას საბჭოთა კავშირში ნავთობის მოპოვების მკვეთრი დაცემაც დაემთხვა. ამერიკელი ექსპერტების გაანგარიშებით საბჭოთა კავშირმა 10 მილიარდამდე დოლარი დაკარგა, რაც მისი სავალუტო შემოსავლების 30-35%-იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში „პერესტროიკის“ დაწყების ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის ნავთობდოლარების შემცირება გახდა. „პერესტროიკა“ საბჭოთა სისტემის თანდათანობითი დემონტაჟის ნაცვლად, რევოლუციური ნგრევის მიმართულებით განვითარდა და სულ მალე უმართავი პოლიტიკური, სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები მოჰყვა.

## ერთპოლუსიანი მსოფლიოს ხანმოკლე სიცოცხლე

1992 წლიდან, სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, ერთპოლუსიან მსოფლიოში გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის (ანუ უსაფრთხოების) გარანტად აშშ გამოდიოდა. მთავარი გეოპოლიტიკური მეტოქის, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლამ მოადუნა აშშ-ის პრეზიდენტების, ბილ კლინტონის და ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციების ყურადღება და წარმატებისაგან თავბრუსხვევა სულ მალე ხანგრძლივ ეიფორიაში გადაიზარდა.

აშშ ესწრაფოდა მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ახალი, ერთპოლუსიანი მოდელის შენარჩუნებას და სხვა ქვეყნებზე მის გავრცელებას. ამ პროცესში საკმაოდ ხშირი იყო დაპირისპირება, თვით ამერიკის მოკავშირეებთანაც კი, უპირველესად ევროკავშირის ქვეყნებსა და იაპონიასთან.

გლობალური ეკონომიკის პირობებში თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელოვან პრობლემადაა ქცეული ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ძალზე მაღალი ხარისხი და საგარეო-ეკონომიკური ინტერესების მზარდი ასიმეტრიულობა, რაც ეკონომიკური და გეოპოლიტიკური კრიზისების დროს ერთგვარი „დომინოს პრინციპით“ ვითარდება და გლობალური ეკონომიკური საფრთხის წინა პირობა ხდება.

დღეს ეკონომიკური გლობალიზაციის ერთიან სივრცეში, რომელიმე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა, საბოლოოდ შეიძლება აშკარად თუ ფარულად დაუპირისპირდეს სხვა ქვეყნების ეროვნულ ინტერესებსა და მიზნებს.

სამწუხაროდ, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები გატაცებული არიან უფრო რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურების (მაგ. ევროკავშირი და ნაფტა) შექმნით და ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოების ერთიანი და ეფექტიანი სისტემის აგებით. გ ე კმა გვიჩვენა, რომ მსგავსი საფრთხეებისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ როგორც საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტები, ასევ „დიდი ოცეულის“ წევრი ქვეყნების მთავრობებიც.

დღეს უკვე ნათლად იკვეთება, რომ რუსეთი, ჩინეთი და ფარულად საფრანგეთი, იაპონია და გერმანია აღარ აღიარებენ აშშ-ის გლობალურ ლიდერობას და აშკარა თუ ფარული მეთოდებით ცდილობენ მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების შესუსტებას.

ზოგიერთი ამ ქვეყნის (რუსეთი, ჩინეთი და საფრანგეთი) ამბიციის ზრდას ხელს უწყობს მათი, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი, ხოლო იაპონიისა და გერმანიის შემთხვევაში მსოფლიოს ეკონომიკური ლიდერი-ქვეყნების ამბიციები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ დაპირისპირებას იდეოლოგიური საბურველი ჩამოსცილდა. თუმცა რუსეთმა, რომელიც სსრკ-ის სამართალ-მემკვიდრედ მოგვევლინა, დასავლეთის ფინანსური დახმარებებით აშკარად გაძლიერებულმა, XXI საუკუნის პირველ წელსვე მსოფლიო პოლიტიკურ სამზარეულოში [illegible] შორის ადგილზე განაცხადა პრეტენზია. ძველი მოწინააღმდეგის რეანიმაცია ახალი სახელით აშშ-ის ინტერესებში ნამდვილად არ არის, მით უფრო, რომ აშშ-რუსეთს შორის არსებულმა აშკარა თუ ფარულმა დაპირისპირებამ მრავალ ავტორიტარულ რეჟიმს რუსეთთან გაერთიანებისკენ უბიძგა. ამის შედეგად რუსეთმა ანტიამერიკული რეჟიმებისგან (ირანი, ვენესუელა, ბოლივია, ნიკარაგუა, კუბა, სირია, ჩრდილო კორეა და სხვ.) საკმაოდ მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკები შექმნა.

ამ ბლოკებში გაერთიანებული ქვეყნების ლიდერების ოცნება და თვითმიზანი ყოველგვარი ხერხებით აშშ-ისა და დასავლეთისთვის პრობლემების შექმნაა. XXI საუკუნის დასაწყისიდან თანდათან გამოიკვეთა ახალი მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური უწესრიგობის საფრთხეები.

ერთპოლუსიანი წესრიგი (რომელიც ასე არ ეხატებოდათ გულზე გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის ლიდერებს) მრავალპოლუსიანმა უწესრიგობამ შეცვალა, სადაც ენერგეტიკული ფაქტორი (უპირველესად ენერგორესურსებზე ფასების დაწესება და ტრანსპორტირების არხების კონტროლი) საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება გახდა.

## გლობალურ ინტერესთა ასიმეტრიულობა და ახალი „ცივი ომის“ კონტურები

ჯერ კიდევ 2004 წლის მაისში მადრიდში გამართულ მსოფლიო ენერგეტიკულ კონფერენციაზე საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს დირექტორმა ნობუა ტანაკამ განაცხადა: „მსოფლიო იმყოფება მესამე ნავთობის შოკის მდგომარეობაში“. მაშინ ნავთობის მსოფლიო ფასები ერთი ბარელი 30-32 დოლარის ნიშნულზე იყო.

ამჟამადაც მიმდინარე გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მსოფლიო წესრიგი მხოლოდ მირაჟი იყო, რეალურად კი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ეროვნული ინტერესების დაპირისპირების მზარდი პროცესი.

ეკონომიკის დოქტორი,
პროფ. ბ. ალადაშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982 წელს არგენტინის სამხედრო ძალების მიერ ფოლკლენდისა და სხვა კუნძულების ელვისებური ოკუპაცია (რომლებიც ბრიტანეთის სამეფოს ეკუთვნოდა) მოულოდნელი აღმოჩნდა ლონდონისთვის, მაგრამ ბრიტანეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლება მალე მოეგო გონს და საპასუხო მოქმედებების გეგმაც შეიმუშავა. 17 აპრილს ინგლისის კონტროლქვეშ მყოფ ამაღლების კუნძულზე შედგა თათბირი, რომელსაც ოპერატიული შენაერთების სარდალი ადმირალი ფულჰაუზი თავმჯდომარეობდა, სამი დღის შემდეგ კი, 20 აპრილს, ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტმა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად მიიღო საპასუხო მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება.



არგენტინელები ფოლკლენდებზე

# ოპერაცია „ჰერბიციდი“ სამხრეთ Georgia-ს გასათავისუფლებლად

## ბრიტანეთის სამეფოს სახელით

გადაწყდა, რომ ბრიტანეთის საექსპედიციო ძალების მოწინავე ბაზის შესაქმნელად პირველი იერიში კუნძულ სამხრეთ გეორგიაზე მიეტანათ. ოპერაციამ, რომელიც ჯერ კიდევ ზემოხსენებულ თათბირამდე დაიგეგმა, ოფიციალური სახელწოდება Paraquet-ი მიიღო, მებრძოლებმა კი მას არაოფიციალურად ძლიერმოქმედი ჰერბიციდის ასოციაციით Paraquat-ი უწოდეს. ამ ჰერბიციდს ფართოფოთლოვანი სარეველა ბალახების მოსასპობად იყენებენ. ბრიტანელები ვარაუდობდნენ, რომ არგენტინელებისგან კუნძულებს ისე გაწმენდნენ, როგორც ბოსტანს — სარეველებისგან.

გეგმის მიხედვით, ოპერაცია 12 აპრილს ამაღლების კუნძულიდან სამხრეთ გეორგიის მიმართულებით დაიწყო. ავანგარდში იყვნენ: №319,9-ე ოპერატიული ჯგუფი კაპიტან იანგის მეთაურობით; „კაუნტის“ ტიპის საესკადრო ნაღმოსანი „ანტრიმი“, „როტსეის“ ტიპის ფრეგატი „პლიმუთი“, რომლის ბორტზეც სამხედრო-საზღვაო სპეცრაზმის ორი ჯგუფი იმყოფებოდა და ტანკერ-გამმართველი, რომელზეც 150 საზღვაო ქვეითი იყო დაბანაკებული. 14 აპრილს მათ შეუერთდა ყინულმჭრელ-მზვერავი ხომალდი „ენდურანსი“.

SAS-ის ვეტერანი ოფიცერი კენ კონორი თავის წიგნში „უჩინარი ჯარები: SAS-ის საიდუმლო ისტორია“ შენიშნავს: „კაცმა რომ თქვას, ეს კუნძული არაფრით იყო გამორჩეული და არც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი პირველი სამიზნე მხოლოდ ორი მიზეზის გამო გახდა: უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მეტროპოლიის შელახული პრესტიჟის აღდგენა და იმის ჩვენება, თუ ვინ იყო მდგომარეობის ბატონ-პატრონი; მეორე — არგენტინული გარნიზონის მცირერიცხოვნობისა და ძირითადი ძალებისაგან დიდი მანძილით მოშორების გამო იგი საიერიშოდ იდეალურ სამიზნეს წარმოადგენდა. სამხრეთ გეორგიის გათავისუფლება სწრაფად და მინიმალური დანაკარგით იყო შესაძლებელი, რაც პრემიერ-მინისტრ ტეთჩერის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ლონდონში ლაპარაკის ხალისს დაუკარგავდა“.



არგენტინელების მიერ დატყვევებული ჯარისკაცების ფოტოებმა მთელი ბრიტანეთი შეძრა

გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამხრეთი გეორგია ერთი მცირე კუნძულია, რომლის ფართობი 3900 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. მისი შედარებით მსხვილი, მუდმივმოქმედი დასახლებაა ქალაქი გრუტვიკენი, ყველაზე მაღალი წერტილი კი პაჯენტის მთა (2924 მეტრი ოკეანის დონიდან). ადრე ეს



ბრიტანული HAS1

კუნძული ვეშაპსაჭერი რეწვის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, რომლის უკანასკნელი სადგური სამხრეთ გეორგიაზე 1965 წელს დახურეს. სწორედ ხმელეთის ამ მცირე ნაწილისათვის გაჩაღდა 1982 წლის გაზაფხულზე ნამდვილი, დრამატიზმით აღსავსე ომი. ბრძოლაში პირველად ჩაება სამხედრო-საზღვაო სპეცრაზმის ქვეგანყოფილება.

## საგანგებო რაზმი კუნძულისკენ მიიწევს

კუნძულ სამხრეთ გეორგიის რეგიონში ოპერატიული ჯგუფის გამოჩენამდე ორი დღით ადრე (21 აპრილი) მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავი „კონკერორი" მიცურდა, 20 აპრილს კი კუნძულს რამდენჯერმე გადაუფრინა „ვიქტორის" ტიპის საწვავ-გამმართველმა თვითმფრინავმა. ამის შემდეგ „ობერონის" ტიპის დიზელგენერატორიანი სუბმარინა „ონიქსიდან" რეკოგნოსცირებისთვის გაემართა სპეცრაზმელთა ჯგუფი SBC-ის (Special Boat Service) შემადგენლობიდან. ეს ჯგუფი ჯერ კიდევ 5 აპრილს გაფრინდა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130-ით ამაღლების კუნძულიდან. მყვინთავების მსუბუქი მოწყობილობებით აღჭურვილი სპეცრაზმელები კუნძულ სამხრეთ გეორგიის მახლობლად ზღვაში გადასხდნენ, სწორედ აქ აიყვანა ისინი ბორტზე წყალქვეშა ნავმა „ონიქსმა".

პარალელურად, მსგავსი ჯგუფი, ოღონდ SAS-ის შემადგენლობიდან, C-130-ით გაამგზავრეს საომარი მოქმედებების რაიონისკენ, ისინი ბორტზე კრეისერმა აიყვანა.

ბრიტანული სპეცრაზმების ძირითადი ძალები კი, რომლებსაც სამხრეთ გეორგიის გათავისუფლება ევალებოდათ (SAS-ის 22-ე პოლკის D ასეულის 56 მეომარი), 4 აპრილს გადასხეს ამაღლების კუნძულზე. მათთან ერთად გადაისროლეს 14 მეკავშირე და 25 ტონა აღჭურვილობა. D ასეული სამხრეთ გეორგიის მიმართულებით „ენდურანსით" გაემგზავრა.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელმა სპეცრაზმელებმა მხოლოდ „ენდურანსზე" მიიღეს სარწმუნო სადაზვერვო მონაცემები არსებული ოპერატიული მდგომარეობის შესახებ. აქვე გაირკვა, რომ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში არსებული ფოლკლენდის კუნძულების რუკა მოძველებული იყო, თანამედროვე მოთხოვნებს არ შეეფერებოდა, გარდა ამისა, მასზე დატანილი არ იყო საჭირო ობიექტები. რაც შეეხება სამხრეთ გეორგიას, მისი რუკა საერთოდ არ არსებობდა. საბედნიეროდ, ხომალდ „ენდურანსის" ეკიპაჟს აღმოაჩნდა სამხრეთ გეორგიის ზოგიერთი დასახლების (გრუტვიკენის, ლეიტის, სტრომნესის და ჰასვიკის) გეგმა-სქემები. გარდა ამისა, „ენდურანსის" მეზღვაურებმა სპეცრაზმელებს გადასცეს ბრიტანეთის ანტარქტიკის კვლევის სადგურ „კინგ ედვარდ პოინტის" მონაცემები და საკუთარი ლოციები, საიდანაც ოპერაციის ხელმძღვანელებმა ამოკრიფეს მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ბრიტანეთის სარდლობამ არ იცოდა, ვინ ესტუმრა კუნძულს მის ოკუპაციამდე. არადა, როცა არგენტინელებმა სამხრეთ გეორგიის ოკუპაცია მოახდინეს, მასზე იმყოფებოდნენ ბრიტანეთის ანტარქტიკული სამეცნიერო სადგურის თანამშრომლები და კინოჯგუფი, რომელიც იქაური ველური ბუნების შესახებ ფილმზე მუშაობდა.

ინგლისელებმა არც ის იცოდნენ, გადაისროლეს თუ არა არგენტინელებმა კუნძულის დაპყრობის შემდეგ დამატებითი ძალები; SAS-ის მეთაურებმა ივარაუდეს, რომ მოწინააღმდეგე თავდაცვით პოზიციებს, სავარაუდოდ, ლეტეს რაიონში, დიდი ვეშაპსაჭერი სადგურის მახლობლად დაიჭერდა. ვარაუდებზე იყო აგებული აგრეთვე გრუტვიკენის მიმართულება, სადაც ბრიტანული ანტარქტიკული სადგურის შენობები იდგა.

## პირველი მარცხი

კუნძულ გეორგიის დიდი ნაწილი მყინვარებითაა დაფარული, რაც ერთობ ართულებდა მსხვილი ძალების მოქმედებას, ამიტომ ინგლისელებმა გამარჯვების მოპოვება არა რაოდენობით, არამედ ხერხის მეშვეობით ამჯობინეს. იმისდა მიუხედავად, რომ ამინდი არცთუ ხელსაყრელი იყო (ძლიერი ქარი, ნამქერი, ქარბუქი), 21 აპრილის შუადღეს სპეციალური არქტიკული კამუფლაჟით მოსილი SAS-ის 19 სპეცრაზმელი შვეულმფრენ „უესექსის" მეშვეობით გადასხეს მყინვარ „ფორტუნაზე", რომელიც კუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწ-

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ბიბლიოთეკა

ილში მდებარეობდა. ჯგუფის ამოცანა მოწინააღმდეგის თავდაცვის საყრდენი პუნქტების გამოსავლენად ადგილმდებარეობის დაზვერვა იყო, მაგრამ ავდარმა ოპერაციას ხელი შეუშალა, — ხუთი საათის განმავლობაში მზვერავმა რაზმმა მყინვარზე მხოლოდ ნახევარი კილომეტრის გავლა მოახერხა.

მეორე დღის პირველ საათზე გაყინვის პირას მისული სპეცრაზმელების დასახმარებლად სამეფო-სამხედრო საჰაერო ფლოტის 845-ე შემადგენლობაში მყოფი სამი შვეულმფრენი „უესექსი“ გაიგზავნა, რომლებიც საესკადრო ნაღმოსან „ნატრომიდან“ და ტანკერ-გამმართველ „ტაიდსპრინგიდან“ აფრინდნენ.

მყინვარმა თავისი სახელი ვერ გაამართლა და ინგლისელების ხსნის ოპერაცია ლამის ტრაგედიით დასრულდა. თავიდან შვეულმფრენებს ხომალდებზე საწვავის შესავსებად დაბრუნებამ მოუწიათ, შემდეგ კი, როცა პილოტებმა გათოშილი სპეცრაზმელები მოძებნეს და ბორტზე აიყვანეს, პირველმა ორმა მყინვარიდან ნორმალურად აფრენა მოახერხა, მესამე შვეულმფრენი კი აფრენისას დაიმსხვრა. წამყვანი ხრახნისგან წარმოქმნილმა ქარბუქმა მკვეთრად გააუარესა მხედველობა და პილოტმაც შეცდომა დაუშვა. საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. აფრენილი შვეულმფრენები იძულებული შეიქნენ, კვლავ მყინვარზე დამსხდარიყვნენ. პილოტებმა სიმძიმის შემცირების მიზნით აღჭურვილობის ნაწილი გადაყარეს, გადაღვარეს საწვავი, ერთმანეთში გადაინაწილეს სპეცრაზმელები და კვლავ აფრინდნენ. გადატვირთვა თავიდანვე აშკარა იყო, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ აფრენისას მეორე შვეულმფრენიც ჩამოვარდა, თუმცა არც ამჯერად დაშავებულა ვინმე (აღსანიშნავია, რომ ორივე ჩამოვარდნილი შვეულმფრენი „ტაიდსპრინგის“ ბორტიდან იყო).

გადარჩენილმა შვეულმფრენმა გზა გააგრძელა, ევაკუირებული სპეცრაზმელები ხომალდზე გადასხა და დანარჩენების წამოსაყვანად გაბრუნდა. როცა პილოტი ხელახლა ფრინდებოდა მყინვარიდან, შვეულმფრენის ბორტზე 17 კაცი იყო, თორმეტით მეტი, ვიდრე ნებადართულია ინსტრუქციით. გადატვირთვა იმდენად დიდი იყო, რომ პილოტებს ხომალდის გემბანზე შვეულმფრენის მუცელზე დასმამ მოუწიათ.

იმავე საღამოს საესკადრო ნაღმოსან „ანტრიმის“ ბორტიდან კუნძულ გრესის მიმართულებით ზღვაში გავიდა ხუთი „ჯემინის“ ტიპის საიერიშო ნავი. მათზე SBS-ის ჩვიდმეტი სპეცრაზმელი იმყოფებოდა. სამ ნავს მოულოდნელად ძრავები გაუფუჭდა: ერთი ნავი დინებამ ზღვის სიღრმისკენ გაიტაცა, სადაც მას გადასარჩენად დიდხანს დასდევდა ხომალდი, მეორე ქარმა ჩრდილოეთით, ნახევარკუნძულ შტორმისკენ გააქანა. კიდევ ერთი მწყობრიდან გამოსული ნავის ბედი ერთობ საინტერესო გამოდგა, ის ყველასა და ყველაფრისაგან მოშორებით, კუნძულიდან სამხრეთის მიმართულებით მეჩეჩზე შეჯდა, მაგრამ სპეცრაზმელები ბედმა არ გაწირა.

ხომ შეიძლებოდა მათი ნავი დინებასა და ქარბუქს ღია ზღვაში, ანტარქტიკის კონტინენტის ნაპირებისკენ გაეტაცა, ასეთ შემთხვევაში უცილობელი სიკვდილი ელოდათ..

ჯგუფის მზვერავებმა უახლოეს ნაპირზე გადასვლა მოახერხეს და რამდენიმე დღე-ღამე სრულ რადიოსიჩუმეში ცხოვრობდნენ კარვებში. SOS-ის გადაცემაზე უარი თქვეს, რადგან მეთაურს მიაჩნდა, რომ თუ არგენტინელები უცხო სიგნალს მიიღებდნენ, ამას ოპერაციის ჩაშლა მოჰყვებოდა. საბოლოოდ სამხრეთ გეორგიის ნაპირზე გადავიდა მხოლოდ ერთი რაზმი, რომლის ნავის ძრავა მიზანთან შედარებით ახლოს გაფუჭდა და სპეცრაზმელებმა ნიჩბების დახმარებით მოახერხეს კუნძულთან მიახლოება. მოგვიანებით მათ შეუერთდა იმ ორი ნავის ჯგუფი, რომელთაც გამართული ძრავები შერჩათ.

მარცხით დამთავრდა აგრეთვე სამხრეთ გეორგიაზე SAS-ის ოცეულის ორი სადაზვერვო ჯგუფის ყინულმჭრელ „ენდურანსიდან“ გადაჯდომის მცდელობა. კემბერლენის სრუტის გადალახვისას, რომელიც ქალაქ გრუტვიკენიდან 15 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, ისინი ქარბუქში მოხვდნენ და იძულებული გახდნენ, ხომალდზე [illegible] ლიყვნენ.

კუნძულზე გადასული SAS-ელები სამი დღე-ღამის განმავლობაში ზვერავდნენ გარემოს, ბოლოს კი ისინი შვეულმფრენებით გაიყვანეს კუნძულიდან.

## წარმატება

მიუხედავად იმისა, რომ დიდი გაჭირვებით მოხერხდა სადაზვერვო ჯგუფის მცირე ნაწილის გადასმა კუნძულზე, სპეცრაზმელებმა მაინც შეძლეს დასახული ამოცანის შესრულება. რაც მთავარია, აღმოაჩინეს არგენტინული დიზელის წყალქვეშა ნავი „სანტა-ფე“ (1945 წელს აშენებული ყოფილი ამერიკული „კეტფიში“), რომელიც გრუტვიკენის ყურეში იდგა. ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელმა „ენდურანსის“ გარდა, ყველა ხომალდს უბრძანა, სასწრაფოდ გასცლოდნენ ყურეს, რადგან არგენტინული წყალქვეშა ნავიდან სატორპედო შეტევის საფრთხე არსებობდა. ამასთან, ეს საფრთხე ინგლისელებმა ისე სერიოზულად აღიქვეს, რომ ტანკერ „ბრემბლიფის“ ეკიპაჟმა, რომელიც საწვავს უსხამდა „ენდურანსს“, საწვავის მიმწოდებელი მილები გადაჭრა, რათა სასწრაფოდ გაშორებოდა მოსალოდნელ საფრთხეს.

ამ დროს კი არგენტინელები, რომლებმაც მოწინააღმდეგის ხომალდები ვერ აღმოაჩინეს, საქმიანობას განაგრძობდნენ. სუბმარინამ კუნძულზე საბრძოლო მასალა და სურსათი მიიტანა, გარდა ამისა, მიიყვანა ორმოცი არგენტინელი საზღვაო ქვეითი, რომლებიც კუნძულზე მყოფი სამოცი ჯარისკაცის დასახმარებლად იყვნენ გაგზავნილი. ასე რომ, ბრიტანელთა შეტევის წინ კუნძულ სამხრეთ გეორგიაზე არგენტინელთა ასი საზღვაო ქვეითი იმყოფებოდა. ისინი,




ბრიტანული „ენდურანსი“



ბრიტანული „ბრილიანტი“ დევენპორტის ბაზაში შესვლისას

ძირითადად, მთავარ ქალაქ გრუტვიკენის მახლობლად იყვნენ განლაგებული: ორმოცი მებრძოლი — ქალაქში, ორი ათეული კი — მეზობლად მდებარე ლეიტის ყურეში, დანარჩენები უფრო მცირე ჯგუფებად იყვნენ გაბნეული.

24 აპრილს ინგლისელების ფლოტს კიდევ ერთი სამხედრო გემი, ფრეგატი „ბრილიანტი“ მიემატა და სახომალდო ოპერატიული ჯგუფის მეთაურმა ოპერაციის აქტიური ფაზის დაწყება გადაწყვიტა. 25 აპრილის დილას ხომალდმა „ენდურანსმა“, რომელიც მანამდე სამხრეთ გეორგიის დასავლეთით აისბერგებს შორის იმალებოდა, კურსი გრუტვიკენისაკენ აიღო, სადაც ოპერატიული ჯგუფის ყველა ინგლისური ხომალდი უნდა მისულიყო.

## შვეულმფრენები სუბმარინის წინააღმდეგ

ბრიტანული წყაროების მონაცემებით, 8 საათსა და 10 წუთზე საესკადრო ნაღმოსან „ანტრიმის“ ბორტიდან აფრინდა სიღრმისეული ბომბებით აღჭურვილი შვეულმფრენი „უესექსი“. მისი ამოცანა სადესანტო ოპერაციის ძირითადი ფაზის დაწყებამდე არგენტინული წყალქვეშა ნავის მოძებნა და განადგურება იყო. ინგლისელებს ბედმა გაუღიმა, მათ პირველივე ცდაზე შეამჩნიეს მოწინააღმდეგის სუბმარინა. შვეულმფრენმა მაშინვე შეუტია და ჩააგდო ორი სიღრმისეული ბომბი, რომელთაგან ერთი ნავის მარცხენა ბორტის ახლოს აფეთქდა. დაზიანება უმნიშვნელო იყო, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „სანტა-ფესთვის“ წყალქვეშა მდგომარეობაში გადასვლაში შეეშალა ხელი. წყალქვეშა ნავის კაპიტანს ისღა დარჩენოდა, შებრუნებულიყო და თავშესაფარი გრუტვიკენის ყურის სიღრმეში ეძებნა. შვეულმფრენი „სანტა-ფეს“ არ მოეშვა, უკან მიჰყვა და საბორტო ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა. მალე „უესექსს“ ფრეგატ „ბრილიანტის“ ბორტიდან აფრენილი შვეულმფრენი „ლინქსი“ შეუერთდა, რომელმაც თავდაპირველად წყალქვეშა ნავს ტორპედო MK46 სტყორცნა, შემდეგ კი ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაუხსნა. არც ერთ წყაროში არ არის მითითებული ამ უკანასკნელი შეტევის შედეგი. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტორპედო მიზანს აცდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, „სანტა-ფე“ ისე დაზიანდებოდა, გრუტვიკენის ნავმისადგომამდე ველარ მიაღწევდა. არადა, მან მოახერხა ნავმისადგომამდე მისვლა. განსაკუთრებით კარგად მოჩანს ეს ომის შემდეგ გადაღებულ ფოტოებზე, სადაც სუბმარინა ნავმისადგომთან, წყალმარჩხ ადგილასაა ჩაძირული.

ასე იყო თუ ისე, მდგომარეობა არგენტინელთა საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. „სანტა-ფეზე“ „მონადირე“ შვეულმფრენთა რიცხვს მიემატა „ენდურანსიდან“ აფრენილი კიდევ ერთი „უოსპ“ HAS1. მან ორი მართვადი AS12 რაკეტით მიიტანა იერიში, რომელთაგანაც ერთი კიჩოს ჰორიზონტალურ საჭესთან მოხვდა სუბმარინას. ამის შემდეგ „უოსპი“ ბორტზე დაბრუნდა, ახალი რაკეტებით აღიჭურვა და კვლავ „სანტა-ფესკენ“ გაფრინდა. ამ დროისთვის სუბმარინას კიდევ ერთი რაკეტა მოახვედრა ფრეგატიდან აფრენილმა „უოსპ“-მაც. მას მეორეჯერაც შეეძლო შეტევა, მაგრამ საწვავი უთავდებოდა და მისი დაბრუნება საძიებო იყო ხომალდზე, რომლისგანაც თითქმის 50 მილი აშორებდა. „ენდურანსიდან“ აფრენილი მეორე შვეულმფრენი საბრძოლო მოქმედებების ზონაში 10 საათზე შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაპირიდან ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერი ესროლეს, პილოტმა მაინც მოახერხა „სანტა-ფესთვის“ წყვილი რაკეტა AS12 ეტყორცნა, რომელთაგან ერთი ნავის კორპუსს მოხვდა.

მესამე იერიშზე წასულ გადაიარაღებულ პირველ „უოსპ“-ს უფრო დიდი საფრთხე შექმნა, — სუბმარინასთან მიახლოებულს ნაპირიდან და ნავიდან (არგენტინელები მაშინღა მოეგნენ გონს), ტყვიამფრქვევების ცეცხლი გაუხსნეს, გარდა ამისა, ესროლეს რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტაც. პილოტმა მოხერხებული მანევრით აიცილა რაკეტები და საიერიშო კურსზე გავიდა, მისი გაშვებული რაკეტა კი პირდაპირ გემის კოშკურას მოხვდა. 11 საათისთვის სუბმარინას, რომელიც თითქმის უკვე ნავმისადგომამდე იყო მისული, საკმაოდ შესამჩნევი გადახრა ჰქონდა და შავ, სქელ კვამლში იყო გახვეული. საქმე მოთავებული იყო.

ბრიტანულ ხომალდებზე ბაზირებული შვეულმფრენ „უოსპ“ HAS1-ების ძირითადი დანიშნულება საძიებო-სათვალთვალო სამუშაოები და ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტაა.

სამხრეთ გეორგიის ოპერაციაში და 1982 წელს ფოლკლენდის კუნძულებისთვის ბრძოლაში დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის თორმეტი შვეულმფრენი „უოსპ“-ი მონაწილეობდა.

ჩვენი დოსიე: სახომალდო „უოსპ“-ების შეიარაღებაში შედიოდა ერთი ნავსაწინააღმდეგო (იშვიათად ხომალდსაწინააღმდეგო) ტორპედო და ორი სიღრმისეული ბომბი (ან მხოლოდ სიღრმისეული ბომბები), ან მხოლოდ ხომალდსაწინააღმდეგო AS12 ტიპის, ფრთიანი რაკეტები. ეს უკანასკნელი SS11 ტიპის ფრანგული მართვადი რაკეტის გაუმჯობესებული ვარიანტი იყო.

რაკეტას ოპერატორი სადენების საშუალებით, ვიზუალურად მართავდა (AS12-ის სროლის სიშორე 5 კილომეტრამდე აღწევდა).

ჩვეულებრივ სამხედრო ხომალდებზე SS12-ის გასაშვები დანადგარები კიჩოს ნაწილში ან ბორტებზე მაგრდებოდა, მაგრამ სადგამი ღერძის გარშემო არ ბრუნავდა და მის გამოსაყენებლად ხომალდს მთლიანად უხდებოდა მიზნისკენ სწორი კუთხით შებრუნება.

საავიაციო ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა AS12-ების საბრძოლო გამოყ-

ენების ისტორია ერთობ მწირია და, ძირითადად, ზემოთ აღწერილ არგენტინული წყალქვეშა ნავ „სანტა-ფეს" ჩაძირვას მოიცავს. ამას შეიძლება დავუმატოთ ირან-ერაყის ომის დროს ამ ტიპის რაკეტების გამოყენების მცდელობა, როცა ერაყელი სამხედროები დიდხანს ცდილობდნენ, დაეზიანებინათ ტიგროსის დელტაში მცურავი ირანელების სადარაჯო და მცირე კატარღები.

## გათავისუფლება

წყალქვეშა საფრთხის ლიკვიდაციამ შვება მოჰგვარა ოპერატიული ჯგუფის მეთაურს, რომელმაც დაუყოვნებლად გასცა კუნძულზე დესანტის გადასხმის ბრძანება. რადგან მცურავი საშუალებებისთვის მთავარი საშიშროება უკვე აღარ არსებობდა, ბრიტანელები ღია იერიშზე გადავიდნენ.

25 აპრილს, 9 საათზე ქალაქ გრუტვიკენიდან ორი მილის მოშორებით (დაახლოებით 3,7 კმ) გადაისხა SAS-ის ოცდაათი სპეცრაზმელი. დესანტი შვეულმფრენებით („უესექსი", საესკადრო ნაღმოსან „ნატრიმიდან" და ორი შვეულმფრენი „ლინქსი" ფრეგატ „ბრილიანტიდან") გადასხეს, შემდეგ იმავე შვეულმფრენებმა კუნძულზე გადასხეს სამეფო-საზღვაო ფლოტის კომანდოსთა 42-ე M პოლკის საზღვაო ქვეითთა ოცეულის მებრძოლები (იერიშის პირველ ტალღაში SAS-ის SBS-ისა და სამეფო-საზღვაო ქვეითთა 75 მებრძოლი მონაწილეობდა).

პარალელურად, კუნძულზე არტილერიის ცეცხლის მაკორექტირებლები გადასხდნენ და მაშინვე ამოქმედნენ — არტილერიის ცეცხლი გამაგრებული მოწინააღმდეგისკენ მიმართეს. საარტილერიო მხარდაჭერას ახდენდნენ ფრეგატი „პლიმუთი" და საესკადრო ნაღმოსანი „ანტრომი".

დანაღმული მონაკვეთების გავლის შემდეგ, ინგლისელებმა ელვისებური იერიშით აიღეს ქალაქი.

ერთსაათიანი წინააღმდეგობის შემდეგ, არგენტინელებმა მთელ კუნძულზე გამოაცხადეს კაპიტულაცია.

სამხრეთ გეორგიის გარნიზონის მეთაურმა კაპიტანმა ლარგოსმა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს ხელი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის საესკადრო ნაღმოსან „ნატრომის" ბორტზე მოაწერა. მეორე არგენტინელი მეთაური ლეიტენანტი ალფრედ ალტეცი, რომელიც სტრომნესში მცირერიცხოვან სამხედრო ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ტყვიის გაუსროლად დანებდა, რითაც არგენტინის არმიის წესდების 715-ე მუხლი დაარღვია, სადაც ნათქვამია, რომ: „იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე დანებდა მოწინააღმდეგეს ისე, რომ არ ამოწურა საბრძოლო საშუალებების მთელი მარაგი, ან თუ არ დაკარგა მის დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის ორი მესამედი, დაისჯება 3-დან 5 წლამდე პატიმრობით". ლეიტენანტმა ალტეცმა ამ დოკუმენტს ხელი ფრეგატ „პლიმუთის" ბორტზე მოაწერა. ამ დროს კი ინგლისის ფლოტის ძირითადი ნაწილი ფოლკლენდის კუნძულებისკენ მიემურებოდა და საბრძოლო მოქმედებების რაიონს თითქმის 13 ათასი კილომეტრით იყო დაშორებული.

სხვადასხვა მონაცემით, ინგლისელებს ტყვედ 102 არგენტინელი სამხედრო და 32 სამოქალაქო პირი ჩაუვარდათ, სამი არგენტინელი კი ბრძოლისას დაიღუპა. სხვადასხვა მონაცემით, ერთ არგენტინელ სამხედროს ყუმბარამ ფეხები მოაგლიჯა, ერთი კი მაშინ მოკლეს, როცა ნახევრად ჩაძირული „სანტა-ფეს" აფეთქებას ცდილობდა.

სხვა მონაცემებით, დაატყვევეს 158, თუ 190 არგენტინელი (ამ შემთხვევაში, ალბათ, „სანტა-ფეს" ეკიპაჟიც ითვლება), მოკლულთა სახით დანაკარგი არ ყოფილა, მხოლოდ ერთი არგენტინელი მყვინთავი დაიჭრა ფეხში მძიმედ, რის გამოც კიდურის ამპუტაცია გაუკეთდა.

## ზედმეტი თავდაჯერება

ოპერაციის მსვლელობის გარჩევისას, რომელიც კუნძულ გეორგიის გათავისუფლების შემდეგ შედგა, მკაცრი კრიტიკა ხვდა წილად SAS-ისა და SBS-ის ხელმძღვანელობას. საქმე ის არის, რომ მეთაურები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული ავდრის შესახებ, რომ მყინვარზე გადამსხდარი სპეცრაზმელები რთულ პირობებში მოხვდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ქვეგანყოფილებების მეთაურებმა უგულებელყვეს გაფრთხილება, რის გამოც ჩაიშალა ოპერაციის საწყისი ფაზა. SAS-ის მებრძოლთა ამ მოქმედებების გასამართლებლად, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სპეცრაზმი ყოველთვის ისეთი რთული დავალებების შესრულებას კისრულობს, რომელთა შესრულებაც სხვა ქვეგანყოფილების ჯარისკაცებს არ შეუძლიათ. SAS-ის დევიზიც Who dares wins („მამაცები იმარჯვებენ") ხომ ამაზე მეტყველებს და ბრიტანელ სპეცრაზმელებს ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე მოქმედებას აიძულებს...

კუნძულ სამხრეთ გეორგიის გათავისუფლებამ ათასობით ბრიტანელ სამხედროზე, რომელთაც ჯერ არ ეყნოსათ დენთის სუნი, დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა. მათ უკვე იცოდნენ, რომ მოწინააღმდეგესთან წარმატებული დაპირისპირება შესაძლებელი იყო, უფრო მეტიც, შესაძლებელი იყო მისი ადვილად დამარცხება. მეორე მხრივ, ერთობ ადვილმა გამარჯვებამ და არგენტინელების უსუსურმა წინააღმდეგობამ დათვური სამსახური გაუწია SAS-ის ხელმძღვანელობას. მეთაურებმა ჩათვალეს, რომ არგენტინელი მეომრების სამხედრო პოტენციური და საბრძოლო სულისკვეთება ბრიტანელებთან შედარებით ერთობ დაბალი იყო. აქედან გამომდინარე, დაასკვნეს, რომ ფოლკლენდის სხვა კუნძულების გათავისუფლებაც ისევე ადვილად შეიძლებოდა, როგორც სამხრეთ გეორგიისა, მაგრამ საქმე არც ისე მარტივად იყო, როგორც ეგონათ..

არგენტინული „სანტა-ფეს" უკანასკნელი ნავსაყუდელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მფრინავი მეხანძრეები



ჟურნალ „არსენალის“ წინა ნომერში ჩვენ საკმაოდ ვრცელი სტატია დავუთმეთ ხანძარსაწინააღმდეგო თვითმფრინავებს. უკვე რამდენიმე ათწლეულია თვითმფრინავებთან ერთად ტყის ხანძრებთან ბრძოლაში არანაკლებ აქტიურად შვეულმფრენებსაც იყენებენ.

პირველად შვეულმფრენი ტყეში ხანძრის ჩასაქრობად 1947 წლის დასაწყისში აშშ-ში, კალიფორნიის შტატში გამოიყენეს, მაგრამ მაშინ ხანძრის კერებთან ახლოს მეხანძრეთა გადასხმითა და საჰაერო დაზვერვით შემოიფარგლნენ. 1957 წელს ლოს-ანჯელესის სახანძრო დეპარტამენტმა ხანძრებთან საბრძოლველად ექსპერიმენტის სახით მსუბუქი Bell-47-ის ტიპის შვეულმფრენების გამოყენება დაიწყო. პარალელურად ცდიდნენ შვეულმფრენზე წყლის განთავსების სხვადასხვა საშუალებას. პირველი საშუალება, რომელიც შვეულმფრენზე ჩამოკიდებად რეზერვუარს წარმოადგენდა, 50-იანი წლების ბოლოს ჯიმ გრუდის „მონსონის ვარცლი“ გახდა, რომელსაც შვეულმფრენის ქვეშ კიდებდნენ და ის 205 ლიტრ წყალს იტევდა. რეზერვუარს ქვევიდან სარქველი ჰქონდა, რომლის გაღებაც შვეულმფრენის პილოტის ბრძანებით ხდებოდა. გამოგონება საკმაოდ ეფექტური გამოდგა და მისი გამოყენება ინტენსიურად დაიწყეს. 60-იანი წლების შუახანებისთვის ლოს-ანჯელესის სახანძრო დეპარტამენტში ჩამოყალიბდა სპეციალური საავიაციო-საშვეულმფრენო განყოფილება, რომელიც გრუდის გამოგონებით იყო აღჭურვილი.

გრუდის გამოგონებას ერთი ნაკლი ჰქონდა — ძლიერი ხანძრის დროს წყლის რაოდენობა არასაკმარისი იყო. მართალია, შემდგომში „მონსონის ვარცლის“ მოცულობა 400 ლიტრამდე გაზარდეს, მაგრამ ესეც არასაკმარისი იყო. საჭირო იყო ალტერნატიული საშუალება, რომელიც შვეულმფრენ S-64 Skycrane-ის სახით გამოჩნდა.



S-64 Skycrane აშშ-ში ყველაზე ძლიერი სახანძრო შვეულმფრენია

ეს უჩვეულო იერის მქონე შვეულმფრენი მფრინავი-ამწე CH-54-ის ერთ-ერთი ვარიანტია, რომელზეც მუშაობა ამერიკულმა ფირმა Sikorsky-მ გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო. საბაზო ვარიანტად კონსტრუქტორებმა წინამორბედი სატრანსპორტო შვეულმფრენ S-60-ის შექმნისას მიღებული გამოცდილება გამოიყენეს, თუმცა ტვირთამწეობისთვის წაყენებული სამხედროების ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო გახდა ძალურ დანადგარში ტურბოლილვური ძრავების გამოყენება. წონის მინიმუმამდე დასაყვანად კი შვეულმფრენს ფიუზელაჟად მხოლოდ კოლოფისებრი კონსტრუქციის კოჭი დაუტოვეს, რომელზეც მაგრდებოდა შასი, ძრავები და რედუქტორი, წინა ნაწილში კი 3 კაცზე გათვლილი კაბინა. ახალი მფრინავი ამწის მშენებლობა 1962 წლის აპრილში დასრულდა, 9 მაისს კი მან პირველი გაფრენა შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

CH-54-ის სიგრძე 21,4 მ-ს, სიმაღლე კი 5,6 მ-ს შეადგენს. ექვსნიჩბიანი მზიდი ხრახნის დიამეტრი 21,95 მ-ს უტოლდება, ცარიელი შვეულმფრენი 7820 კგ-ს იწონიდა, მაქსიმალური ასაფრენი კი — 19051 კგ-ს. საბაზო ვარიანტზე ძალური დანადგარის სახით გამოყენებულია ფირმა Pratt & Whitney-ის ორი ტურბოლილვური ძრავა T73-P-1 სიმძლავრით, ასაფრენ რეჟიმზე 3355 კვტ. შვეულმფრენის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ია და სასარგებლო დატვირთვის სახით გარე საკიდზე 9000 კგ-ის წაღება შეეძლო.

გამოცდის დასრულების შემდეგ თავდაცვის სამინისტრომ ექვსი S-64 შეუკვეთა, რომელმაც სერიული ნიშნული CH-54A და სახელწოდება Tarhe მიიღეს. აქედან ხუთი მანქანა ვიეტნამში 1-ელი კავალერიული (აერომობილური) დივიზიის შემადგენლობაში გაგზავნეს. 60 შვეულმფრენის შეძენის შემდეგ, აშშ-ის არმიამ დამატებით 29 მოდერნიზებული CH-54B შეიძინა. ამ მანქანებზე შემდგომში 9 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. სულ ორი სერიული და ექვსი საცდელი მოდიფიკაციის ჩათვლით 105 CH-54 აშენდა.

მფრინავ-ამწე შვეულმფრენის სამხედრო ვარიანტებს მალე სამოქალაქო მოდიფიკაციებიც მოჰყვა და 1969 წელს შეიქმნა შვეულმფრენი S-64 Skycrane, რომელიც სამოქალაქო სფეროში სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად იყო განკუთვნილი. სამოქალაქო ვარიანტის ყველაზე დიდი პარტია კომპანია Erickson Air-Crane-მა შეიძინა და შვეულმფრენი ხანძარმქრობად გადააკეთა. 1970 წელს შვეულმფრენმა საფრენოსნო ვარგისიანობის სერტიფიკატი მიიღო. გადაკეთება კი იმაში მდგომარეობდა, რომ შვეულმფრენზე წყლის კონტეინერს ჰკიდებდნენ. კონტეინერიდან, რომელიც 10000 ლიტრ წყალს იტევს, წყლის ჩამოსხმა მის ქვედა ზედაპირზე არსებული სარქვლებიდან ხდება და ამ პროცესს მფრინავი აკონტროლებს. საჭიროებიდან გამომდინარე, წყლის ჩამოსხმა ერთბაშად ან ეტაპობრივად შეიძლება. წყლის მარაგის შესავსებად შვეულმფრენს აეროდრომზე დაბრუნება არ სჭირდება. შვეულმფრენი სპეციალური ტუმბოთი და დიდი დიამეტრის შლანგითაა აღჭურვილი. წყალსატევის, მდინარის ან წყლის რეზერვუარის თავზე დაკიდებული შვეულმფრენი შლანგს წყალში უშვებს (შლანგის ბოლო გვარლის საშუალებით ჯალამბართანაა დაკავშირებული) და



ეფექტურობის მიუხედავად, სახანძრო Ми-6ПЖ2-მ დიდი გავრცელება ვერ პოვა

ტუმბო წყალს შვეულმფრენზე დამაგრებულ კონტეინერში აწვდის. შესაბამისად, საწვავის ერთი გამართვით შვეულმფრენს ხანძრის კერის მიმართულებით რამდენიმე რეისის შესრულება შეუძლია.

დღეს 4 შვეულმფრენს იტალიის მეტყევეთა სამსახური იყენებს, ამდენივეს კორეა, ორი შვეულმფრენს კი — კანადა. S-64 Skycrane ლოს-ანჯელესის სახანძრო დეპარტამენტისა და კერძო კომპანიების: Evergreen Helicopters-ი, Erickson Air-Crane და Helicopter Transport Services-ი განკარგულებაშია.

ხანძრების ჩასაქრობად მძიმე შვეულმფრენებს საბჭოთა კავშირშიც იყენებდნენ, თუმცა Ми-6-ის სახანძრო ვარიანტს Skycrane-ისთანა პოპულარობა არ მოუპოვებია. ამ შვეულმფრენზე მუშაობა მილის საკონსტრუქტორო ბიურომ 50-იან წლებში დაიწყო. მობილური ჯარების განვითარების ანალიზიდან გამომდინარე, მომავალი შვეულმფრენის სასარგებლო დატვირთვა 6000 კგ-ით განისაზღვრა. კონსტრუქტორების გადაწყვეტილებით, შვეულმფრენი ტრადიციული სქემის მიხედვით უნდა შექმნილიყო, მაგრამ ნათელი გახდა, რომ ამხელა ასაფრენი მასის მქონე შვეულმფრენისთვის შიდაწვის ძრავების სიმძლავრე არასაკმარისი იქნებოდა,




„იროკეზის" ტიპის შვეულმფრენი აშშ-ში Bambi Bucket-ის ყველაზე გავრცელებული მომხმარებელია



Bambi Bucket-ით აღჭურვილი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების Chinook-ი

საჭირო იყო ტურბოლილვურ ძრავებზე გადასვლა.

1954 წელს მილის საკონსტრუქტორო ბიურომ შვეულმფრენის პროტოტიპის შექმნა დაიწყო, რომელმაც მალე ნიშნული Ми-6 მიიღო. 1957 წლის 5 ივნისს ის პირველად აფრინდა ჰაერში. იმ პერიოდისთვის ეს შვეულმფრენი მართლაც გიგანტური იყო. მისი სიგრძე 33,18 მ-ს, სიმაღლე კი 9,8 მ-ს შეადგენდა. ხუთნიჩბიანი მზიდი ხრახნის დიამეტრი 35 მ-ს შეადგენდა, ცარიელი 26500 კგ-ს იწონიდა. მაქსიმალური ასაფრენი მასა 41700 კგ-ს აღწევდა. Ми-6-ზე Д-25В-ის ტიპის ორი ტურბოლილვური ძრავა გამოიყენებოდა, სიმძლავრით 4847 კვტ. შვეულმფრენის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ იყო და მისი ეკიპაჟი ხუთ კაცს ითვლიდა. სასარგებლო დატვირთვის სახით სატრანსპორტო ნაკვეთურში მას 8000 კგ-ის წაღება შეეძლო, გადატვირთულ ვარიანტში გარე საკიდზე კი — 12000 კგ-ის. შვეულმფრენის დიდი ასაფრენი მასიდან გამომდინარე, მზიდი ხრახნის განსატვირთად ბორტებზე მას ფრთები დაუყენეს.

საბჭოთა თავდაცვის სამინისტრო იმდენად მოიხიბლა ახალი მძიმე სატრანსპორტო შვეულმფრენითა და მისი შესაძლებლობებით, რომ სახელმწიფო გამოცდის დასრულებამდე 2 წლით ადრე მისი სერიულ წარმოებაში ჩაშვების განკარგულება გასცა.

ექსპლუატაციის პროცესში ამ შვეულმფრენის ბაზაზე მისი სხვადასხვა მოდიფიკაცია შეიქმნა, მათ შორის 1967 წელს სახანძრო ვარიანტი Ми-6ПЖ წარმოადგენდა. საბაზო ვარიანტისგან განსხვავებით ამ შვეულმფრენზე მოხსნილი იყო ფრთა, ფიუზელაჟში 12000 ლიტრ წყალზე გათვლილი რეზერვუარი იყო განთავსებული. გარდა ამისა, შვეულმფრენი სპეციალური ტუმბოთი და წყლის მიმღები მოწყობილობით იყო აღჭურვილი, რომლის საშუალებითაც ბორტზე წყლის მარაგის შევსება, დაკიდებულ მდგომარეობაში მყოფ შვეულმფრენს წყალსატევიდან ან მდინარიდან შეეძლო. შვეულმფრენის ბორტიდან წყლის ჩამოსხმა იატაკში, ფიუზელაჟის უკანა ნაწილში არსებული სარქვლიდან ხდებოდა, საიდანაც წყალს მაღალი წნევით სპეციალური ტუმბო დევნიდა.

აღნიშნულ ვარიანტში შვეულმფრენის ერთი ეგზემპლარი გადაკეთდა, თუმცა მას დიდხანს არ უარსებია. იმ წელს საფრანგეთის სამხრეთ რეგიონის ტყეებში ძლიერი ხანძარი მძვინვარებდა და საფრანგეთის მთავრობამ დახმარება საბჭოთა კავშირს სთხოვა. იმ პერიოდში Ми-6ПЖ გამოცდას გადიოდა და გადაწყდა მისი რეალურ პირობებში გამოცდა. შვეულმფრენი ეკიპაჟთან ერთად, რომელსაც მფრინავ-გამომცდელი იური გარნაევი მეთაურობდა, საფრანგეთში გაემგზავრა. 6 აგვისტოს ერთ-ერთი გაფრენისას შვეულმფრენმა კატასტროფა განიცადა და ბორტზე მყოფი ცხრა კაცი, მათ შორის ორი ფრანგი დაიღუპა. კატასტროფის მიზეზი დღემდე უცნობია და სხვადასხვა ვერსიას, მათ შორის დივერსიასაც, აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს.

1972 შეიქმნა ხანძარსაწინააღმდეგო შვეულმფრენის მეორე ვარიანტი Ми-6ПЖ2, რომელიც წინამორბედისგან ფიუზელაჟის ცხვირა ნაწილში შტურმანის სამუშაო ადგილის ქვეშ განთავსებული ლაფეტური დანადგარით განსხვავდებო-


თმის გადანერგვის კლინიკა

თალიზი



ტაშკენტის ქ. 27 ტელ: 25 37 39

www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. დაკიდებულ რეჟიმში მყოფ შვეულმფრენს ამ დანადგარიდან ძლიერი წყლის ჭავლის მისხმა პირდაპირ ხანძრის კერაზე შეეძლო. ეს ვარიანტი უფრო წარმატებული გამოდგა და ამ მოდიფიკაციაში რამდენიმე შვეულმფრენი გადააკეთეს. დღეს ამ შვეულმფრენის ერთ-ერთი ეგზემპლარის ნახვა მოსკოვში, მონინოს საავიაციო მუზეუმშია შესაძლებელი.

ძირითადად, ასე იყენებდნენ შვეულმფრენებს ტყის ხანძრებთან ბრძოლაში, სანამ 1982 წელს კანადელ დონ არნის ცეცხლთან საჰაერო ბრძოლის ისეთი მოწყობილობის შექმნის იდეა არ მოუვიდა, რომელიც შვეულმფრენს წყლის ან ცეცხლის ჩამქრობი სითხის ჩამოსხმის საშუალებას უშუალოდ ცეცხლის კერაზე მისცემდა. ცეცხლთან ბრძოლის ხანგრძლივობის გაზრდის გარდა, ამ მოწყობილობის საშუალებით წყლის მარაგის შევსება ნებისმიერი წყალსატევიდან უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. რამდენიმე ვარიანტის შემდეგ, გაჩნდა მოწყობილობა, რომელიც ერთი შეხედვით დიდ ვარცლს ჰგავს და რომელსაც Bambi Bucket-ი ჰქონდა.

კონსტრუქციულად Bambi Bucket-ი მაღალი სიმტკიცის ქსოვილისგან დამზადებული ნახევრად ხისტი „ვარცლია". ქსოვილი იმდენად მტკიცეა, რომ მისი გახევა არცთუ ისე იოლია. „ვარცლს" ქვემოთ აქვს სპეციალური სარქველი, რომლის გაღება-დახურვასაც შვეულმფრენის მფრინავი აკონტროლებს.

1982 წლიდან მოწყობილობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დღეს მათი მოცულობა 275-დან 10000 ლიტრამდე მერყეობს. შესაბამისად, წონაც 30-დან 241 კგ-მდე ვარირებს.

კანადური Bambi Bucket-ის ანალოგიური მოწყობილობა 1995 წელს რუსეთშიც შეიქმნა და მას ВСУ-5 ჰქონდა. ის 5000 ლიტრ წყალს იტევს და მის დასაცლელად 6 წამია საჭირო. წყლის 30 მ სიმაღლიდან ჩამოსხმის შემთხვევაში წყლის ზოლის სიგანე 10-15 მ-ს, სიგრძე კი 75 მ-ს შეადგენს.

მოწყობილობის გამოყენება ყველა იმ შვეულმფრენზე შეიძლება, რომელთაც გარე საკიდარზე ტვირთის წაღების საშუალება აქვს. ამის წყალობით არ არის საჭირო სპეციალიზებული სახანძრო შვეულმფრენის ყოლა. ამ ფუნქციის შესრულება კანადური წყლის ჩამოსასხმელი მოწყობილობის მქონე ნებისმიერ შვეულმფრენს შეუძლია.

ამგვარ მოწყობილობებს ტყის ხანძრებთან ბრძოლაში ჩვენც ვიყენებთ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების Ми-8Т-ისა და Ми-8МТ-ის ტიპის შვეულმფრენებზე. სხვათა შორის, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ბორჯომის ტყეებში მასშტაბური ხანძრის ლოკალიზაციისათვისაც ამ მოწყობილობებს იყენებდნენ.

რუსეთში დსთ-ის ქვეყნებსა და ნაწილობრივ ევროპაში ასეთი მოწყობილობების მთავარი მომხმარებლები Ми-8-ის ტიპის შვეულმფრენები არიან. რაც შეეხება აშშ-ს, ამ ტიპის მოწყობილობები უმეტესწილად „იროკეზისა" და UH-60-ის ტიპის შვეულმფრენებზე გამოიყენება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ხანძარი დიდ მასშტაბს აღწევს, აშშ-ში სამხედრო-საჰაერო ძალების CH-47 Chinook-ებს იყენებენ. მისი პირველი პროტოტიპი 1961 წლის 21 სექტემბერს აფრინდა ჰაერში. მალე საცდელმა ნიმუშებმა ოფიციალური ნიშნული YCH-47A მიიღო, სერიულმა მანქანებმა კი — CH-47A (CH - Cargo Helicopter).



15000 ლიტრი წყლის წაღების შესაძლებლობის მქონე Ми-26Т ხანძრებთან ბრძოლაში ნამდვილი „მძიმე არტილერიაა"

პოპულარული სახელი Chinook-ი კი შვეულმფრენმა ჩრდილოამერიკელი ინდოელების ერთ-ერთი ტომის პატივსაცემად მიიღო.

1962 წელს შვეულმფრენი სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს და სამი წლის შემდეგ ისინი ჩარიცხეს 1-ელი აერომობილური დივიზიის შემადგენლობაში, რომელიც მალე ვიეტნამში გაემგზავრა. შვეულმფრენებით უმეტესწილად სხვადასხვა სახის ტვირთი გადაჰქონდათ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კონფლიქტი 550-მა Chinook-მა გამოიარა (იმ პერიოდში აშენებული 684 მანქანიდან). მათ 2,6 მილიონ შვეულმფრენ-გაფრენა შეასრულეს და საერთო ჯამში 1182 ათასი საათი იფრინეს, გადაიყვანეს 8,5 მილიონი კაცი და 4,5 მილიონი ტონა ტვირთი გადაიტანეს. საბრძოლო მოქმედებებს 170 შვეულმფრენი შეეწირა.

ყველაზე გავრცელებული CH-47D მოდიფიკაციის შვეულმფრენის სიგრძე 30,1 მ-ს, სიმაღლე კი 5,7 მ-ს შეადგენს.



ჰორიზონტალური წყალმტყორცნი მილის საშუალებითი Ka-31A1 მაღალსართულებიან შენობების ბოლო სართულებზე ცეცხლთან საბრძოლველად ძალზე ეფექტური საშუალებაა

ფიუზელაჟის ცხვირა და კუდა ნაწილში არსებული მზიდი ხრახნების დიამეტრი 18,3 მ-ია, ცარიელი შვეულმფრენი 10180 კგ-ს იწონის, მაქსიმალური ასაფრენი წონა კი 22680 კგ-ს უტოლდება. ძალური დანადგარის სახით CH-47D-ზე T55-GA-712-ის ტიპის ორი ტურბოლილვური ძრავაა დაყენებული, სიმძლავრით 2796 კვტ თითო. შვეულმფრენის მაქსიმალური სიჩქარე 315 კმ/სთ-ია. ტვირთი უმეტესწილად გადააქვთ შვეულმფრენის გარე საკიდრით, რომელსაც 12700 კგ-ის წაღება შეუძლია.

წყლის ჩამოსასხმელი საშუალების სახით მასზე HL 7600-ის ტიპის „ბემბი ბაქეთი" გამოიყენება, რომლის მოცულობაც 7570 ლიტრს შეადგენს. მას წყლის აღება ნებისმიერი წყალსატევიდან შეუძლია, მაგრამ მისი სიღრმე 3 მ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. წყლის მარაგის სრული დაცლისთვის მას 12 წამი სჭირდება.

Chinook-თან შედარებით გაცილებით სოლიდურია რუსული გიგანტი Ми-26T. მისი პირველი პროტოტიპი ჰაერში პირველად 1977 წლის 14 დეკემბერს აფრინდა. მისი სიგრძე 33,73 მ-ს, სიმაღლე კი 8,15 მ-ს შეადგენს. რვანიჩბიანი მზიდი ხრახნის დიამეტრი 32 მ-ია, ცარიელი შვეულმფრენი 28200 კგ-ს იწონის, მაქსიმალური ასაფრენი წონა კი 56000 კგ-ს აღწევს. ძალური დანადგარის სახით შვეულმფრენზე Д-136-ის ტიპის ორი ტურბოლილვური ძრავაა გამოყენებული, სიმძლავრით 8280 კვტ თითო. მისი ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 295 კმ/სთ-ია, მაქსიმალური დატვირთვისას მას 475 კმ-ზე შეუძლია ფრენა. სასარგებლო დატვირთვის სახით 20000 კგ-ის წაღება შეუძლია. იმავე მასის ტვირთი შვეულმფრენს გარე საკიდარზე მიაქვს.

შვეულმფრენის შეიარაღებაში მიღება 1980 წელს გადაწყდა, მაგრამ მისი სერიული წარმოება სამი წლით ადრე დაიწყო. დღემდე 15 სერიული და საცდელი მოდიფიკაციის 276 შვეულმფრენია გამოშვებული.

რაც შეეხება მის სახანძრო ვარიანტს, რომელიც ВСУ-15А-ს ტიპის წყლის ჩამოსასხმელი სისტემითაა აღჭურვილი, ის ჰაერში 1997 წელს აფრინდა. ВСУ-15А-ს მოცულობა 15000 ლიტრია, მაგრამ ხანძრის კერის სიძლიერიდან გამომდინარე, შესაძლებელია წყლის მოცულობის რეგულირება და შესაბამისად: 7; 8; 9; 10; 12,5; 13,5 ტონა წყლის აღება. წლის მაქსიმალური მოცულობის აღების შემთხვევაში, ეს პროცესი მხოლოდ 10 წამს საჭიროებს, წყლის ჩამოსხმის სიჩქარე კი ერთ წამში ერთ ტონას შეადგენს.

დღეს Ми-26T-ს (საბაზო ვარიანტის სამოქალაქო მოდიფიკაცია) სახანძრო ვარიანტში რუსეთისა და ჩინეთის საგანგებო სიტუაციათა სამსახურები იყენებენ. ხშირად იტალიისა და საბერძნეთის სახანძრო სამსახურები იჯარით სამოქალაქო ავიაკომპანიების შვეულმფრენებს იყენებენ.

ხანძრებთან საბრძოლველად შექმნილი უფრო სპეციალიზებული შვეულმფრენია რუსული Ka-32A1, რომლის პირველი პროტოტიპიც 1993 წელს აფრინდა ჰაერში. სახანძრო შვეულმფრენების უმრავლესობისგან განსხვავებით, წყალს მის ფიუზელაჟის ქვედა ნაწილზე დამაგრებულ რეზერვუარში ასხამენ, რომელიც 3000 ლიტრ წყალს იტევს. ამის წყალობით Bambi Bucket-სთვის დამახასიათებელი ისეთი უარყოფითი მხარეების გამორიცხვა ხდება, როგორიცაა ფრენის შეზღუდული სიჩქარე, გრძელ გვარლზე დაკიდებული ტვირთით გამოწვეული გართულებული ბალანსირება და რაიმე წინააღმდეგობაზე ტვირთის გამოდების საშიშროება. Ka-32A1-ის შემთხვევაში, წყლის მარაგის შევსება, დაკიდებულ მდგომარეობაში, ორი შლანგისა და მათ ბოლოებზე დამაგრებული ტუმბოების საშუალებით ხდება. ამ პროცესის შესრულებას 1 წთ და 20 წმ სჭირდება.

ხანძრის ტიპიდან გამომდინარე, ეკიპაჟს წყლის ჩამოცლა ერთდროულად ან ეტაპობრივად შეუძლია. იქიდან გამომდინარე, თუ რა მანძილზეა დაშორებული ხანძრის კერა წყლის აღების ადგილიდან, შვეულმფრენს ერთი საათის განმავლობაში საშუალოდ შემდეგი ოდენობის წყლის გადატანა შეუძლია: 0,5 კმ — 50 ტონა, 3 კმ — 36 ტონა, 5 კმ — 28 ტონა.

შვეულმფრენის სიგრძე 12,25 მ-ს, სიმაღლე კი 5,4 მ-ს შეადგენს. შვეულმფრენი კამოვის ფირმისთვის დამახასიათებელი თანაღერძული ხრახნის სქემის მიხედვითაა შესრულებული. მზიდი ხრახნის დიამეტრი 15,9 მ-ია, ცარიელი 6000 კგ-ს იწონის. ძალური დანადგარის სახით აქვს ТВ3-117ВМА-ს ტიპის ორი ტურბოლილვური ძრავა, სიმძლავრით 2200 ცხ.ძ. შვეულმფრენის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 260 კმ/სთ-ია,




UH-60-ის სამოქალაქო მოდიფიკაციის სახანძრო ვარიანტი დაკისრებულ ამოცანას შესანიშნავად ართმევს თავს



ძლიერი ხანძრის დროს, აშშ-ში ხშირად დასახმარებლად სამხედრო ავიაციას მიმართავენ

ფრენის მანძილი კი 800 კმ. ეკიპაჟი 3-4 კაცს ითვლის.

ამ შვეულმფრენის უპირატესობა ისიც არის, რომ ტელესკოპური კონსტრუქციის მქონე ჰორიზონტალური და ვერტიკალური წყალსატყორცნი მილებითაა აღჭურვილი. პირველი ძალზე ეფექტურია ცეცხლთან საბრძოლველად, მაღალსართულიანი შენობების ბოლო სართულებზე. ამ შემთხვევაში წყლის ჭავლის სიგრძე 45 მ-ს აღწევს. ვერტიკალური წყალსატყორცნი მილის გამოყენება კი ხანძარსაწინააღმდეგო დამცავი ზოლების წარმოქმნისას ხდება. ამასთან, შვეულმფრენზე სპეციალური ქაფწარმომქმნელი მოწყობილობაა დაყენებული, რომელიც 3000 ლიტრი წყლიდან 60000-დან 200000-მდე ლიტრ ქაფის წარმოქმნის საშუალებას იძლევა.

სახანძრო Ka-32A1-ის რამდენიმე ეგზემპლარი რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამსახურს ჰყავს. კიდევ 2 და 6 შვეულმფრენს ესპანეთი და პორტუგალია იყენებენ. 32 Ka-32 სამხრეთ კორეას აქვს შეკვეთილი და არსებული ცნობებით მათი ნაწილი ხანძართან საბრძოლველად საჭირო სისტემებით იქნება აღჭურვილი.

აშშ-ში Ka-32A1-ის ანალოგია შვეულმფრენი S-70A Firehawk-ი, რომელიც ცნობილი შვეულმფრენ UH-60 Blackhawk-ის ერთ-ერთი მოდიფიკაციაა. მოდიფიკაცია შ-70 შვეულმფრენის არასამხედრო დანიშნულების მოდიფიკაციაა და როგორც კერძო კომპანიებისთვის, ისე სამხედრო ვარიანტში გასაყიდად არის განკუთვნილი. ტყის ხანძრებთან საბრძოლველად შვეულმფრენზე ფიუზელაჟის ქვეშ მაგრდება სპეციალური რეზერვუარი, რომელიც 4000 ლიტრ წყალს იტევს. რეზერვუარს შუაში აქვს სპეციალური სარქვლები, რომლიდანაც წყალი ისხმება. ამ პროცესის შესრულება როგორც ერთბაშად, ასევე ეტაპობრივადაც არის შესაძლებელი. წყლის მარაგის შევსება დაკიდებულ რეჟიმში მყოფ შვეულმფრენს ნებისმიერი წყალსატევიდან შეუძლია. ამისთვის ის წყალში სპეციალურ შლანგს უშვებს (მისი ბოლო შვეულმფრენზე არსებულ ჯალამბარზე გვარლითაა დაკავშირებული), რომლის საშუალებითაც ტუმბო წყალს რეზერვუარში განდევნის.

გაბარიტებითა და მახასიათებლებით შვეულმფრენის სახანძრო მოდიფიკაცია, საბაზო ვარიანტისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება. მისი სიგრძე 19,76 მ-ს, სიმაღლე კი 5,13 მ-ს შეადგენს. მზიდი ხრახნის დიამეტრი 16,36 მ-აა. ცარიელი შვეულმფრენი 4819 კგ-ს იწონის, მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 10660 კგ-ს აღწევს. ძალური დანადგარის სახით მასზე T700-GE-701C-ის ტიპის ორი ტურბოლილვური ძრავაა განთავსებული, სიმძლავრით 1890 ცხ.ძ. თითო. შვეულმფრენს მაქსიმალური 295 კმ/სთ-ის ტოლი სიჩქარის განვითარება შეუძლია და მისი მოქმედების რადიუსი 592 კმ-ია.

ამ შვეულმფრენის მთავარი ექსპლუატანტი ლოს-ანჯელესის სახანძრო დეპარტამენტია. წყლის რეზერვუარების განსაზღვრული რაოდენობა აშშ-ის არმიასა და ნაციონალურ გვარდიასაც აქვთ. მათ საჭიროების შემთხვევაში თავიანთ Blackhawk-ზე ამონტაჟებენ.

კიდევ ერთ სახანძრო შვეულმფრენს 70-იანი წლების დასაწყისში Ми-8-ს ბაზაზე შექმნილი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ამფიბია Ми-14 წარმოადგენს. უფრო სწორად კი მის ბაზაზე შექმნილი Ми-14ПЖ. მისი პირველი პროტოტიპი ჰაერში 1993 წელს აფრინდა. გადაკეთებისას საბაზო შვეულმფრენის მტრალავი მოდიფიკაცია გამოიყენებოდა. მას მოხსნილი ჰქონდა ზედმეტი აღჭურვილობა, ფიუზელაჟის ფსკერზე კი 4000 ლიტრზე გათვლილი ავზი განათავსეს. მის სრულ შევსებას 1,5-2 წთ სჭირდება. 1994-96 წლებში სახანძრო მოდიფიკაციად 9 შვეულმფრენი გადაკეთდა. 90-იანი წლების ბოლოს ანალოგიური მოდიფიკაცია უკრაინელებმაც შექმნეს. ეს შვეულმფრენები 2001-2002 წლებში თურქეთში, 2003-ში კი საბერძნეთში ტყის ხანძრებთან საბრძოლველად გამოიყენებოდა.

*თემურ პულუზაშვილი*



შვეულმფრენი Ми-14ПЖ დღეს ამფიბიის ტიპის ერთადერთი სახანძრო შვეულმფრენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ალკოლიზინი" ცხოვრება მტანჯველი ნაბახუსევის გარეშე!




## პრეპარატს ანალოგი არ გააჩნია!

*სამკურნალო პრეპარატი „ალკოლიზინი" დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებისაგან. მისი ძირითადი შემადგენლობაა: შავი ბოლოკის თესლგაცლილი პარკი, გამოხდილი წყალი და კალიუმის სორბიტი.*

*„ალკოლიზინი" აჩქარებს სისხლში ალკოჰოლის დაშლის პროცესს სისხლში ალკოჰოლის დამშლელი ღვიძლის ფერმენტების წარმოქმნის გააქტიურების გზით.*

*30 მლ-იანი ფლაკონის ღირებულება, რომლის გამოყენებასაც 10-ჯერ შეძლებთ, 5 ლარია.*

*პრეპარატის შეძენა ნებისმიერ აფთიაქში შეგიძლიათ. გაიცემა რეცეპტის გარეშე.*

*გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ გააჩნია.*

სპირტიანი სასმლის მიღების შემდგომ, მეორე დღეს, უსიამოვნოდ ბევრს გიგრძნიათ თავი. ეს საზღაურია წინადღინდელი დროსტარებისა, რასაც „ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება" ეწოდება.

თუ გადამეტებულმა სმამ მოგიწიათ და ორგანიზმი ალკოჰოლით გადაიტვირთა, შესაძლოა, მეორე დილას ნაბახუსევის სინდრომმა შეგაწუხოთ. რა არის ნაბახუსევი, როგორ დავაღწიოთ თავი და რა მოვიმოქმედოთ, რომ ნაკლებად მტკივნეულად გადავლახოთ იგი?

ნუგზარ ჯოგლიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური საშუალებების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი: — მედიცინას წამლების სახით აქვს საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ შეამსუბუქონ ნაბახუსევის სინდრომი, მაგრამ რა ეშველება მთავარსა და ყველაზე საშიშს, — ალკოჰოლის ჭარბად მიღებით გამოწვეულ ღვიძლის დაზიანებას?! ამ შემთხვევაში „ალოკოლიზინი" ხსნაა, ის არა მარტო გაგათავისუფლებთ ნაბახუსევის სინდრომისაგან, არამედ დაიცავს თქვენს ღვიძლსაც.

**— როგორ იცავს „ალკოლიზინი" ღვიძლს, რა ცვლილებები ხდება ორგანიზმში მისი გამოყენებისას?**

— „ალკოლიზინი" აძლიერებს ალკოჰოლის დამშლელი ფერმენტების — აცეტალდეჰიდდეჰიდროგენაზისა და ალკოჰოლდეჰიდროგენაზის აქტივობას, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობს და აჩქარებს ორგანიზმში ალკოჰოლის ბოლომდე დაშლას. ისე, რომ ალკოჰოლი ვერ ასწრებს ღვიძლზე და სხვა ორგანოებზე ზემოქმედებას. ანუ „ალკოლიზინის" დახმარებით შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ ნაბახუსევის სინდრომი, დაიცვათ ღვიძლი და სხვა ოგანოები ალკოჰოლური გადაგვარებისაგან და შეამციროთ თრობის ხარისხი.

**— როგორ მიაგენით ამ პრეპარატის შემადგენლობას და მის დანიშნულებას?**

— ეს არის ძველ ქართულ რეცეპტზე დაფუძნებული პრეპარატი, რომელიც დუშეთის რაიონიდან მოგვაწოდეს, ხოლო კვლევა კომპანია „ნიკოსანმა" დააფინანსა. თავდაპირველად რეცეპტს სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა. ჩვენ ვიცოდით, რომ იგი გამოიყენებოდა სახის კანის ელასტიკურობის აღსადგენად და ნაოჭების გასაქრობად, მარილების დაგროვებისა და მამაკაცური პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემების სამკურნალოდ. თუმც როგორც ექსპერიმენტმა და კლინიკურმა აპრობაციამ ცხადყო, „ალკოლიზინი" 6-7-ჯერ ააქტიურებს იმ ფერმენტების წარმოქმნას, რომლებიც ალკოჰოლის დაშლას უწყობს ხელს. სხვა მიმართულებებით კვლევის გაგრძელება დიდ თანხებს მოითხოვდა, ამიტომ მიღებულ შედეგს დავჯერდით.

**— ბატონო ნუგზარ, თუ არსებობს სტატისტიკა, ქართველი მამაკაცების რა რაოდენობას აწუხებს ნაბახუსევის სინდრომი და რა იწვევს მას?**

— ნაბახუსევის სინდრომი აწუხებს მათ, ვისაც ორგანიზმში ზემოაღნიშნული ფერმენტების ნაკლებობა აქვს. გამოკვლეული ქართველი მამაკაცების 35-40% ამ მხრივ პრობლემატურია.

არიან ერები, რომლებსაც ეს ფერმენტი საერთოდ არ გააჩნიათ, მაგალითად, ჩინელები და ინდიელები, ამიტომ მათ ალკოჰოლის სრული აუტანლობა აღენიშნებათ.

**— როგორია მისი გამოყენების წესი?**

— საკმაოდ ორიგინალური და მოსახერხებელია. „ალკოლიზინი" თითქმის უსუნო სითხეა, რომელიც უნდა შეისხუროთ შუბლის, ლოყებისა და ყელის მიდამოებში და ხელის გულებით შეიზილოთ.

არსებობს „ალკოლიზინის" გამოყენების ორგვარი პრინციპი:

პირველი — ნაბახუსევის სინდრომის, ალკოჰოლის ორგანიზმზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილები და შედარებით სწრაფად გამოფხიზლების მიზნით გამოიყენეთ იგი უშუალოდ ალკოჰოლის მიღების წინ და მეორე დილით.

მეორე — მკურნალობის შედეგის მისაღწევად, ალკოჰოლის მიღებისგან დამოუკიდებლად შეისხურეთ „ალკოლიზინი" ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე ძილის წინ, რის შემდეგაც დაახლოებით სამი თვის განმავლობაში თავისუფალი იქნებით ალკოჰოლისგან გამოწვეული გართულებისაგან.

ორივე შემთხვევაში „ალკოლიზინის" სახეზე შესხურება უნდა მოხდეს სამჯერადად, ერთი წუთის შუალედით.

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

R

# Tavor - მთა, გადაქცეული ავტომატად



„არსენალის“ მე-100 საიუბილეო ნომრის აღსანიშნავად ჩვენი ერთგული მკითხველისთვის სპეციალურად გამოვცადეთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე დიზაინის მქონე ებრაული ავტომატების Tavor-ების რამდენიმე მოდიფიკაცია.

## 2004 წელს საქართველოში შემოტანილი ებრაული ავტომატები Tavor Tar-21-ები ყველაზე თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღი იყო ქართულ სპეცრაზმებში

„ტავორები“ საქართველოში ჯერ კიდევ 2004 წელს გამოჩნდა, სულ რამდენიმე თვის შემდეგ, რაც ისრაელის არმიამ შეიარაღებაში მიიღო.

„ტავორებით“ შინაგანი ჯარების ერთ-ერთი სპეცრაზმი შეიარაღდა.

„არსენალს“ მაშინ საშუალება მიეცა, გამოეცადა „ტავორის“ ერთ-ერთი მოდიფიკაცია. შინაგანი ჯარების დაშლისა და მისი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის გადანაწილების შემდეგ „ტავორები“ ამ უკანასკნელის სპეცდანიშნულების დანაყოფების შეიარაღებაში მოხვდა. მოგვიანებით საქართველოში ისრაელიდან ჩამოიტანეს „ტავორების“ ახალი მოდიფიკაციებიც, რის გამოც „არსენალმა“ „ტავორების“ კიდევ ერთხელ გამოცდა გადაწყვიტა.

ახალი ავტომატის შექმნა, რომელსაც ისრაელის არმიის „ცახალის“ შეიარაღებაში არსებული M16, CAR-15 და Galil-ის ტიპის საიერიშო ავტომატური შაშხანები უნდა შეეცვალა, 1991 წელს დაიწყო.

1998 წელს შედგა მისი პირველი პრეზენტაციაც Tavor Tar-21-ის სახელით. Tavor-ი თაბორის მთას ნიშნავს, ინდექსი „21“ კი XXI საუკუნის იარაღზე მიუთითებდა.

„ტავორის“ დიზაინი მართლაც გამორჩეული იყო და ნამდვილად მიესადაგებოდა XXI საუკუნის ფუტურისტული ფორმის იარაღს.

2009 წლისთვის „ცახალმა“ შეიძინა დაახლოებით 16 ათასი „ტავორი“, რომლებმაც საბრძოლო დანაყოფებში ამერიკული M16-ის ნაწილი შეცვალა.



Tavor-ის სტანდარტული ვერსია GTAR-21 40მმ-იანი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნ M203-ით

ეროვნული ბიბლიოთეკა







Tavor-ის ევოლუციის სამი ეტაპი: პირველი ნიმუში, საცდელი ეგზემპლარი და სერიული ვარიანტი




ორი მიკრო MTAR-21 და სნაიპერული STAR-21, რომლებიც „არსენალმა“ ერთ-ერთი ქართული სპეცდანიშნულების სასროლეთზე გამოცადა

ისრაელისა და საქართველოს გარდა „ტავორები“ აზერბაიჯანის, ბრაზილიის, ხორვატიის, კოლუმბიის, გვატემალის, ინდოეთის, პორტუგალიის, ტაილანდის, თურქეთისა და უკრაინის სპეცდანიშნულების რაზმებისა და არმიის საბრძოლო დანაყოფების შეიარაღებაშიცაა.

ყველაზე მეტი 30-30 ათასი „ტავორი“ კოლუმბიამ და ტაილანდმა შეიძინეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველომ 7000 „ტავრი“ შეუკვეთა და თბილისმა 2009 წლამდე ისრაელისგან დაახლოებით 1300 ავტომატი მიიღო, მაგრამ რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს, დასაზუსტებელია.

დღემდე გამოშვებულია „ტავორის“ შემდეგი მოდიფიკაციები: სტანდარტული ვერსია TAR-21 და მისი ვარიანტი 40 მმ კალიბრის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი GTAR-21-ით; სპეციალური ოპერაციებისთვის განკუთვნილი კომპაქტური ვერსია დამოკლებული ლულით CTAR-21 Commando; ყველაზე კომპაქტური ვარიანტი MTAR-21 (Micro TAR); გასაშლელფეხებიანი და ოპტიკურსამიზნიანი სნაიპერული ვერსია STAR-21 და სამოქალაქო ბაზარზე გასაყიდად განკუთვნილი თვითდამტენი კარაბინი T.C.-21 (Tavor Carbine);

„არსენალმა“ ერთ-ერთი ქართული სპეცდანიშნულების დანაყოფის სასროლეთზე სამი სხვადასხვა „ტავორი“ გამოცადა.

პირველი ორი კომპაქტური მაყუჩიანი MTAR-21 (Micro TAR)-ის ტიპისა გახლდათ, მესამე კი სნაიპერული STAR-21.

მაყუჩიანი „ტავორებიდან“ ერთ-ერთი, რომ იტყვიან, „ნავაროჩენი“ გახლდათ და დღისა და ღამის ოპტიკური



ისრაელის არმიამ „ცახალმა“ 16 ათასზე მეტი სხვადასხვა მოდიფიკაციის Tavor-ი მიიღო შეიარაღებაში

**ჩვენი დოსიე:** ყველა „ტავორი“ 5,56 მმ კალიბრის **NATO**-ს ვაზნებზეა გათვლილი და მის მჭიდებში 20 ან 30 ვაზნა ჩადის. სტანდარტული **TAR-21**-ის სიგრძე 720 მმ-ია (ლულის 460 მმ), **Commando**-სი — 640 მმ (ლულის 380 მმ), ხოლო **Micro TAR**-ისა კი — 480 მმ (ლულის 250 მმ). მათი ცარიელი მასაც, შესაბამისად, 2,8, 2,7 და 2,4 კგ-ია, ხოლო ვაზნებიანი მჭიდებითა და სამიზნეებით კი — 3,6, 3,5 და 3,2 კგ. „ტავორის“ სროლის ტემპი 750-900 გასროლაა წუთში, ტყვიის საწყისი სიჩქარე კი 770-890 მ/წმ.


ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნიანი GTAR-21 ინდოეთის არმიის მებრძოლის ხელში

სამიზნეები, ინფრაწითელი ფარანი და ორიგინალური კონსტრუქციის ხელის მოსაკიდი სადგამი ჰქონდა.

მართალია, დამატებითმა აქსესუარებმა დაამძიმა მსუბუქი „ტავორი“, მაგრამ სპეცოპერაციის დროს შენობაში ან ქალაქის ქუჩებში ახლო მანძილებზე მოქმედებისას ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

განსაკუთრებით გამოსაყოფია „ტავორის“ წინა ხელის მოსაკიდი, რომლიდანაც ორი ფეხი გამოდის იარაღის მიწაზე დასაფიქსირებლად, მოძრაობისას კი ფეხები სახელურში იკეცება.

სნაიპერულ „ტავორს“ გასაშლელი ფეხები და ოპტიკური სამიზნე აქვს. მისი სროლა მოსახერხებელია დაწოლილი მდგომარეობიდან, როდესაც იარაღი ორ საყრდენზე კარგადაა დაფიქსირებული.


Tavor TAR-21-ის არასრული დაშლა



„ტავორი“ კარგად ზის ხელში, მაგრამ „ბულპაპის“ სქემის გამო (როდესაც მჭიდი სასხლეტის უკანაა განთავსებული) კონდახის სიგრძე არ რეგულირდება (მაგალითად, როგორც ეს ამერიკულ **M4**-ს აქვს), რაც ყველა აღნაგობის მსროლელისთვის მოსახერხებელი არ არის.

ავტომატურ რეჟიმში სროლის დროსაც კი უკუცემის ძალა დიდი არ არის, რაც მიზნის უფრო ზუსტად დაზიანების საშუალებას იძლევა. ავტომატურ რეჟიმში სროლისას სასხლეტზე თითის ზუსტად დაწოლით თითო-თითო გასროლაცაა შესაძლებელი. მაყუჩი ახშობს გასროლისას ხმას, თუმცა არც ისე, რომ აბსოლუტურად ჩაახშოს. სავაზნე მჭიდები პლასტმასისაა, რაც მომგებიანია მცირე მასის გამო, მაგრამ რამდენად გამძლე იქნება ინტენსიური მოხმარებისას, ძნელი სათქმელია. „ნავორიჩენი“ „ტავორის“ ორიგინალურ მჭიდს გახარჯული ვაზნების დამთვლელი მრიცხველიც კი ჰქონდა.

დასასრულ, მთავარი პრობლემა, რამაც შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას მსროლელს: სროლისას წარმოქმნილი დამწვარი დენთის აირები პირდაპირ ცხვირის ნესტოებსა და თვალებში გცემს, რადგან „ბულპაპის“ სქემის გამო კონდახში სასროლი მექანიზმია განთავსებული. აირებისგან თავი რომ დაიცვან, მებრძოლები „ტავორებს“ ლეიკოპლასტირსაც კი აკრავენ კონდახის ზემოთ!

*ირაკლი ალადაშვილი*




ელექტრონული ბიბლიოთეკა

ISSN 1987-5061